

ყაზბეგი
ეროვნული ბიბლიოთეკა
საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

№223
(12 293)
21 სექტემბერი პარასკევი 2007
გამოდის 1934 წლიდან
ფასი
50 თეთრი



# მშვიდობით, ჟოზე!

მოურინიოს ჩელსი დაატოვებინეს

6

რეპორტაჟის სპონსორია საქართველოს ოლიმპიური ფონდი

# ბრინჯაო და ლიცენზია

## გოგშელიძე ჯერ მარტინესის უნდა ეჭიდაოს, მერე გაცალოვს

ნიკოლოზ ნეფარიძე
ბაქოდან

გუშინ ქართველმა თავისუფალი სტილით მოჭიდავეებმა მსოფლიო ჩემპიონატზე ბრინჯაოს მედალი და პეკინის ოლიმპიადის ორი ლიცენზია მოიპოვეს. წინა დღის უშედეგობას თუ გავიხსენებთ, პროგრესია, თუმცა ნურც ის დაგვავიწყდება, რომ ჩემპიონატის ერთ-ერთმა ფავორიტმა რევაზ მინდორაშვილმა სრული ფიასკო განიცადა ბაქოში. გურჯაანელმა მოჭიდავემ პირველივე ბრძოლა წააგო ნაკლებად ცნობილ აზერბაიჯანელ ნავრუზ ტემეზოვთან, რომელიც, თავის მხრივ, კუბელთან დამარცხდა. მედალი 66 კილოგრამში ოთარ თუშიშვილმა მოიპოვა ბრინჯაოს მედლისთვის ამერიკელი დაგ შვაბი დაამარცხა, ხოლო 74-ში მოასპარეზე გელა სალირაშვილი მერვე ადგილთა და ოლიმპიადის ლიცენზიით დაკმაყოფილდა.

11



ოთარ თუშიშვილი მესამე მსოფლიო ჩემპიონატიდან ბრუნდება მედლით

# დღეს ჩვენი მეტოქეები თამაშობენ

iRB RUGBY WORLD CUP 2007 FRANCE

მსოფლიო თასის გარშემო 14



საქართველოს ნაკრებ ის ვარჯიშზე. მარჯვნივ - დავით ხინჩაგიშვილი

# შუსტერი რეალიდან წასვლაზე ალაპარაკდა



ბერნდს სამეფო კლუბში რაღაც არ მოსწონს

6



# ჩვენცა და უკრაინასაც მაღალი კლასის მოთამაშეები გვაკლია

ინტერვიუ კახა კალაძესთან

3

ეროვნული ბიბლიოთეკა

მინი-ფეხბურთის ტურნირი

# მაგთი სულ სხვაა

მაგთი MAGTI

კომპანია "მაგთი" დაარსებიდან ათ წელს აღნიშნავს. საზეიმო ღონისძიებების ნუსხაში სპორტული შეჯიბრებებიცაა.

12 აგვისტოს პირველად საქართველოში, კომპანიამ კვარიათში პლაჟის ფეხბურთის სტადიონი გახსნა, რომელზეც საერთაშორისო ტურნირის ჩატარება იგეგმება.

პლაჟის ფეხბურთი პოპულარული სახეობაა და "მაგთის" ეს წამოწყება უდავოდ გონივრული გათვლაა.

თუმცა ამით არ შემოიფარგლება ფიჭური კავშირგაბმულობის კომპანიის ინიციატივები. ერთი კვირის წინათ კალათბურთის ტურნირი დააფინანსეს, გუშინ კი **გიორგი ნემსაძის** საფეხბურთო სკოლაში მინი-ფეხბურთის ტურნირის პრეზენტაცია და კენჭისყრა გაიმართა.

სამსახურებრივი სტრესებით დაღლილი ცნობილი ბიზნესჯგუფებისა და მედიის წარმომადგენლებს განტვირთვისა და სიამოვნების შანსი ეძლევათ. განტვირთვის მიზეზი გასაგებია, სიამოვნება კი გამარჯვებისთვის დაწესებული პრიზებია, საუკეთესოები სოლიდურ ფულად პრემიას და მესამე თაობის მობილურ ტელეფონებს მიიღებენ.

კალათბურთში ტურნირი "ლელომ" მოიგო და ამჯერად ჩვენი გაზეთი დუბლის შესასრულებლად ემზადება. ქვემოთ კი ტურნირის განრიგს გაგაცნობთ. თამაშები კუს ტბაზე გაიმართება.

**მერაბ მამულაშვილი**

| I ჯგუფი | II ჯგუფი |
|---|---|
| 1. მზე | 1. თელიანი ველი |
| 2. ნიკორა | 2. რუსთავი-2 |
| 3. ალდაგი/BCI | 3. ლელო |
| 4. ელექტროკავშირი | 4. ბანკი რესპუბლ. |
| 5. სტანდარტბანკი | 5. საქ. ბანკი |

**22.09.07**
**I ტური**

**I ჯგუფი**
14:00 მზე-სტანდარტ ბანკი
15:40 ალდაგი/BCI-ელექტროკავშირი

**II ჯგუფი.**
14:50 თელიანი ველი-საქ. ბანკი
16:30 რუსთავი 2-ბანკი რესპუბლიკა

**23.09.07**
**II ტური**

**I ჯგუფი**
14:00 ნიკორა-მზე
15:40 ალდაგი/BCI-სტანდარტ ბანკი

**II ჯგუფი**
14:50 ლელო-თელიანი ველი
16:30 რუსთავი 2-საქართველოს ბანკი

**24.09.07**
**III ტური**

**I ჯგუფი**
19:00 ნიკორა-ელექტროკავშირი
20:40 მზე-ალდაგი/BCI

**II ჯგუფი**
19:50 ლელო-ბანკი რესპუბლიკა
18:00 თელიანი ველი-რუსთავი 2



ტურნირის წილისყრა გუშინ გაიმართა

# მგლებს ბლექბერნის მსგავსი არენა ექნება

**ეროვნული ჩემპიონატის მე-6 ტურში ერთ-ერთი გამორჩეული მატჩი ზუგდიდში გაიმართება, სადაც მეხუთეადგილოსანი "მგლები" გათამაშების ცხრილის სათავეში მყოფ თბილისის "დინამოს" ეთამაშება. მატჩი რაღა თქმა უნდა ზუგდიდის ცენტრალურ სტატიონზე გაიმართება. იმ არენაზე, რომელზეც ასე ბევრს საუბრობენ. ზუგდიდის სტადიონზე აგვისტოში სარესტავრაციო სამუშაოების მხოლოდ პირველი ეტაპი დასრულდა. არენის სრულყოფილი სახის მისაღებად სამუშაოები გაზაფხულზე გაგრძელდება. როგორც შევიტყვეთ, ზუგდიდის სტადიონი სრული რეკონსტრუქციის შედეგად "ბლექბერნის" საშინაო არენა "ევუდ პარკს" დაემსგავსება.**





სტადიონი ზუგდიდის საფეხბურთო კლუბ "ბაიას" კუთვნილებაა. კლუბს ის შარშან, 2006 წლის ნოემბერში, 49 წლიანი მართვის უფლებით გადაეცა. პრეზიდენტი **ზვიად სიჭინავა**, რუსეთში მოღვაწე ბიზნესმენია. ის ფეხბურთზე უზომოდაა შეყვარებული და მშობლიურ ზუგდიდში მისი აღორძინებისთვის გრანდიოზული გეგმებიც აქვს, რომლის განხორციელებასაც უკვე შეუდგა. დღეისათვის განახლებულია სტადიონის კომპლექსში შემავალი შენობა-ნაგებობები, გასახდელები, მსაჯთა ოთახი, საშხაპეები, საპრესკონფერენციო დარბაზი, შეიცვალა მოედნის საფარი, გაკეთდა VIP ლოჟა და სადრენაჟო სისტემა. ტრიბუნა ჯერჯერობით მხოლოდ ერთ მხარესაა და მასზე პლასტმასის ინდივიდუალური სკამები დამონტაჟდა. ამჟამად არენა 4 200 გულშემატკივარს იტევს. ამას გარდა, სტადიონს არ ჰქონდა ავტონომიური წყლის სისტემა. ვითარების გამოსასწორებლად გაკეთდა ორი ჭაბურღილი. სამუშაოების დამთავრების შემდეგ, ზუგდიდის ცენტრალური სტადიონი "ბაიასა" და ზუგდიდის ვეტერანთა მატჩით, მიმდინარე წლის 15 აგვისტოს გაიხსნა. "ბაიამ", რომელიც 1991-92 წლებში დაბადებული ჭაბუკებითაა დაკომპლექტებული, თანაქალაქელი ვეტერანები 6:4 დაამარცხა. სხვათა შორის, "ბაია" წლეულს პირველად ასპარეზობს მეორე ლიგაში და დიდი გეგმები გააჩნია. კლუბის მეპატრონე ზვიად სიჭინავას სურს, გუნდი უმაღლეს ლიგაში, მერე კი ევროტურნირებზე იხილოს და საამისოდ ძალ-ღონეს არ იშურებს. "ბაიას" რეზერვიც კარგი ჰყავს – ამჟამად კლუბში სხვადასხვა ასაკობრივი კატეგორიის 300-მდე ბავშვს რამდენიმე მწვრთნელი ავარჯიშებს.

ზუგდიდის სტადიონზე დღემდე ჩატარებული სამუშაოები, გრანდიოზული პროექტის მხოლოდ პირველი ნაწილია. სარეკონსტრუქციო სამუშაოების მეორე ეტაპი დარჩენილ სამ მხარეს ტრიბუნების აშენებას და სტადიონის სრულ გადახურვას მოიცავს. ეს სამუშაოები გაისად, 2008 წლის გაზაფხულზე დაიწყება და 2011 წლის ბოლომდე უნდა დასრულდეს. სტადიონის დირექტორის პოსტზე **გოჩა კუჭუხიძე** ("ბაიას" ერთ-ერთი დამფუძნებელი), **თენგიზ შონიამ** ("ბაიას" ვიცე-პრეზიდენტი გახლავთ) შეცვალა. როგორც თავად შონიამ გვითხრა, ის დროებით ხელმძღვანელობს არენას. რაც შეეხება კუჭუხიძეს, "ბაია" სპორტულ ბაზას აშენებს და მას დროებით ამ სამუშაოთა ხელმძღვანელობა დაავალეს. "მგლებს" საშინაო მატჩების ჩატარებისას არენის ქირაობა უწევს. როგორც ირკვევა, ერთი მატჩით სტადიონის ქირაობა "მგლებს" 1 000 ლარი უჯდება.

მართალია გაზაფხულზე არენაზე რეკონსტრუქციის მეორე ეტაპის სამუშაოები დაიწყება, მაგრამ ამით "მგლებს" ხელი არ შეეშლება.

*"სამუშაოები ისე ჩატარდება, რომ "მგლებს" ხელი არ შეეშლება. ამ სამუშაოთა დასრულების შემდეგ, თანამედროვე ევროპული დონის სტადიონი გვექნება. ის უეფას სტანდარტების შესაბამისი იქნება და აქ უკვე ევროტურნირების გარდა, სანაკრებო მატჩების ჩატარებაც იქნება შესაძლებელი. რეკონსტრუქციის სრულად დამთავრების შემდეგ სტადიონის ტევადობა დაახლოებით 18 ათასი იქნება. ამასთან, სტადიონის კომპლექსში გაკეთდება, აუზი, კალათბურთის, ფრენბურთისა და ხელბურთის დარბაზი, ჩოგბურთის კორტები"* – გვითხრა სტადიონის ხელმძღვანელმა თენგიზ შონიამ.

**დავით ცაბაძე**

გახსენი... ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge
ეროვნული ბიბლიოთეკა



# ერთი კვირის ათასი წვრილმანი

ინფანტილურობა ხანდახან გადასარევი თვისებაა. ერთი ხელის მოსმით, სხარტად მოარტყამ ხოლმე მიზანში და საქმეც ეგ არის.

ქვეყნის მეთაურმა რამდენიმე დღის ნინათ განაცხადა, ზოგი ერთუჯრედიანი ეროვნულ ნაკრებში თამაშს უარობსო,

სპორტის მინისტრს კი უბრძანა, მორაგბეებს სტადიონები აუშენეთო.

ინფანტილურობას არ სჭირდება სიზუსტე და თუ სპორტის რომელი სახეობის ნაკრებზე იყო საუბარი, დიდად აქტუალური არ უნდა იყოს.

და რა არის უჯრედი? ცოცხალი ორგანიზმის აგებულების ერთეული, რომელიც შედგება ბირთვისგან, ციტოპლაზმისგან და მემბრანისგან. პატივცემული ცოცხალი ორგანიზმები კი ორ ჯგუფად იყოფიან: პროკარიოტი და ეუკარიოტი. პროკარიოტი ერთი უჯრედისგან შედგება, რომლის ბირთვს გარსი არ გააჩნია და მეტწილად ბაქტერიის სახით ცოცხლობს; ღრმად პატივცემული ეუკარიოტი კი მრავალუჯრედოვანი ორგანიზმია, თუმც ამ ჯგუფში გარსით შემოსაზღვრული ერთუჯრედიანებიც შედიან, მაგალითად, ამება და ევგლენა.

უჯრედები ერთმანეთთან დაკავშირებულები არიან გარდამავალი არხებით და თქვენ წარმოიდგინეთ, ერთმანეთს ინფორმაციასაც კი უცვლიან. ერთი სახის უჯრედების ერთობლიობა კი ქმნის რომელიმე ორგანოს, მაგალითად, ნეირონები ქმნიან ტვინს.

რა გაეწყობა, მოვლენების განვითარება გვაიძულებს, ჟურნალისტიკა შემეცნებითი ჟანრებითაც დავტვირთოთ. თბილისის "ამერი" კი მასზე აბსოლუტურად ყველა პარამეტრით დაბლა მდგომ "ბორჯომთან" 0:3-ს აგებს. ცხადია, აქაც საქმე უჯრედებში უნდა იყოს.

"დინამო" კი მაინც სულ სხვაა. მე-2 ტურის გამოტოვებული მატჩიც მოიგო ბოლნისის "სიონთან" და გალიდერდა. დუშან უჰრინის გუნდი ევროსარბიელზეა მუხლმოკვეცილი, თორემ ეროვნულ ჩემპიონატში ჯერჯერობით საუკეთესოს შთაბეჭდილებას ტოვებს. ცხადია, "დინამოც" ცოცხალი ორგანიზმია.

"დინამომდე" "სიონი" "ვიტ ჯორჯიას" გაეჯიბრა და კისერიც მოუგრიხა. ბოლნისში მალე განახლებულ სტადიონს, ბრიტანული ყაიდის საფეხბურთო არენას ააგებენ, მინდორი ტრიბუნებიდან ერთ-ორ მეტრში გაბიბინდება, მაგრამ ვის დარჩება კლუბი? ერთ-ერთმა ყოფილმა სიონელმა მითხრა, კლუბის ყიდვა შპს "მადნეულს" სურდა, რომელსაც სტადიონის ყოველთვიური იჯარისთვის 80 000 ლარი მოსთხოვესო... "სიონი" მაშინ ამის გამო ვერ გაიყიდა, მაგრამ ახლა სხვა დროა, ნეირონები უფრო აქტიურად ამუშავდნენ და მალე "სიონს" ახალი, კერძო მფლობელი ეყოლება.

გასულ უქმეებზე ვერ იყოჩაღეს ჩვენმა ლეგიონერებმა. მთელ დუნიაზე და აღმოსავლეთითაც ვერც ერთმა ქართველმა ვერ მოახერხა გოლის გატანა. "მილანმა" კი გოლი კახა კალაძის კურიოზული შეცდომის გამო გაუშვა. შეცდომა ვის არ მოსვლია, მაგრამ როცა კვირები ისე მიდის, რომ ქართველი ლეგიონერებიდან ვერავინ ჩაუქრობს, კლაუს ტოპმიოლისთვისაც სათქმელი ვერაფერი გრჩება.

საქართველოს ნაკრებში ფეხბურთელებს იძახებენ "მილანიდან", "ბლექბერნიდან", გერმანიიდან, კიდევ ლუგანსკიდან, ხარკოვიდან, ლვოვიდან, უჟგოროდიდან, ყაზანიდან, მოსკოვიდან... ტოპი კი ამ ადგილებში არ დადის მათი თამაშის საყურებლად. მართალია, არსებობს ინტერნეტი, ვიდეოჩანაწერი, ტელევიზორი, მაგრამ არსებობს კიდევ თვითმფრინავი, გამგზავრებისთვის საჭირო ფული და უნდა არსებობდეს სურვილიც, რომ ნაკრების ფეხბურთელის საკლუბო თამაში ერთხელ მაინც ნახო ტრიბუნიდან.

ფეხბურთელების დაკვირვება დინამიური პროცესია. უკრაინასთან მატჩში ტოპიმ ლაშა ჯაკობია გაამწესა მარჯვენა ნახევარმცველად და ამით ვერაფერი შემატა გუნდს. ჰერ კლაუსმა არ გამოიძახა დინამოელები, გიორგი მერებაშვილი და გიორგი ფეიქრიშვილი, რომელთაც არც თუ ურიგოდ ეხერხებათ მარჯვენა ფლანგზე ჯირითი. "დინამომ" "რაპიდთან" ორი მატჩის ჯამში 0:8 წააგო და ასეთი გუნდიდან ფეხბურთელების ნაკრებში გამოძახება ერთი მხრივ უხერხულია, მაგრამ ეს ხომ მხოლოდ ერთი მატჩი იყო. დააკვირდი ფეხბურთელის თამაშის დინამიკას და მერე შეიქმენი მასზე აზრი - ტოპი ამ პრინციპს უარყოფს. ისიც ვთქვათ, ქართული გუნდების საევროტურნირო მატჩებს ტოპი საერთოდ რომ არ ესწრება. შარშან "ამერი" ბერლინში "ჰერტას" რომ ეთამაშა, ჰერ კლაუსი იქაც არ ჩასულა.

... საკამათო არ უნდა იყოს, რომ კარლ-ჰაინც რუმენიგე, იურგენ კლინსმანი და ლოთარ მათეუსი დიდი ფეხბურთელები იყვნენ და მათი შესაძლებლობები ყველამ ზეპირად იცოდა, გერმანიის ნაკრების მაშინდელ მწვრთნელი ფრანც ბეკენბაუერი მაინც ჩადიოდა იტალიაში, რათა მილანის "ინტერში" მათი თამაში ცოცხლად ენახა. ეს საფეხბურთო დინამიკაა, მხოლოდ ტელევიზორის ყურება და DVD-ის ტრიალით ალბათ არ უნდა იფარგლებოდეს მწვრთნელის დაკვირვება ნაკრების ფეხბურთელებზე.

ამ შესარჩევში კიდევ სამ თამაში დაგვრჩა, ტოპმიოლერთან კი, რომლის მუშაობითაც ფედერაცია უკვე კმაყოფილია, ალბათ, მაინც გაგრძელდება კონტრაქტი. შესაძლოა, ტოპის უფრო მკაფიო და მკაცრად წაუყენოს მოთხოვნები ფედერაციამ ახალი კონტრაქტით, მაგრამ სამყარო ხომ გაცილებით დიდი უნდა იყოს ჩვენთვის, ვიდრე ტოპმიოლერი?!

მართალი იყო მისი უმაღლესობა, როცა წინა პლანზე წამოწია უჯრედის საკითხი.

დავით თავართქილაძე





კახა კალაძე

ინტერვიუ კახა კალაძესთან

# რატომ ჰგავს საქართველო უკრაინას

## შესაძლოა, იტალიას იტალიაში მოვუგოთ

მის თამაშზე ბევრია დამოკიდებული როგორც საქართველოს ნაკრებში, ისე "მილანში" - ჩვენი ეროვნული გუნდის კაპიტანი ისეთ სუპერკლუბში თამაშობს, რომელიც მხოლოდ სკუდეტოს და ჩემპიონთა ლიგის მოგებას უმიზნებს. კახა კალაძემ ჩემპიონთა ლიგის თასი ორჯერ უკვე აწია და ამას "მილანთან" ერთად ამ სეზონშიც შეეცდება. კახას გუშინ დავურეკეთ იტალიაში და ცხადია, მხოლოდ მილანურ ამბებზე არ გვისაუბრია.

**- ჩემპიონთა ლიგის პირველ შეხვედრაში ლისაბონის "ბენფიკას" შინ 2:1 მოუგეთ. ალბათ, რთული თამაში იყო...**

- პირიქით, "მილანისთვის" ეს ადვილი თამაში იყო. "ბენფიკა" არ გამოდგა იმ დონის გუნდი, ჩვენთვის დიდი წინააღმდეგობა რომ გაეწია. იმდენი საგოლე მომენტი შევქმენით, 5:0 უნდა მოგვეგო, მაგრამ მატყუარა ანგარიში დაფიქსირდა.

**- სერია A-ს წინა ტურში კი "სიენასთან" 1:1 ითამაშეთ, თან 0:1-ს აგებდით და გოლი "მილანმა" შენი, ცოტა არ იყოს, უცნაური შეცდომის შემდეგ გაუშვა...**

- შორიდან დარტყმული ბურთი დიდას ხელიდან მოულოდნელად გაუვარდა, ცუდი მინდორი იყო, ბურთი უცნაურად ახტა და მისი მოგერიება ვერ მოვახერხე, რითაც სიენელმა მაკარონემ ისარგებლა. ეს ფეხბურთია და ასეთი რამ ხდება ხოლმე. ისიცაა, რომ "მილანის" ფეხბურთელთა უმეტესობა სანაკრებო თამაშების და მგზავრობის შემდეგ გადაღლილები ვიყავით.

**- სერია A-ში თქვენმა ერთ-ერთმა უმთავრესმა კონკურენტმა მილანის "ინტერმა" "ფენერბაჰჩესთან" 0:1 რომ წააგო, ამას რა რეზონანსი მოჰყვა იტალიაში?**

- დიდი არაფერი, ეს პირველი თამაში იყო ჩემპიონთა ლიგაში და ყველაფერი წინ არის, თუმცა იტალიაში და ალბათ, მთელ საფეხბურთო სამყაროში, "ინტერის" მარცხს არ ელოდნენ.

**- ჩემპიონთა ლიგის პირველი ტურის შემდეგ ყველაზე უფრო რომელი გუნდი მოგეწონა? ვის მიიჩნევ ფავორიტად?**

- ჯერჯერობით ძნელია იმის პროგნოზირება, თუ რომელი გუნდები იქნებიან ლიგის მოგების მთავარი კანდიდატები, რადგან ეროვნული ჩემპიონატები ახალი დაწყებულია და ჯერ მკაფიოდ არ ჩანს გუნდების ძალა. მაგრამ, რაც პირველ ტურში ვნახე, ჩვენ გარდა ლიგის მოგების მთავარი კანდიდატი "ბარსელონაა".

**- ნაკრებზეც გკითხავ. საქართველოსთან უკრაინამ ისეთი თამაში აჩვენა, გაკვირვება გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ ეს გუნდი შარშან მსოფლიოს ჩემპიონატის მეოთხედფინალში გავიდა. როგორ ფიქრობ, აქვთ რამე საერთო საქართველოსა და უკრაინის ნაკრებებს?**

- სიმართლე გითხრათ, უკრაინის ნაკრებს არც გერმანია 2006-ზე დაუტოვებია დიდი შთაბეჭდილება. ვფიქრობ, უკრაინის ნაკრებსაც ისეთივე პრობლემა აწუხებს, რაც ჩვენსას - მაღალი კლასის ფეხბურთელი ძალიან ცოტა ჰყავს. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ასეთი პრობლემა საქართველოს და უკრაინას გარდა რუსეთსაც შეექმნა.

**- მსგავსება ერთია და განსხვავება მეორე. საქართველოს ნაკრები ვერა და ვერ ახერხებს მყვირალა გამარჯვების მოპოვებას. შოტლანდიამ ამ შესარჩევში ორჯერ მოუგო საფრანგეთს, საქართველოს ნაკრებმა კი...**

- გამორიცხული არაფერია და შესაძლოა, იტალიას იტალიაში მოვუგოთ.

**- შენი ვარაუდით, რამდენი ქულის აღება შეუძლია საქართველოს ნაკრებს ჯგუფში დარჩენილ სამ თამაშში - შოტლანდიასთან, იტალიასთან და ლიტვასთან?**

- ამის თქმა გამიჭირდება. მთავარია, ეს მატჩები მაქსიმალურად გამოვიყენოთ.

**- რას გულისხმობ?**

- ახალგაზრდა ფეხბურთელები უნდა შეეწყონ გუნდს.

დავით თავართქილაძე

www.kazbegi.com

გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

# აზერბაიჯანში ფულს ვერ იყენებენ

## ჭეიშვილმა ქართული ფეხბურთით ნავთობმაგნატი დააინტერესა

ათი წლის წინათ უკრაინაში აღმოვაჩინეთ უმაღლესი ლიგის ქართველი მწვრთნელი **ვასილ ჭეიშვილი**. თბილისში დაბადებულ-გაზრდილ კაცს საქართველოში ხეირიანად არავინ იცნობდა და უკრაინაში გუნდი ჩააბარეს. არ იყო პატარა საქმე. პირველად მაშინ გაგვაოცა.

გაგვაოცა 2003 წელსაც. თბილისის "სპარტაკში" ჩინებული სელექციით დაგვამახსოვრა თავი. სწორედ ამ გუნდში გამოჩნდნენ **დავით ბოლქვაძე, კახა ალადაშვილი, დიმიტრი ტატანაშვილი, გრიგოლ დოლიძე, თენგიზ ჩიკვილაძე**. 18-19 წლის ბიჭები ისეთ ფეხბურთს აჩვენებდნენ, პერსპექტივა კოჭებში ეტყობოდათ.

ჭეიშვილს არ დასცალდა, გაათავისუფლეს და მერე "ზესტაფონი" უმაღლესში გადმოიყვანა. ამის შემდეგ ის თვალსაწიერიდან დაიკარგა და ახლაღა შევიტყვეთ - თურმე, აზერბაიჯანის უმაღლესლიგელი ბაქოს "ოლიმპიკის" დუბლებში მუშაობდა. თავისთავად დაგვაინტერესა ქართველი მწვრთნელის თვალით დანახულმა აზერბაიჯანმა. იმანაც, რამ აიძულა ნიჭიერი და რატომღაც საქართველოში მივიწყებული სპეციალისტი წასულიყო უცხოეთში.

- 2003 წელს გამათავისუფლეს "სპარტაკიდან" და ყაზახეთში წავედი. ყარაღანდის "შახტიორთან" მქონდა მოლაპარაკებები, მუშაობის დაწყება რომ არ მდომოდა, არც წავიდოდი. თუმცა თბილისში ოჯახურმა პრობლემებმა დამაბრუნა.

მერე ჩავიბარე "ზესტაფონი" და 2005 წელს წავედი აზერბაიჯანში, ბაქოს "ოლიმპიკის" დუბლები ჩამაბარეს. მე მაწყობდა ორი წლით წასვლა. მომზადების მეთოდებზე ექსპერიმენტების ჩატარება მსურდა.

ზოგიერთი ვარჯიშის შედეგს ფეხბურთელს ორ დღეში ამჩნევ, მაგრამ მე უფრო ხანგრძლივ მომავალზე გათვლილი მეთოდის შედეგები მაინტერესებდა.

მწვრთნელთა უმაღლესი სკოლა ტაშკენტში დავამთავრე. თემისთვის საფრანგეთიდან მასალები მივიღე და შემიძლია ვთქვა, ბევრი საინტერესო რამ აღმოვაჩინე და ვისწავლე. მას შემდეგ განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევ მოედანზე მოთამაშეთა მოძრაობას, თუ რა სამუშაო ჩაატარა, რამდენი კილომეტრი დაფარა მატჩის დროს.

**- საინტერესო თემაა. ამის შესახებ გიორგი დევდარიანიც საუბრობდა. ალბათ, შეგიძლიათ, პარალელები გაავლოთ, აზერბაიჯანსა და საქართველოს შორის, სად უფრო მეტს მოძრაობენ?**

- მე საქართველოში დაბრუნების შემდეგ რამდენიმე შეხვედრას დავესწარი და აქ დადიან, კი არ დარბიან. მაქსიმუმ 5-6 კილომეტრს თუ ფარავენ. აზერბაიჯანშიც არ იყო კარგი მდგომარეობა, მაგრამ ბოლო დროს იმდენი ლეგიონერი დაიმატეს, მათ ხარჯზე მონაცემები გაიზარდა და სადღაც 7-8 კილომეტრს მიუახლოვდნენ. საქართველოში ეს ციფრი 8-9-მდე შეიძლება ავიდეს, ანუ გუნდები გაცილებით მოძრავ ფეხბურთზე გადავლენ. ამას ცოდნა სჭირდება.

სხვათა შორის, დაანგარიშებულია, რომ მაღალი დონის ნაკრებების შეხვედრის სუფთა სათამაშო დრო 55-58 წუთია. ეს მაჩვენებელი 1998 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე დაადგინეს. მე ვითვლიდი "ოლიმპიკი"-"ნეფთჩის" შეხვედრის დროს სუფთა დროს და მაქსიმუმ 43 წუთი გამოვიდა. "სპარტაკის" საუკეთესო მონაცემი 44 წუთი იყო, საშუალოდ კი 40-41.

თუმცა ეს არ იყო ტექნიკურად სრულყოფილი მონაცემი. გაცილებით სწრაფ მოძრაობებს, გადაადგილებებს ვითხოვდი. კენწვლა არაა ფეხბურთი.

**- აზერბაიჯანიდან რატომ წამოხვედით?**

- ჩემი ექსპერიმენტები ჩავატარე და მინდა საქართველოში გამოვიყენო. "ოლიმპიკი" საშუალო დონის გუნდია, წარმატება არასდროს ჰქონია, მე კი სხვაგან დაწუნებული მოთამაშეებით გუნდი მეოთხე ადგილზე გავიყვანე. მათგან 8 კაცი სხვადასხვა გუნდში მიიწვიეს.

"ოლიმპიკი" საბოლოოდ არ მიმიტოვებია. წამოსვლის წინ მითხრა პრეზიდენტმა, ხელფასს მაინც შეგინახავ, მაგრამ ორი-სამი თვე მაინც უნდა დაგვეხმაროო.

სამწუხაროდ, აქ ფეხბურთი მკვდარია, მაგრამ მაინც მინდა მუშაობა. ვიცი, შემიძლია რაღაცის გაკეთება და მთელი ცხოვრება უცხოეთს ვერ ვემსახურები. აქ ბევრი ტალანტი იკარგება. ასე იყო "სპარტაკში" რომ მივედი. ბოლქვაძე "ვიტ ჯორჯიის" დუბლებში იყო, ან ვინ იცნობდა დოლიძეს, ალადაშვილს, ჩიკვილაძეს, ტატანაშვილს? მე ყაზახეთში მიმუშავია, უზბეკეთში, უკრაინასა და აზერბაიჯანში და ვამბობ იმას, რაც ჩემი თვალით ვნახე - ყველგან ათჯერ ახსნა მჭირდებოდა, რაიმე რომ გაეგოთ. ქართველ ბავშვებს კი მაქსიმუმ ორჯერ ეტყვი და ესმით. არავინ თქვას, თაობა არ მოდისო. მოდის, მაგრამ ვერ ზრდიან.

აზერბაიჯანში რომ ფულია, იმის მეათედით ჩვენ გაცილებით ძლიერ კლუბებს ჩამოვაყალიბებდით. უზარმაზარი ფულის მიუხედავად, ნორმალური მოედნები არ აქვთ. მე თუ მკითხავთ, ახლა ფულს წყალში ყრიან.

მათ გაცილებით ძლიერი ჩემპიონატი უნდა ჰქონდეთ. ზოგიერთი კლუბის ბიუჯეტი 25-30 მილიონია. ამხელა ესპანეთის, ჰოლანდიის და ბელგიის ზოგიერთ გუნდსაც არ აქვს.

დღეს ჩვენთან მილიონი დოლარით შეგვიძლია მათზე სოლიდური გუნდის შენება. ახლა აქ ზოგიერთი ფეხბურთელი 100-150 ლარს იღებს. ეს უკვე ძალიან ცუდია. თუმცა ვერ ვიტყვი, რომ ბევრით გვისწრებენ. ბაქოში პირველი ლიგის "გაგრა" რომ ჩამოვიდა, იმათ მაგარი სილა გააწნა. ჩემს "ოლიმპიკთან" 1:3 კი წააგეს, მაგრამ თამაში ვერ ვნახე და ყველამ მითხრა, 17-18 წლის ბიჭებმა თამაშის ხარისხით გვაჯობესო. მერე უმდიდრეს "ინტერს" 4:0 მოუგეს, აზერბაიჯანის 19-წლამდელებიც ზედ მიაყოლეს (2:0), "მასალიც" (4:2) და "სტანდარტს" ფრე დაუმთავრეს (2:2).

მთავარი ფული არაა, მთავარი მისი გამოყენებაა. დარწმუნებული ვარ, აქ ქუჩაში და დაბალ ლიგებში ისეთი ტალანტები იკარგება, ვარსკვლავები რომ უნდა იყვნენ. ჩემთან "სპარტაკში" კოტრიკაძე, იმნაიშვილი, კვერენჩხილაძე თამაშობდნენ, უნიჭიერესი ბიჭები. დღეს ისინი დაკარგულები არიან. გული მწყდება, არადა, დღესვე ავიყვანდი და ისევ ავათამაშებდი.

სხვათა შორის, გეტყვით ერთ პატარა საიდუმლოს, ოღონდ, ჯერ დაკონკრეტება არ მთხოვოთ. ერთ-ერთი გუნდის დამფინანსებელი ძალიან ახლოს გავიცანი, დავუახლოვდი და ბოლოს მკითხა, რას ფიქრობ ჩვენს ფეხბურთზეო. მეც ვუთხარი, აზერბაიჯანში ჩადებული ათი დოლარით საქართველოში ასი დოლარის საქმე გაკეთდება-მეთქი. დაფიქრდა და არაა გამორიცხული, საქართველოში გუნდი დააფინანსოს. თუმცა ეს ჯერ მხოლოდ წინასწარი ჩანაფიქრია და არა გადაწყვეტილი საქმე.

**- რა ძნელი მისახვედრია, "ოლიმპიკის" მეპატრონეს ესაუბრეთ?**

- ნაღდად არა, აზერბაიჯანის სხვა გუნდებშიც მშვენივრად მიცნობენ. ის კაცი გაცილებით სახელიანი გუნდის სპონსორია, ვიდრე "ოლიმპიკია".

**მერაბ მამულაშვილი**



ვასილ ჭეიშვილი

U17. ამხანაგური მატჩი

# ვერ გაიტან, გაგიტანენ

**პორტუგალია-საქართველო 1:0**

1:0 რაფაელი (33)

საქართველო: ნიორაძე, რიგვავა (72. პაჭკორია), მირცხულავა, კაკუშაძე, რობაქიძე (69. მუმლაძე), რაფავა (41. გუგუჩია), შონია (55. გორდეზიანი), გურეშიძე (69. კაჭახიძე), ანანიძე, ძალამიძე, შეყილაძე.

პორტუგალიაში მყოფმა საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებმა პირველი მატჩისგან განსხვავებით მეორე შეხვედრა დათმო პორტუგალიელ თანატოლებთან.

**ჰერბერტ ცანკერის** გუნდმა პირველი შეხვედრა 18 სექტემბერს ჩაატარა 2:1 მოიგო, გუშინ კი 0:1 დამარცხდა. ფეხბურთის ფედერაციის პრესსამსახურის ცნობით, სანტარემში გამართული მატჩი გარდამავალი უპირატესობით წარიმართა. ქართველებმა არაერთი საგოლე მომენტი შექმნეს, განსაკუთრებით მატჩის ბოლო წუთებში, მაგრამ წონასწორობის აღდგენა ვერ შეძლეს.

პირველ ტაიმში **ანანიძესა** და **ძალამიძეს** შეეძლოთ ანგარიშის გახსნა, მაგრამ ხან ჩვენები სცოდავდნენ და ხანაც პორტუგალიელთა მეკარე ყოჩაღობდა. მეორე ტაიმში **შეყილაძესაც** მიეცა ბურთის გატანის კარგი შესაძლებლობა, მაგრამ ვერ გამოიყენა. მასპინძელთა კარის დალაშქვრა ანანიძესაც შეეძლო, მაგრამ მისი დარტყმული პორტუგალიელთა კარს მცირე მანძილით ასცდა. საიმედოდ ითამაშა ჩვენი ჭაბუკების მეკარე **ნიორაძემ**, თუმცა ერთხელ მაინც შეცდა - 33-ე წუთზე მეტოქის დარტყმული ბურთი ვერ შეიმაგრა ხელში და მასპინძელმა **რაფაელმა** ბოძებული შანსი გამოიყენა.

გუშინ გამართულ შეხვედრაში არ უთამაშია **გიორგი მელიქიშვილს**. მან კუნთის ტრავმა კი მოიშუშა, მაგრამ გართულებების თავიდან აცილების მიზნით ექიმებმა ფეხბურთელს დასვენება ურჩიეს. ამით ჩვენი 17-წლამდელების პორტუგალიური ტურნე დასრულდა. დღეს გუნდი სოფიაში ჩაფრინდება, იქიდან კი ალბენაში ავტობუსით ჩავა და იქვე დაბინავდება. მომავალი კვირიდან ჩვენი ნაკრები ევროპის ჩემპიონატის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე იასპარეზებს. სასტარტო ტურში, 24 სექტემბერს, ჩვენი ჭაბუკები ხორვატ თანატოლებს ეთამაშებიან, ბულგარელები კი უნგრელებს დაუპირისპირდებიან.

**დავით ცაბაძე**

CDN კავკასიის ციფრული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK
გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:
CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGACARD ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;
24 საათის განმავლობაში
უწყვეტი მომსახურება
ტექნიკური მხარდაჭერა
სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!
დარეკეთ, შეუკვეთეთ, ჩაერთეთ!
ინ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge www.cdn.ge

www.kazbegi.com

გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

ეროვნული ბიბლიოთეკა

www.pfl.ge




ლეგიონერი

# შაშიაშვილი სამშობლოსა და ოჯახისათვის

ავსტრიულ ბუნდესლიგაში ასპარეზობისას, **დავით მუჯირი** არაერთხელ მოხვედრილა ავსტრიული "ქლაინა ცაიტუნგის" ფურცლებზე.

ამჯერად კი გაზეთმა საქართველოს ნარებისა და გრაცის "შტურმის" მცველი **გიორგი შაშიაშვილი** ამოილო მიზანში. სტატია ქართველის პიროვნებას ეხება და მკითხველისთვისაც არ უნდა იყოს ინტერესმოკლებული.

*"უკვე სამი თვეა, რაც საქართველოს ნაკრების მცველი გიორგი შაშიაშვილი "შტურმში" ასპარეზობს. მას დაცვაში ნებისმიერ პოზიციაზე შეუძლია თამაში და საფეხბურთო თვალსაზრისით არაერთი პლუსი გააჩნია. დაცვითი ოპერაციების გარდა, შეტევაშიც ეხმარება გუნდს და დასამახსოვრებელი გოლებიც აქვს გატანილი. ქართველებმა მსოფლიო ჩემპიონ იტალიას, თბილისში გამართულ მატჩში, სწორედ გიორგი შაშიაშვილის გოლით გაუთანაბრეს ანგარიში, მაგრამ მატჩის გადარჩენა მაინც ვერ შეძლეს. რობერტო დონადონის გუნდმა ის შეხვედრა 3:1 მოიგო.*

*შაშიაშვილს "შტურმში" ვარჯიშის დროს აშკარად ეტყობოდა, რომ თავს მარტო გრძნობდა. ამით დავინტერესდით და ჩვენი ვერსია მართალი აღმოჩნდა. გიორგი სამი თვის განმავლობაში გრაცში მარტო ცხოვრობდა. ის ოჯახის წევრთა გარემოცვაში არ იყო 1 სექტემბერს, თავის დაბადების დღესაც. ახლა მისი ოჯახი უკვე გრაცშია, რაც ფეხბურთელისთვის დამატებითი სტიმულია.*

*გიორგი შაშიაშვილი ოჯახის წევრებზე უზომოდ შეყვარებული ადამიანია. საუბარში თავადვე გვითხრა, ოჯახის კაცი ვარ. მეუღლე ნათიას, შვილებს, 4 წლის სანდროსა და წლინახევრის ლუკას ლუკას ავსტრიიდან თბილისში ყოველდღე ვესაუბრებიო...*

*"ცოლ-შვილი ავსტრიაში არ მყავს და ამიტომაც ტელეფონით ყოველდღიურად ვესაუბრები. ამ სატელეფონო საუბრებში უამრავი თანხა მეხარჯება, მაგრამ ამას ვინ ჩივის, მათი თითოეული სიტყვის გაგონება ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია".*

*შაშიაშვილს ინტერვიუ რომ ვთხოვეთ მან შინ მიგვიპატიჟა. ყველაზე დიდი ნივთი, რომელიც კი მის სახლში სტუმრობისას მოგხვდებათ თვალში, ტელევიზორია. სწორედ ამ ტელევიზორიდან იგებს გიორგი თავის სამშობლოში, საქართველოში, მომხდარ ახალ ამბებს. ფეხბურთელი შინ საქართველოს ეროვნული ნაკრების მაისურით დაგვიხვდა. ის ამაყობს რომ ნაკრების სტაჟიანი წევრია და არაერთ შეხვედრაში წამყვანი როლიც უთამაშია. როცა გიორგის ოჯახზე ჩამოვუგდეთ სიტყვა, მას თვალები გაუბრწყინდა, ჯიბიდან მობილური ტელეფონი ამოიღო და მეუღლისა და შვილების ფოტოები გვაჩვენა. ის კმაყოფილია თავისი მდგომარეობით და აცხადებს, რომ მისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ოჯახი და სამშობლოა.*

*შვილებზე საუბრისას შაშიაშვილმა გვითხრა, რომ ბავშვებს უყვართ ბურთით თამაში. სანდრომ გაცილებით ადრე დაიწყო თამაში, ვიდრე თავად გიორგიმ. შაშიაშვილმა გვითხრა, რომ ის, როგორც საფეხბურთო ტალანტის მქონე ჭაბუკი, ქუჩაში აღმოაჩინეს.*

*"მეგობრებთან ერთად უბანში ფეხბურთს ვთამაშობდი. ერთი კაცი გამეცნო, მწვრთნელი აღმოჩნდა და მითხრა, რამდენიმე წუთია გიყურებ და მომეწონა შენი თამაში, არ გინდა გუნდში გათამაშო? მეორე დღეს დათქმულ ადგილზე შევხვდი იმ კაცს და სწორედ აქედან დაიწყო ჩემი საფეხბურთო კარიერა".*

*"შტურმში" ის თბილისის "დინამოსა" და ოდესის "ჩერნომორეცში" ასპარეზობის შემდეგ ჩაირიცხა. გრაცელთა გუნდში დავით მუჯირის შემდეგ შაშიაშვილი მეორე ქართველია, ვისაც კი ოდესმე "შტურმში" უთამაშია.*

*"გრაცში ჩამოსვლამდე დავით მუჯირს დავუკავშირდი და სწორედ მან მიამბო "შტურმში" არსებული ვითარების" შესახებ. ანუ გრაცში, ასე ვთქვათ, მომზადებული ჩამოვედი."*

*"შტურმს" დიდი პოტენციალი აქვს. ფორტუნა მცირედითაც თუ გაგვიღიმებს, გაისად ევროტურნირებზე ვითამაშებთ", - აცხადებს საქართველოს ნაკრების მცველი."*

ai, ასეთი გახლავთ ეს სტატია, რომელიც გიორგი შაშიაშვილის ხასიათსა და შინაგან სამყაროს კარგად ასახავს.

**დავით ცაბაძე**

ქართველები უეფას თასზე

# ზურა ლარისასთან, ნახევარი საათით...

ხუთთვიანი წაუგებელი სერია გუშინ საბერძნეთში უეფას თასის მატჩში შეწყვიტა "ბლექბერნმა". ადრე თუ გვიან ეს აუცილებლად მოხდებოდა, მაგრამ 15 აპრილის მერე ნებისმიერი დონის მატჩში წაუგებელმა გუნდმა ეს "ლარისასთან" როგორ შეძლო, ძნელად წარმოსადგენია. ინგლისელთა რიგებში წლევანდელ სეზონში პირველად ითამაშა **ზურაბ ხიზანიშვილმა**. ქართველი მცველი მატჩის ბოლო ნახევარ საათში გამოჩნდა მოედანზე, მაშინ როცა ანგარიში უკვე 2:0 იყო ბერძენთა სასარგებლოდ.

კიდევ ერთი ქართველი, რომელმაც შეცვლაზე ითამაშა **ჯაბა კანკავაა**. მისი "დნეპრი" "აბერდინს" სტუმრობდა და 0:0 ითამაშა. საათნახევრის განმავლობაში უკრაინელებს გოლის გატანის რამდენიმე შესაძლებლობა მიეცათ, მაგრამ ვერც ერთი ვერ გამოიყენეს. ყველაზე კარგი ვითარება კი კანკავას შექმნია - ნაზარენკომ გაიყვანა ქართველი ნახევარმცველი დასარტყმელ პოზიციაზე და თითქოს გოლის გატანასაც წინ არაფერი ედგა, მაგრამ მეკარემ ბოლო წამს ფეხით მოახერხა ჯაბას დარტყმულის მოგერიება. მატჩის შემდეგ ოლეგ პროტასოვმა დანანებით აღნიშნა, კარგი იქნებოდა ჯაბას გაეტანა, განმეორებითი მატჩის წინ ეს კარგ უპირატესობას მოგვცემდაო.

**ლაშა ჯაკობია** საერთოდ არ შეიყვანა განაცხადში "მეტალისტის" მწვრთნელმა "ევერტონთან" სტუმრად წაგებულ მატჩში. ფორვარდს წლეულს საქმეები კარგად ვერ აქვს აწყობილი და იმედია, ახლო მომავალში გამოასწორებს. "მეტალისტმა" კი შეიძლება ითქვას პატარა სასწაული მოახდინა, რაკილა მეორე ტაიმის დიდი ნაწილი კაცნაკლული ეთამაშებოდა მეტოქეს, მატჩის ბოლოს უკრაინელებს მეორე ფეხბურთელიც გაუძევეს.

ერთადერთი, ვინც სრულად ითამაშა გუშინ გამართულ მატჩებში, **მალხაზ ასათიანია**. მოსკოვის "ლოკომოტივმა" სტუმრად დანიური "მიდტიულანდი" 3:1 დაამარცხა. მატჩის მიმდინარეობაზე ბევრს ვერაფერს გეტყვით, მხოლოდ ის ვიცით, რომ დაცვაში ქართველს კარგად უთამაშია, მხოლოდ ერთი შეცდომა დაუშვია, მეორე ტაიმში კი რამდენჯერმე წამოუწყია თანაგუნდელთა შეტევა.

გუშინდელი დღე ყველაზე წარუმატებელი **თემურ ქეცბაიასთვის** გამოდგა. "ანორთოსისი" რომ ერთი თავით დაბლა დგას "ტოტენჰემზე", რა დიდი მტკიცება უნდა, მაგრამ ლონდონში 6:1 დამარცხება, მაინც ნამეტანია. საწყენი ისაა, რომ ქეცბაიას შეგირდებმა პირველი გოლი მატჩის დასაწყისშივე გაუშვეს, პირველი ტაიმის ბოლო ხუთ წუთში კი სამიც მიაყოლეს. ამის შემდეგ ეტყობა გუნდი სრულად მოიშალა.

და კიდევ ერთი გამორჩეული ფაქტი - "გროცლინი" -"ცრვენა ზვეზდას" შეხვედრა **ლევან ფანიაშვილმა** იმსაჯა და გუნდებიდან თითო-თითო ფეხბურთელიც გააფრთხილა ზედმეტი აქტიურობისთვის.

**პაატა თოთაძე**



ხიზანიშვილმა სეზონი გუშინ დაიწყო


LIVE

სპორტული საინფორმაციო ცენტრი

272-272

ინფორმაცია მიმდინარე და დასრულებული შეხვედრების შესახებ

LIVE




ფიზიკური, ტექნიკური და ტაქტიკური მომზადება ფეხბურთელებისთვის

# არგენტინაში

ვიწვევთ **17-18** წლის პერსპექტიულ ფეხბურთელებს მოსამზადებლად არგენტინაში. მომზადების ვადაა **6** თვიდან ერთ წლამდე. მომზადების პერიოდში ფეხბურთელები ითამაშებენ ამხანაგურ მატჩებს არგენტინის საფეხბურთო კლუბებთან. მომზადების შემდეგ ფეხბურთელები გააფორმებენ ხელშეკრულებას ერთიდან ორ წლამდე და ჩაატარებენ ოფიციალურ შეხვედრებს არგენტინის საფეხბურთო კლუბებში. ფეხბურთელებს მოამზადებს ედუარდო დელგადო. ფიზიკური, ტექნიკური და ტაქტიკური მომზადების, გზის (ავიაბილეთები), ადგილზე ცხოვრების (კვების, ბინის) და სავიზო ხარჯები გაღებულ უნდა იქნას მსურველთა მიერ.

*მსურველთა მიღება და მათთან გასაუბრება იწარმოებს მისამართზე: თბილისი, ლეონიძის ქ. N4 (თავისუფლების მოედანთან). მხოლოდ წინასწარ ჩაწერით, საქართველოში არგენტინის წარმომადგენელთან, ტელეფონზე: **899-23-55-20**. მსურველები არგენტინაში გაემგზავრებიან ოქტომბრის დასაწყისში.*

სურათზე: დიეგო მარადონა და ედუარდო დელგადო



ჟოზე მოურინიოს სამწლიანი ლონდონური ეპოპეა დასრულდა. ოთხშაბათს გვიან ღამით "ჩელსიმ" ის თანამდებობიდან გაათავისუფლა. ოფიციალურ განცხადებაში ნათქვამია, რომ მხარეებმა კონტრაქტი ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე გაწყვიტეს. მოურინიოს აგენტი სასწრაფოდ ლონდონში გაფრინდა. მან კომპენსაციის საკითხი უნდა გაარკვიოს. ჟოზეს ხელშეკრულება 2010 წლის ივნისში ეწურებოდა. მისი წლიური ხელფასი 5.1 მილიონი გირვანქა იყო (10.2 მილიონი დოლარი). მიმომხილველთა ვარაუდით, მას უპრეცედენტო კომპენსაციას გადაუხდიან.

მოულოდნელი სამწვრთნელო გადაადგილება

# ჟოზე დამთავრებულია

## მანჩესტერთან მატჩში არისტოკრატებს აბრაამ გრანტი გაიყვანს, ჟოზეს სავარაუდო მემკვიდრეთა სია გრძელი და შთამბეჭდავია, ლონდონელთა ყოფილ თავკაცს პორტუგალიის ნაკრებში დანიშვნა უწინასწარმეტყველეს...

ოთხშაბათს "ჩელსის" ფეხბურთელები ლონდონის ერთ-ერთ კინოთეატრში მიიწვიეს. დირექტორებიც იქ უნდა ყოფილიყვნენ. იმ დღეს ლონდონური გრანდისადმი მიძღვნილი დოკუმენტური ფილმის პრემიერა გაიმართა. ფილმს "ლურჯი რევოლუცია" ჰქვია. ის "ჩელსიში" ბოლო ოთხი წლის განმავლობაში მომხდარ მოვლენებს ასახავს. პრემიერაზე გუნდი თითქმის მთელი შემადგენლობით გამოცხადდა. დირექტორატის წევრები კი არსად ჩანდნენ. **მოურინიო** კინოთეატრში დაგვიანებით მივიდა. ფილმის დასრულების შემდეგ კომენტარისაგან ყველამ თავი შეიკავა. მათ უკვე რაღაც იცოდნენ. მოურინიომ ნამდვილად იცოდა, რომ იმ წუთებში "ჩელსის" დირექტორთა საბჭოს საგანგებო სხდომა მიმდინარეობდა. ისიც იცოდა, რომ საბჭოს მისი ბედი უნდა გადაეწყვიტა. ჟოზე დათხოვნას შეგუებული იყო. ამიტომ **ფრენკ ლემპარდს** დაურეკა და დაემშვიდობა. მოურინიომ სხვა ლიდერებსაც გაუგზავნა ტექსტური შეტყობინებები, თუმცა **ჯონ ტერის** არ შეხმიანებია. "ჩელსის" კაპიტანი ბოლო მომენტამდე მისი ერთგული მოკავშირე იყო. "რუსენბორგთან" სამშაბათის მატჩის შემდეგ მწვრთნელსა და ფეხბურთელს შორის რაღაც მოხდა. ინციდენტს რამდენიმე თვითმხილველი ჰყავს, მაგრამ ისინი არაფერს ამბობენ. "სანის" მიმომხილველი ანონიმურ წყაროზე დაყრდნობით წერს, მოურინიომ გაკვირვება ვერ დამალა ტერის სუსტი თამაშით. შემდეგ ექიმებს მიუბრუნდა და ჰკითხა, მათ თუ შეეძლოთ, აეხსნათ, რა სჭირდა კაპიტანს. ტერიმ სხვებისაგან გაიგო, რომ მწვრთნელი მისი თამაშის უკმაყოფილო იყო. მან ჟოზეს რაღაც უხეშად უთხრა. მწვრთნელმაც უხეშად უპასუხა. "სანს" თუ დავუჯერებთ, ამ ამბავმა დირექტორების ყურამდე მიაღწია. კაპიტანთან კონფლიქტი იმის ნიშნად ჩაითვალა იყო, რომ მოურინიო გასახდელში წესრიგის დამყარებასაც ველარ ახერხებდა. აქამდე ის ფეხბურთელების გასაოცარი მხარდაჭერით სარგებლობდა. ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც მოურინიო ჯერ კიდევ წლის დასაწყისში არ დაითხოვეს, მოთამაშეების საჯარო მხარდაჭერა გახლდათ, მაგრამ სამი დღის წინ მწვრთნელის მოკავშირეთა ბანაკს ერთი გავლენიანი წევრი გამოაკლდა.

თუ მოურინიო დასვენებაზე უარს იტყვის და ახალი სამსახურის ძებნას შეუდგება, უმალ არაერთ სარფიან წინადადებას მიიღებს. მისი მიღწევები ვერც ერთ ევროპულ გრანდს ვერ დატოვებს გულგრილს. მოდით, თვალი გადავავლოთ ჟოზეს ბოლო ოთხი წლის მონაგარს: 2003 წელს მისმა "პორტუმ" უეფას თასი მოიგო, 2004 წელს ჩემპიონთა თასს დაეუფლა. 2005 წელს მოურინიოს "ჩელსი" ინგლისის ჩემპიონი გახდა - პირველად 50 წელიწადში. 2006 წელს "არისტოკრატები" ზედიზედ მეორედ დაეუფლნენ ჩემპიონის ტიტულს. 2005 და 2007 წლებში მოურინიომ ლიგის თასი დაისაკუთრა, ხოლო 2007 წელს, ლიგის თასთან ერთად, ასოციაციის თასსაც გაუსინჯა გემო. ჟოზეს "ჩელსიმ" ყველა ტურნირზე 185 მატჩი ჩაატარა, 124 მოიგო, 40 ფრედ დაასრულა და 21 წააგო (პრემიერლიგაში: 120 მატჩი, 85 მოგება, 25 ფრე და მხოლოდ 10 მარცხი). მოურინიოს ინგლისის ჩემპიონატის საშინაო შეხვედრა ერთხელაც არ წაუგია.

შთამბეჭდავი მონაგარია, მაგრამ სრულ ბედნიერებას ჩემპიონთა ლიგის მოგება დააკლდა. "ჩელსი" ევროპულ სარბიელზე ვერაფერს გახდა. ჟოზემ გუნდი ფინალშიც კი ვერ გაიყვანა: ორჯერ ნახევარფინალში "ლივერპულთან" წააგო და ერთხელ მერვედფინალში "ბარსელონასთან". **რომან აბრამოვიჩს** ევროპის დაპყრობა სურდა. მან "ჩელსის" ტრანსფერებში 500 მილიონი გირვანქა ჩადო. ამიტომ არაფრის გაგონება არ ისურვა. მისთვის საკმარისი აღმოჩნდა ის, რომ "არისტოკრატებმა" ვერც ჩემპიონთა თასი დაისაკუთრეს და ვერც ისეთი სანახაობრივი ფეხბურთი ითამაშეს, რისი ნახვაც რუს ოლიგარქს სურდა. სამშაბათს "ჩელსიმ" ნორვეგიულ "რუსენბორგსაც" კი ვერ მოუგო. იქამდე პრემიერლიგაში "ასტონ ვილასთან" 0:2 წააგო, ხოლო "ბლექბერნთან" უსახურ 0:0-ს დასჯერდა. ლონდონელებმა სამმატჩიანი მოუგებელი სერია გამოაცხვეს და მხოლოდ ერთი გოლი გაიტანეს. კითხვაზე, რატომ ვერ თამაშობდა "ჩელსი", მოურინიომ ასე მიუგო: კარგ ომლეტს კარგი კვერცხი სჭირდება და თუ კვერცხი უხარისხოა, ომლეტიც უხარისხო გამოვაო. ნორვეგიელებთან თამაშს მხოლოდ 25 ათასი მაყურებელი დაესწრო. "სტემფორდ ბრიჯი" სანახევროდ ცარიელი გახლდათ. აბრამოვიჩმა რადიკალური ნაბიჯის გადადგმა, როგორც ჩანს, იმ საღამოს გადაწყვიტა.

მოურინიოსა და აბრამოვიჩის კონფლიქტზე ბევრი დაიწერა. ერთი წლის წინ მოურინიოსთან შეუთანხმებლად გენერალურ მენეჯერად **ფრანკ არნესენი** დანიშნეს. ასევე ჟოზეს უკითხავად გაუფორმეს კონტრაქტი **ანდრეი შევჩენკოს** (უკრაინელში 30 მილიონი გირვანქა გადაიხადეს). იანვარში მწვრთნელს სასურველ ტრანსფერებზე უარი უთხრეს. აბრამოვიჩის აზრით, გუნდს გაძლიერება არ სჭირდებოდა. ზამთრის ტრანსფერებისას "ჩელსიში" ტრავმების ეპიდემია მძვინვარებდა. მოგვიანებით, მოურინიომ ჩემპიონის ტიტულის დათმობა იმ პერიოდში დაკარგული ქულებით ახსნა. იანვრის ტრანსფერებისას პირველად გაიჟღერა **აბრაამ გრანტის** გვარმა. ის "პორტსმუთის" სპორტულ დირექტორი იყო და "ჩელსიში" იგივე თანამდებობა შესთავაზეს. თანაც გრანტი მოურინიოს თითქოს შევჩენკოსთან ურთიერთობაში უნდა დახმარებოდა (!). მოურინიო გრძნობდა, რომ მისი პოზიციები დღითიდღე სუსტდებოდა. სატრანსფერო საკითხების გადაწყვეტისას აბრამოვიჩი არნესენს უფრო უსმენდა, ვიდრე ჟოზეს. გასულ ზაფხულს გრანტმა "ჩელსიში" შეპირებული პოსტი მიიღო, ხოლო გუშინ მთავარი მწვრთნელის მოვალეობის შემსრულებლად დაინიშნა.

აბრაამ გრანტი 51 წლისაა. ის ისრაელის ნაკრებში მუშაობდა. 2005 წელს მისმა შეგირდებმა შესარჩევი ტურნირი წაუგებლად დაასრულეს და მუნდიალის ფინალურ ეტაპამდე სულ ცოტა დააკლდათ. საკლუბო დონეზე გრანტს თელ ავივის "მაკაბი" და ჰაიფის "მაკაბი" გაუწვრთნია. მის ასისტენტად "ჩელსის" სტაჟიანი დამრიგებელი **სტივ კლარკი** იმუშავებს. კლარკი "არისტოკრატების" ლეგენდად ითვლება. ის სტემფორდ ბრიჯზე 1987 წელს, "სენტ. მირენიდან" მივიდა და 1998 წლამდე მისი ფეხბურთელი იყო. ამ ხნის განმავლობაში შოტლანდიელმა მცველმა 400-ზე მეტი მატჩი ჩაატარა (ყველა ტურნირზე) და ასოციაციისა და ლიგის თასები მოიგო. კარიერის დასრულების შემდეგ კლარკი მწვრთნელობას შეუდგა, მაგრამ დამოუკიდებლად მხოლოდ ერთ შეხვედრაში გაუძღვა გუნდს. 1999-2000 წლების სეზონის დასაწყისში ის "ნიუკასლის" დამრიგებელი იყო, მაგრამ პირველივე ტურის შემდეგ გაუშვეს. ამის შემდეგ მისტერ სტივი "ჩელსიში" დაბრუნდა და **კლაუდიო რანიერის** შტაბში მოეწყო. რანიერის აბარგების შემდეგ ის ჟოზე მოურინიომაც დაიტოვა. და აი, კლარკი მესამე მთავარი მწვრთნელის თანაშემწედ იმუშავებს. გრანტისა და კლარკის დუეტს უსერიოზულესი გამოცდა ელის. ზეგ ლონდონელები "მანჩესტერ იუნაიტედს" ესტუმრებიან.

გრანტი, შეიძლება, სეზონის ბოლომდე დარჩეს. თუ მას შთამბეჭდავი შედეგები ექნება, ხანგრძლივ კონტრაქტს შესთავაზებენ. არც ისაა გამორიცხული, მისტერ გრანტი იმ დრომდე დაასაქმონ, სანამ ავტორიტეტულ მწვრთნელს არ მოძებნიან. "სანმა" სია უკვე ჩამოწერა. ამ სიაში პირველი ორი ადგილი იტალიელ მაესტროებს უჭირავთ: **ფაბიო კაპელოსა** და **მარჩელო ლიპის**. კაპელო "რეალიდან" აბარგების შემდეგ უსაქმოდაა, ხოლო ლიპის შარშანდელი ტრიუმფალური მუნდიალის შემდეგ არ უმუშავია. ერთსაც და მეორესაც ინგლისში მუშაობა სურს. იტალიელ სპეციალისტებს "ჩელსისთან" დაკავშირებით კომენტარები არ გაუკეთებიათ.

კანდიდატთა შორის არიან რუსეთის ნაკრების თავკაცი **გუუს ჰიდინკი**, გერმანიის ნაკრების ყოფილი დამრიგებელი **იურგენ კლინსმანი**, "სევილიის" ბოსი **ხუანდე რამოსი**, აგრეთვე "იუვენტუსის" ყოფილი მწვრთნელი **დიდიე დეშამი**. ჰიდინკის გვარმა პირველად იანვრის კრიზისისას გაიჟღერა. ამბობენ, რომ ჰოლანდიელს რუსეთში მუშაობისათვის "ჩელსის" ბოსი უხდის ხელფასს, რადგან ის ქვეყნის საფეხბურთო კავშირის სპონსორია. "სქაი ნიუსი" ფავორიტად დეშამს ასახელებს. დიდიე მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონია. 1999-2000 წლებში ის "ჩელსიში" თამაშობდა და ასოციაციის თასი მოიგო. გასულ სეზონში კი "იუვენტუსი" ჩაიბარა და ის უმაღლეს დივიზიონში დააბრუნა.

არანაკლებ საინტერესოა ისიც, თუ სად გააგრძელებს კარიერას ჟოზე მოურინიო. უილიამ ჰილის საბუქმეიქერო კანტორამ ფსონები უკვე ჩამოწერა. ფსონებით თუ ვიმსჯელებთ, მოურინიო პორტუგალიის ნაკრების მწვრთნელი უნდა გახდეს (2/1). მომდევნო ადგილები ასე განაწილდა: ბარსელონა (5/2), რეალი (6/1), მილანი (8/1), ბენფიკა ან პორტუ (10/1), ინტერი ან იუვენტუსი (14/1), არსენალი, ლივერპული, მანჩესტერ იუნაიტედი ან ტოტენჰემი (16/1).

ექსპერტის თვალით

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ფული არ არის ის, რაც ბედნიერებას მოგიტანს

ჟოზე მოურინიოს ყოვლისშემძლე "ჩელსიდან" წასვლა ნათელი დადასტურებაა იმისა, რომ ფეხბურთის მთავარი ღირებულება თამაში და ხალისია, რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი შედეგით უნდა იყოს ზურგგამაგრებული. მოგვწონს თუ არა, ერთ დროს ლამაზი სპორტის ტრანსფორმირება და მომგებიან ბიზნესად გადაქცევა მილიარდერმა ოლიგარქებმა შეძლეს. ისინი ამ იმპერიის ბატონ-პატრონები გახდნენ და თავს ისე გრძნობენ, როგორც საკუთარ სახლში.

ეს ახალი ტენდენციაა. რამდენიმე წლის წინ ისეთმა მულტიმილიარდერებმა, როგორებიც რომან აბრამოვიჩი და ფლორენტინო პერესი არიან, საფეხბურთო სამყაროს გადატრიალება და მთელი ძალაუფლების "უზურპაცია" გადაწყვიტეს. ისინი ფიქრობდნენ, რომ ფულით ყველაფერს მიაღწევდნენ. თქვენ წარმოიდგინეთ, ისეთი მწვრთნელიც კი, როგორიც მოურინიოა, სხვა რელსებზე გადაიყვანეს. არ დაგვავიწყდება ის "პორტუ", რომელიც იმავე მოურინიომ ულამაზესი ფეხბურთით ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებულად აქცია. "ჩელსიში" მოსვლის შემდეგ კი პორტუგალიელმა წარმოუდგენელი სახეცვლილება განიცადა. ის ცნობიერად თუ ქვეცნობიერად, ფულიანი შეფების ნება-სურვილს ემსახურებოდა.

"სტემფორდ ბრიჯზე" ვარსკვლავები ერთმანეთის მიყოლებით მოდიოდნენ. ფული პრობლემა არ იყო. რა თქმა უნდა, არც ახლა არის. აბრამოვიჩმა მწვრთნელს კონკრეტული მიზანი დაუსახა. "ჩელსი" პრემიერლიგისა და ჩემპიონთა ლიგის ბატონ-პატრონი უნდა გამხდარიყო. ამოცანის პირველი ნაწილი წარმატებით გადაიჭრა. დაბანდებულმა ფულმა შედეგი მოიმკო. "არისტოკრატები" ზედიზედ ორჯერ პრემიერლიგის გამარჯვებულები გახდნენ... მაგრამ მოურინიომ კლუბის მეპატრონეს ჩემპიონთა ლიგის თასი ვერ მოუტანა. არადა, აბრამოვიჩი არაფერს ინანებდა, ფულს უხვად იხდიდა და პორტუგალიელს კონტრაქტით გაუთვალისწინებელ საჩუქრებსაც უკეთებდა. მაგალითად, სეუ ჟოზემ ფანტასტიკური და უძვირესი ლიმუზინი მიიღო, მაგრამ მისი ფეშენებელური მანქანა საწვავის გარეშე დარჩა და შუა გზაზე გაჩერდა... ცხოვრებამ დაგვანახა, რომ სქემებისა და სტრატეგიის მოყვარულ ბენიტესსა და ლამაზ ფეხბურთზე გადარეულ ფრანკ რიიკაარდს შეუდარებლად მცირე თანხებით შეუდარებლად მეტი საქმის გაკეთება შეუძლიათ. მწვრთნელების ერთმანეთთან შედარებას სულაც არ ვაპირებ. უბრალოდ, იმის თქმა მსურს, რომ ფული არ არის ის, რაც ბედნიერებას მოგიტანს, მით უმეტეს, ფეხბურთში. ამისათვის ისეთი რამ არის საჭირო, რასაც ვერ იყიდი. მაშ გაუმარჯოს "რუსენბორგს", რომელმაც აბრამოვიჩის იმპერიაში ბზარი გააჩინა. ასეც ხდება, მრავალი ნულით დამშვენებულ კონტრაქტებს ზოგჯერ ულარიბესი კლუბის ფეხბურთელები თელავენ. ცხოვრებამ თავისი მოიტანა და ყველა დარწმუნდა, რომ ფეხბურთი მასების სპორტია. მას ყველაზე მეტი მოყვარული საშუალო ფენის ოჯახებში ჰყავს, ამიტომ ფეხბურთი სილამაზემ უნდა აცოცხლოს და არა ასობით მილიონიანმა დანახარჯებმა.

ფრანსისკო ვილიალობოსი
დიარიო მარკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უეფას თასი. I რაუნდი. I მატჩები

**სპარტაკი (რუსეთი)-ჰაკენი (შვედეთი) 5:0**

გოლები: 1:0 პავლიუჩენკო (6), 2:0 პავლიუჩენკო (13), 3:0 პავლიუჩენკო (19), 4:0 ველიტონი (56), 5:0 ტიტოვი (57)

**ლარისა (საბერძნეთი)-ბლექბერნი (ინგლისი) 2:0**

გოლები: 1:0 ბაკაიოკო (31), 2:0 კლეიტონი (33)

**ლევერკუზენი (გერმანია)-ლეირია (პორტუგალია) 3:1**

გოლები: 1:0 კისლინგი (19), 1:1 ჟოაო პაულო (29), 2:1 როლფესი (32), 3:1 კისლინგი (80)
გაძევება: გრეშკო (80. ლევერკუზენი), ფარია (87. ლეირია)

**ვროცლავი (პოლონეთი)-ცრვენა ზვეზდა (სერბეთი) 0:1**

გოლი: 0:1 ბასტა (19)

**აეკ (საბერძნეთი)-ზალცბურგი (ავსტრია) 3:0**

გოლები: 1:0 ჟერალდო (3), 2:0 რივალდო (58), 3:0 კონე (82)
გაძევება: ვარგასი (71. ზალცბურგი)

**ტამპერე (ფინეთი)-ბორდო (საფრანგეთი) 2:3**

გოლები: 1:0 ვისი (7), 1:1 კავენაგი (47), 2:1 პეტრესკუ (68), 2:2 კავენაგი (90), 2:3 მიკუ (90)

**ზენიტი (რუსეთი)-სტანდარდი (ბელგია) 3:0**

გოლები: 1:0 არშავინი (39), 2:0 არშავინი (60), 3:0 კიმი (86)

**ბოლესლავი (ჩეხეთი)-პალერმო (იტალია) 0:1**

გოლი: 0:1 იანკოვიჩი (90)

**დინამო (ხორვატია)-აიაქსი (ჰოლანდია) 0:1**

გოლი: 0:1 რომედალი (62)

**სოშო (საფრანგეთი)-პანიონიოსი (საბერძნეთი) 0:2**

გოლები: 0:1 ჯებური (27), 0:2 ფერნანდესი (54)

**ბაიერნი (გერმანია)-ბელენენსეში (პორტუგალია) 1:0**

გოლი: 1:0 ტონი (34)

**ბრანი (ნორვეგია)-ბრიუგე (ბელგია) 0:1**

გოლი: 0:1 სტერკელე (85)

**ჰამარბიუ (შვედეთი)-ბრაგა (პორტუგალია) 2:1**

გოლები: 1:0 ანდერსონი (49), 1:1 ლინცი (58), 2:1 ანდერსონი (65)

**დინამო (რუმინეთი)-ელფსბორგი (შვედეთი) 1:2**

გოლები: 1:0 ნიკულესკუ (8), 1:1 კინი (10), 1:2 კინი (31)

**ლოკომოტივი (ბულგარეთი)-რენი (საფრანგეთი) 1:3**

გოლები: 0:1 ლერუა (38), 1:1 დაფჩევი (50), 1:2 შეირუ (73), 1:3 ლერუა (90)

**მიდტიულანდი (დანია)-ლოკომოტივი (რუსეთი) 1:3**

გოლები: 1:0 კოლინზი (30), 1:1 სამედოვი (61), 1:2 ბილიალეტდინოვი (70), 1:3 სიჩოვი (90)

**სარაევო (ბოსნია)-ბაზელი (შვეიცარია) 1:2**

გოლები: 0:1 კარლიტუში (11), 0:2 ერგიჩი (67), 1:2 მილოშევიჩი (90)

**რაბოტნიჩკი (მაკედონია)-ბოლტონი (ინგლისი) 1:1**

გოლები: 1:0 მილისავლევიჩი (53), 1:1 მეიტე (84)

**არტმედია (სლოვაკეთი)-პანათინაიკოსი (საბერძნეთი) 1:2**

გოლები: 1:0 ჰალენარი (47), 1:1 პაპადოპულოსი (62), 1:2 ნ'დოიე (90)
გაძევება: ბორბელი (90. არტმედია)

**სიონი (შვეიცარია)-გალათასარაი (თურქეთი) 3:2**

გოლები: 1:0 დომინგესი (7), 2:0 ვანჩაკი (10), 3:0 ალიუი (32), 3:1 ლინკოლნი (39), 3:2 ლინდეროტი (67)

**სპარტა (ჩეხეთი)-ოდენსე (დანია) 0:0**

**არისი (საბერძნეთი)-სარაგოსა (ესპანეთი) 1:0**

გოლი: 1:0 პაპადოპულოსი (7)

**გრონინგენი (ჰოლანდია)-ფიორენტინა (იტალია) 1:1**

გოლები: 1:0 ლოვრე (26), 1:1 სემიოლი (66)

**ტულუზა (საფრანგეთი)-ცსკა (ბულგარეთი) 0:0**

**ანდერლეხტი (ბელგია)-რაპიდი (ავსტრია) 1:1**

გოლები: 1:0 აქინი (11), 1:1 ჰოფმანი (82)

**ატლეტიკო (ესპანეთი)-ერჩიესი (თურქეთი) 4:0**

გოლები: 1:0 მისტა (12), 2:0 ფორლანი (17), 3:0 ლუის გარსია (82), 4:0 ლუის გარსია (90)

**აუსტრია (ავსტრია)-ვოლერენგა (ნორვეგია) 2:0**

გოლები: 1:0 კულიჩი (41), 2:0 ლასნიკი (62)

**ნიურნბერგი (გერმანია)-რაპიდი (რუმინეთი) 0:0**

**სამპდორია (იტალია)-ოლბორგი (დანია) 2:2**

გოლები: 1:0 დელვეკიო (18), 1:1 პრიცა (19), 1:2 იოჰანსონი (54), 2:2 ბელუჩი (58)

**ჰეერენვეენი (ჰოლანდია)-ჰელსინგბორგი (შვედეთი) 5:3**

გოლები: 1:0 ბრედლი (20), 2:0 სიბონი (30), 3:0 სიბონი (34), 3:1 ლარსონი (53), 3:2 ომოტოისი (57), 4:2 ბაკი (59), 5:2 ბრედლი (60), 5:3 ლარსონი (70-პენ)

**ჰაპოელი (თ-ა. ისრაელი)-აიკ (შვედეთი) 0:0**

**ემპოლი (იტალია)-ციურიხი (შვეიცარია) 2:1**

გოლები: 1:0 პიკოლო (41), 2:0 ანტონინი (48-პენ), 2:1 ალფონსი (74)

**ხეტაფე (ესპანეთი)-ტვენტე (ჰოლანდია) 1:0**

გოლი: 1:0 უჩე (90)
გაძევება: ბრააფჰეიდი (62. ტვენტე)

**ტოტენჰემი (ინგლისი)-ანორთოსისი (კვიპროსი) 6:1**

გოლები: 1:0 ქაბული (5), 2:0 დოუსონი (40), 3:0 კინი (42), 4:0 ბენტი (43), 5:0 დეფო (65), 5:1 ზლოგარი (81), 6:1 დეფო (90)

**აბერდინი (შოტლანდია)-დნიპრო (უკრაინა) 0:0**

**ევერტონი (ინგლისი)-მეტალისტი (უკრაინა) 1:1**

გოლები: 1:0 ლესკოტი (24), 1:1 ზეზე (78)
გაძევება: განჩარჩიკი (71. მეტალისტი), ბაბიჩი (89. მეტალისტი)

**ვილიარეალი (ესპანეთი)-ბატე (ბელარუსი) 4:1**

გოლები: 1:0 ნიჰათი (5), 2:0 სენა (17), 3:0 ნიჰათი (50), 4:0 ტომასონი (54), 4:1 ჟავნერჩიკი (67)

**პაკუშ ფერეირა (პორტუგალია)-ალკმაარი (ჰოლანდია) 0:1**

გოლი: 0:1 პოკონიოლი (89)

რეალი. მოწმენდილ ცაზე მეხი გავარდა

# შუსტერი სამეფო კლუბიდან წასვლაზე ალაპარაკდა

### გერმანელ სპეციალისტს მადრიდში შექმნილი სიტუაცია არ მოსწონს. ამბობს, რომ იძულებულია, სხვისი მოფიქრებულით იაზროვნოს



ბერნდ შუსტერმა მოულოდნელი განცხადება გააკეთა

ზუსტად 16 წელია, რაც მადრიდის "რეალს" პრიმერა დივიზიონში ასეთი წარმატებული სტარტი არ ჰქონია. სამეფო კლუბმა ზედიზედ სამი შეხვედრა მოიგო. გასულ სამშაბათს კი მადრიდელებმა "ვერდერთან" საჩემპიონთალიგო დაპირისპირებაშიც გაიმარჯვეს. დაგვეთანხმებით, **ბერნდ შუსტერის** ხელი კლუბს ძალიან მალე დაეტყო. ერთი შეხედვით, გერმანელ სპეციალისტს ყველა პირობა აქვს იმისთვის, რომ ცხოვრებით დატკბეს, თუმცა გუშინ სენსაციური ინფორმაცია შევიტყვეთ. შუსტერმა გერმანული კომერციული არხის, "პრემიერისთვის" მიცემულ ინტერვიუში განაცხადა: *"სანტიაგო ბერნაბეუზე" მოსვლით დიდი ხნის ოცნება ავისრულე. არასოდეს დამიმალავს, რომ "რეალის" გაძღოლა მსურდა. გასული სეზონის დასრულების შემდეგ ნატვრა ავიხდინე. ახალი სეზონიც შესანიშნავად დაიწყო, მაგრამ ჩემს თანამემამულეებს გულწრფელად მინდა ვესაუბრო. სამეფო კლუბში უცნაური ატმოსფერო სუფევს. ატმოსფერო, რომელიც ჩემს მომავალთან დაკავშირებით უამრავ ეჭვს მიჩენს. ერთი რამ უდავოა, მას შემდეგ, რაც მე "რეალში" ვთამაშობდი, ფაქტობრივად, ყველაფერი შეიცვალა. შედარებას თუ გავაკეთებთ, ორ აბსოლუტურად განსხვავებულ გუნდს მივიღებთ. თავისუფალი ადამიანი ვარ და ჩემი ღირსება მკარნახობს, რომ ნებისმიერი მოვლენა პირადი შეხედულებისამებრ შევაფასო. სამწუხაროდ, სამეფო კლუბში ინფორმაციას არ განვდიან, მხოლოდ საკუთარ მოსაზრებებს გახვევენ თავს. არადა, მირჩევნია, მშრალი ინფორმაცია მივიღო და დასკვნები თავად, ჩემი აზროვნებით გამოვიტანო. როგორც ჩანს, გარკვეულ პირებს ასე არ სურთ, მე კი არასოდეს შევეგუები იმას, რომ სხვის მიერ მოფიქრებულით ვიხელმძღვანელო და ვიაზროვნო. არ დავმალავ, ამ თვალსაზრისით ძალიან არაკომფორტულად ვგრძნობ თავს. მიმდინარე სეზონს ნებისმიერ შემთხვევაში "ბერნაბეუზე" დავასრულებ, შემდეგ კი სერიოზულად დავფიქრდები და გადაწყვეტილებას მივიღებ. გამორიცხული არ არის, გუნდი დავტოვო."*

შუსტერის ამ მართლაც სენსაციურმა განცხადებამ ესპანეთში, რა თქმა უნდა, უდიდესი გამოხმაურება პოვა. ჟურნალისტებმა გერმანელი სპეციალისტი აიძულეს, ახსნა-განმარტებები გაეკეთებინა. ჰერ ბერნდმა სხვების მსგავსად, ტელეჟურნალისტებისკენ არ გაიშვირა ხელი და ისინი ნათქვამის ინტერპრეტირებაში არ დაადანაშაულა: *"ისეთი აჟიოტაჟი ატეხეთ, თითქოს, დღესვე მივდიოდე. "რეალის" მწვრთნელობა ნებისმიერ შემთხვევაში საამაყო და სასიხარულოა. ბედნიერი ვარ, რომ განგებამ ასეთი პატივი მაღირსა, მაგრამ მომავალში რა მოხდება, არავინ იცის. როგორც ჩანს, "პრემიერისთვის" მიცემული ინტერვიუ კარგად შეისწავლეთ, ამიტომ გამეორებას აზრი აღარ აქვს. ვთქვი ის, რაც ვთქვი. მთავარია, რომ მაყურებლებს ჩემი მოსაზრებები გულწრფელად გავუზიარე."*

ბარსელონა. დიდი სკანდალის მოლოდინში

# რად დაუჯდება რიიკაარდს რონალდინიოს შეცვლა?

### ესპანეთში ვარაუდობენ, რომ გაუჩო იანვარში კამპ ნოუს დატოვებს, იმასაც ვარაუდობენ, რომ რიიკაარდს ალეხანკოსა და კრუიფის ტანდემი შეცვლის...


თუ ფრანკ რიიკაარდს დაითხოვენ, ახალ სამწვრთნელო შტაბში შეიძლება იოჰან კრუიფი ვიხილოთო...

"ბარსელონისა" და "ლიონის" მატჩის 65-ე წუთზე **ფრანკ რიიკაარდმა რონალდინიო** შეცვალა. ესპანელი ჟურნალისტების ვარაუდით, ჰოლანდიელი სპეციალისტის მიერ გადადგმული ეს ნაბიჯი, შესაძლოა, დიდი დაძაბულობის მიზეზი გახდეს. ჯერ ერთი, რომ რონალდინიომ შეცვლა ძალიან მტკივნეულად მიიღო. გარდა ამისა, გულშემატკივრები ორ ნაწილად გაიყვნენ. ნაწილმა ბრაზილიელი სტვენით აიკლო, ნაწილმა გაუჩო ტაშით გააცილა. ყველაზე საშიში კი რონალდინიოს "ბარსელონიდან" წასვლის შესაძლებლობის გაზრდაა. პირენეელი მასმედიელები დარწმუნებულები არიან, რონი თავს ჯეროვნად დაფასებულად ვერ გრძნობს და იანვარში "კამპ ნოუს" დატოვებას შეეცდება. დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ მსოფლიოს ერთ-ერთი კაშკაშა ვარსკვლავით დაინტერესებული "მილანი" შანსს ხელიდან არ გაუშვებს, სანადელს მიაღწიოს. თავად განსაჯეთ, "ბარსასა" და "ლიონის" მატჩის მეორე დღეს "როსონერის" მმართველმა **ადრიანო გალიანიმ** ეს პროვოკაციული განცხადება გააკეთა: *"თუ რონალდინიო "კამპ ნოუზე" ბედნიერად ვერ იგრძნობს თავს, შეუძლია, ნებისმიერ წამს მოგვმართოს და საუკეთესო პირობებს შევუქმნით. ფანტასტიკურ კონტრაქტს გავუფორმებთ და ძირითად შემადგენლობაში თამაშის გარანტიას მივცემთ. ჩემი აზრით, ბრაზილიელისთვის უმჯობესი იქნება, კლუბი შეიცვალოს და "სან სიროზე" გააგრძელოს კარიერა."*

შესაძლოა ვინმემ იფიქროს, გალიანის ეს განცხადება ბევრს არაფერს ნიშნავსო, მაგრამ მითქმა-მოთქმა არ წყდება იმის შესახებ, რომ რონალდინიო კლუბის ხელმძღვანელობის დამოკიდებულებით მეტისმეტად უკმაყოფილოა. სხვათა შორის, **ხოან ლაპორტა** და ფრანკ რიიკაარდი ვარსკვლავის გაკრიტიკებას აღარ ერიდებიან. არადა, წინა წლებში გაუჩოს რაც არ უნდა გაეკეთებინა, მის წინააღმდეგ არავინ არაფერს ამბობდა...

აქვე კიდევ ერთი ინფორმაცია კატალონიელთა ბანაკიდან. **იოჰან კრუიფი**, შეიძლება, "ბარსელონაში" დაბრუნდესო, იუწყება "ასი". "ოსასუნასთან" სენსაციური ფრის შემდეგ (0:0) კატალონიური გრანდის დირექტორატმა საგანგებო სხდომა გამართა. მოგეხსენებათ, სხდომაზე რიიკაარდის საკითხი განიხილეს. ფრანკს წყალი შეუდგაო, ასე გამოხმაურება მოჰყვა ამ შეკრებას ესპანურ პრესაში. და აი, "ასისათვის" ცნობილი გახდა, რომ თუ რიიკაარდს კარისკენ მიუთითებენ, მის ნაცვლად **ხოსე რამონ ალეხანკო** დაინიშნება, მფრინავი ჰოლანდიელი კი მთავარი მწვრთნელის მრჩევლად იმუშავებს.

"ლიონთან" ოთხშაბათის მატჩის შემდეგ სამწვრთნელო გადაადგილებებზე საუბარი უხერხულიც კია, მაგრამ "ასი" ირწმუნება, რომ ალეხანკოსა და კრუიფის ტანდემთან დაკავშირებით პრინციპული გადაწყვეტილება მიღებულია. როგორც კი "ბარსაში" მორიგი კრიზისი იფეთქებს, პრეზიდენტი ლაპორტა რადიკალურ ზომებს მიმართავს. პრიმერა დივიზიონის მომდევნო ორ ტურში კატალონიელებს რთული მატჩები ელით: "სევილიასა" და "სარაგოსასთან".

ვარსკვლავი

# სჭირდება თუ არა ოუენს ოპერაცია?

**მაიკლ ოუენთან** დაკავშირებით ურთიერთგამომრიცხავი ცნობები ვრცელდება. დაზუსტებით ვერავინ ამბობს, სჭირდება თუ არა ფეხბურთელს ოპერაცია. "ნიუკასლის" თავდამსხმელი "დერბისთან" ორშაბათის მატჩში დაშავდა. მას საზარდულის ძველმა ტრავმამ შეახსენა თავი. მაიკლი 55-ე წუთზე შეცვალეს. ჯორდების თავკაცმა **სემ ელერდაისმა** გულშემატკივრები დაამშვიდა. მისი თქმით, ფორვარდი თავს კარგად გრძნობს და "ვესტ ჰემთან" აუცილებლად ითამაშებს. "ინდეპენდენტში" კი ვკითხულობთ, რომ ოუენი "ჩაქუჩებთან", შეიძლება, ნამდვილად ვიხილოთ, მაგრამ შემდეგ შვებულების აღება დასჭირდება. მაიკლის ტრავმა იმაზე სერიოზულია, ვიდრე ვარაუდობდნენ. პრობლემის მოგვარების საუკეთესო ხერხი ოპერაციაა. ქირურგიული ჩარევის შემთხვევაში, თავდამსხმელს ექვსი კვირა გაუცდება. ესე იგი, ის ოქტომბრის შესარჩევ მატჩებში ვერ ითამაშებს. 13 და 17 ოქტომბერს ინგლისი ესტონეთს უმასპინძლებს და რუსეთს ესტუმრება. ამ შეხვედრებში ოუენის მონაწილეობა საეჭვოა. აქვე გეტყვით, რომ გამოჯანმრთელების შემდეგ მაიკლმა კლუბისა და ნაკრების ძირითად შემადგენლობაში ხუთი თამაში ჩაატარა და ხუთი გოლი შეაგდო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. I ტური

# როგორ მოვუგეთ ინტერს...

## პირველმა ტურმა სამი მწვრთნელი შეიწირა: მოურინიოს ჰაჯი და დემიანენკოც მიყვნენ

**ჩემპიონთა ლიგის ერთ-ერთ ფავორიტად შერაცხულმა "ინტერმა" მოულოდნელი მარცხი იწვნია სტამბოლში და თავისი სტატუსი ეჭვქვეშ დააყენა. ეს იყო ოთხშაბათის ყველაზე ხმაურიანი ამბავი, თუმცა სხვა თამაშების გამოყოფაც შეიძლება. მაგალითად, სიურპრიზი იყო "ემირიტსზე" ერთობ ულიმღამო "სევილიის" ხილვა. ამის ანალოგი იყო ერთ დროს ფრიად სიმპათიური "ლიონი", რომელსაც ძველ იმიჯთან აღარაფერი აკავშირებს, ყოველ შემთხვევაში, ასეთია პირველი ტურის შთაბეჭდილებები. დიახ, დასაწყისი ყოველთვის რთულია, მაგრამ ეს არ არის რკინის არგუმენტი. თუმც იმედი ვიქონიოთ, რომ პირველ ტურში დამარცხებულები მწარე გაკვეთილებს გაითვალისწინებენ, ბოლომდე იბრძოლებენ და ჯგუფური ეტაპის ინტრიგას არ მოკლავენ...**

### E ჯგუფი

**ბარსელონა–ლიონი 3:0**

ბარსელონა: ვალდესი, ძამბროტა, მარკესი, გაბრიელ მილიტო, აბიდალი, ჩავი (79. ჯოვანი), იაია ტურე, დეკუ, მესი (88. კრკიჩი), რონალდინიო (66. ინიესტა), ანრი.

**ლიონი:** ვერკუტრი, კლერკი, სკილაჩი, ბოდმერი, რევეიერი, ჟუნინიო, ტულალანი, კალსტრიომი (84. კეიტა), ბელაჯი (62. ბარომი), ბენზემა (76. ბენ აფრა), გოვუ.

**გოლები:** 1:0 კლერკი (21-საკ. კარში), 2:0 მესი (82), 3:0 ანრი (90)

**მაყურებელი:** 80 000

**არბიტრი:** მასიმო ბუსაკა (შვეიცარია)

ჩემპიონთა ლიგის პირველი ტურის შეხვედრაში მოპოვებული შთამბეჭდავი გამარჯვებით "ბარსელონას" და განსაკუთრებით მის მთავარ მწვრთნელს ამოსუნთქვის საშუალება მიეცათ. კატალონიური გრანდის წარმატება დიდწილად **ლეო მესის** ფანტასტიკურმა თამაშმა განაპირობა. აქვე უნდა ითქვას, რომ "ლიონმა" სპეციალისტების მოლოდინი გააცრუა. ფრანგულ გუნდს ღირებული არაფერი გაუკეთებია. როგორც ხედავთ, "ბარსამ" დიდი ანგარიშით მოიგო, თუმცა სოლიდურ უპირატესობას მასპინძლებმა მხოლოდ შეხვედრის მიწურულს მიაღწიეს. მეორე გოლი მესიმ სტუმართა დახმარების გარეშე გაიტანა. აღსანიშნავია, რომ ანგარიშის გახსნისას მის მიერ დარტყმული ბურთი **კლერკმა** საკუთარ კარში ჩაჭრა. **ვერკუტრს** ბოლოს **ტიერი ანრიმაც** გაუტანა. ხაზი უნდა გაესვას, რომ "ბარსელონის" ახალწვეულმა ოფიციალურ შეხვედრაში პირველად შეაგდო.

როგორც მოგახსენეთ, "ლიონი" უსუსურად გამოიყურებოდა, მაგრამ მატჩის დებიუტში ფრანგები შედარებით აქტიურად თამაშობდნენ. მე-5 წუთიდან კი **ფრანკ რიიკაარდის** შეგირდებმა ინიციატივა ხელში იგდეს და ფრანგებს უამრავი პრობლემა შეუქმნეს. საწყის ოც წუთში ლეო მესის, **რონალდინიოს, დეკუსა** და **ჩავის** ძალისხმევით იმდენი სახიფათო მომენტი შეიქმნა, რომ არათუ ერთ მატჩს, არამერ რამდენიმე შეხვედრასაც ეყოფოდა. 21-ე წუთზე კი ის მომენტი დადგა, რომელზეც უკვე მოგახსენეთ. მესიმ საჯარიმოს მისადგომებთან ორი მცველი გააბითურა და კარისკენ დაარტყა. კლერკმა ვარდნით სცადა მოგერიება, თუმცა ავტოგოლს გამოჰკრა ხელი. ამის შემდეგ ლიონელები წესით მნიშვნელოვნად უნდა გააქტიურებულიყვნენ, მაგრამ გაირკვა, რომ ეს გუნდი "ბარსასთან" საბრძოლველად მზად არ იყო. **ბენზემამ** მატჩი მთლიანად ჩააგდო. **ჟუნინიო** სადღაც უკვალოდ გაქრა. **კალსტრომს** არაფერი გამოსდიოდა, კატალონიელები კი კვლავ დიდი ძალებით უტევდნენ. მესიმ ზედიზედ ორი ასპროცენტიანი მომენტი ვერ გამოიყენა...

შესვენების შემდეგ თამაში ანალოგიური სცენარით წარიმართა. ახალგაზრდა არგენტინელი ფორვარდი "ლიონის" მცველს მოსვენებას არ აძლევდა. ლეომ კიდევ ერთი მომენტი გააფუჭა. ამასობაში, 65-ე წუთი დადგა. ფრანკ რიიკაარდმა რონალდინიო **ინიესტათი** შეცვალა. აშკარად ჩანდა, რომ ბრაზილიელი მწვრთნელის გადაწყვეტილებით აღშფოთებული დარჩა. ანდრესი ორთაბრძოლაში შესანიშნავად ჩაერთო. მართალია, მას შესაძლებლობების გამოსამჟღავნებლად ნახევარი საათიც არ ჰქონდა, მაგრამ მაინც შეძლო და დაამტკიცა, რომ ძირითად შემადგენლობაში ადგილს იმსახურებს. საფინალო სასტვენამდე 7 წუთით ადრე მესიმ ლამაზი გოლი გაიტანა და გულშემატკივრებს დამშვიდების საშუალება მისცა. ბოლოს ანრის ჯერიც დადგა. ტიერიმ ნავსი გატეხა და როგორც იქნა, "ბარსას" მაისურით იხეირა. ფრანკ რიიკაარდმა ახალგაზრდა ბარსელონელების მიმართ დიდი გულმოწყალება გამოიჩინა. მან **ჯოვანი დოს სანტოსსა** და **ბოიან კრკიჩს** ჩემპიონთა ლიგაში სადებიუტო შეხვედრის ჩატარების საშუალება მისცა. აღსანიშნავია, რომ ბოიანი ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთელია მათ შორის, ვისაც ჩემპიონთა ლიგაში ოდესმე უასპარეზია.

მასპინძელთა დამრიგებელი გახარებული და კმაყოფილი გახლდათ: *"ძალიან კარგად ვითამაშეთ. კიდევ ერთხელ გამოჩნდა, რომ "ბარსას" ბრძენი ფეხბურთელები ჰყავს. მშვიდად ვმოქმედებდით და ნაბიჯ-ნაბიჯ მივიწევდით წინ. ვფიქრობ, სანახაობრივი თვალსაზრისითაც შესანიშნავად გამოვიყურებოდით. ტრიბუნებიდან წამოსული მუხტი მაფიქრებინებს, რომ გულშემატკივრები კმაყოფილები დარჩნენ."*

რიიკაარდს, რა თქმა უნდა, რონალდინიოს შეცვლის მიზეზზეც ჰკითხეს. არავის გამოპარვია, რომ გაუჩომ მოედანი ძალიან მკაცრი გამომეტყველებით დატოვა. ჰოლანდიელმა სპეციალისტმა მიღებული გადაწყვეტილება ასე ახსნა: *"შეცვლა არცერთ თავმოყვარე ფეხბურთელს არ სიამოვნებს. არ მიკვირს, რომ ბრაზილიელი უკმაყოფილო დარჩა, მაგრამ არაუშავს, უჩვეულო და სკანდალური არაფერი მომხდარა. რონალდინიო "ბარსელონის" ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფიგურაა. ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ გსურს მოვლენები შეაფასო. ალბათ შეამჩნიეთ, რომ გულშემატკივრების ერთმა ნაწილმა მას სტვენა აუტეხა, მაგრამ უმეტესობამ ოვაციებით გააცილა. მოკლედ, ეს სიტუაცია ნახევრად სავსე ან ცარიელი ჭიქის ისტორიას მაგონებს. ბედნიერი ვარ, რომ ტიერი ანრიმ პირველი გოლი გაიტანა. ეს ძალიან მნიშვნელოვანი წუთია. ფრანგი წამითაც არ გაჩერებულა. ყოველთვის ცდილობდა, ხელსაყრელ პოზიციაზე გასულიყო და გუნდს დახმარებოდა. როგორც იქნა გაუმართლა და ნავსი გატეხა. დარწმუნებული გახლავართ, ტიერი მომავალში კიდევ უფრო შთამბეჭდავად ითამაშებს. "ლიონს" სამართლიანი თამაშისთვის მადლობას მოვახსენებ. ჩვენ საკმაოდ ძლიერ მეტოქეს მოვუგეთ."*

სტუმართა მთავარმა მწვრთნელმა **ალენ პერენმა** გუნდის წარუმატებლობა ლეო მესის ფანტასტიკური თამაშით ახსნა. მისი თქმით, არგენტინელი იმ მოთამაშეთა კატეგორიას განეკუთვნება, რომლებსაც ნებისმიერი მატჩის ბედის გადაწყვეტა შეუძლიათ.

**რეინჯერსი–შტუტგარტი 2:1**

**რეინჯერსი:** მაკგრეგორი, ჰატონი, უეირი, პაპაჩი, ფერგიუსონი, ჰემდანი, ტომსონი, ადამი (67. ბისლი), დარშევილი (84. ნოვო), კარლოს კუელარი, უაიტეკერი (86. ფეიე).

**შტუტგარტი:** შეფერი, ოსორიო, ტასკი, ფერნანდო მეირა, პარდო, ბოკა, კაკაუ, ჰილბერტი, ანტონიო (70. ევერტონი), ხედირა (78. ბაშთურქი), გომესი.

**გოლები:** 0:1 გომესი (56), 1:1 ადამი (62), 2:1 დარშევილი (75-პენ)

**მაყურებელი:** 52 000

**არბიტრი:** სტეფანო ფარინა (იტალია)

"რეინჯერსს" 20 წუთი დასჭირდა გერმანიის ჩემპიონის დასამარცხებლად, თანაც იმ ფონზე, როცა ანგარიში სტუმრებმა გახსნეს და მთელი პირველი ტაიმის განმავლობაში დომინირებდნენ კიდეც. "შტუტგარტმა" თამაში კარგად დაიწყო და რამდენიმე საგოლე მომენტიც შექმნა. შანსები ჰქონდათ **მარიო გომესსა** და **სერდარ ტასკის**, მაგრამ მერე და მერე სკოტებმაც გამოიდეს თავი და საქმე სტუმართა კიპერსაც გაუჩნდა. თუმცა საერთო ჯამში **არმინ ფეეს** გუნდი უკეთ გამოიყურებოდა...

დაიწყო მეორე ნახევარი და პირველ ტაიმში დათესილი, "შვაბებმა" 56-ე წუთზე მოიმკეს. მარცხენა ფლანგიდან ჩაწოდებულ ბურთს გომესმა ფეხი დაუხვედრა და **ალან მაკგრეგორი** სახტად დატოვა. "რეინჯერსი" მყისვე გამოფხიზლდა და მალე **ჩარლი ადამმა** მეტოქეს ბრწყინვალე გოლითაც უპასუხა. ეს პირადად მისი დამსახურება იყო - დაახლოებით საჯარიმოს კუთხესთან მან მოხდენილად ჩამოიცილა მეურვე და ბურთი მეკარისგან შორეულ დაბალ კუთხეში ჩასვა. მკითხველს უფრო ნათელი წარმოდგენა რომ შეექმნას, გავიხსენებდით **თემურ ქეცბაიას** მიერ თბილისში, 1999 წელს საბერძნეთის ნაკრების კარში გატანილ გოლს, და კიდევ, **თენგიზ სულაქველიძის** მიერ 1981 წლის შემოდგომაზე "ბასტიისთვის" "მირთმეულ" შედევრსაც...

"ჩაფრებმა" მომენტი დაიჭირეს და შვაბებს მაგრად შეუტიეს. გერმანელთა დაცვა ბევრ შეცდომას უშვებდა, რამაც თავისთავად მოამწიფა მეორე გოლიც, თუმც ისიც უნდა ვთქვათ, რომ რაც "შტუტგარტის" კაპიტანმა **ფერნანდო მეირამ** გააკეთა, არც მის სამკლაურსა და არც მაღალ კლასს აშკარად არ შეშვენის. პორტუგალიელმა მცველმა დაუფარავად ჩაწიხლა საჯარიმოში შეჭრილი **ალან ჰატონი** და **სტეფანო ფარინას** 11-მეტრიანზე ოდნავი დაეჭვების საბაბიც არ დაუტოვა. **ჟანკლოდ დარშევილის** დარტყმა უზადო იყო - 2:1.

"რეინჯერსის" მწვრთნელმა **უოლტერ სმიტმა** თავისი გუნდის თამაშს მაღალი შეფასება მისცა: *"კმაყოფილი ვარ შედეგითა და განსაკუთრებით იმით, რაც გაშვებული გოლის შემდეგ მოვიმოქმედეთ. მინდა, გაითვალისწინოთ, რომ ბევრ ჩვენს ფეხბურთელს ჩემპიონთა ლიგაში თამაშის გამოცდილება არ აქვს და როცა ამ შემთხვევაშიც აღწევ წარმატებას ძლიერ მეტოქესთან დაპირისპირებაში, ეს უდიდესი ავანსია მომავალი მატჩების წინ".*

"შტუტგარტის" დამრიგებელი კი თავისი შეგირდების ნამოქმედარით აღშფოთებული გახლდათ: *"ძალიან ვღელავ და ალბათ, კიდევ დიდხანს ვერ დავწყნარდები. წარმოუდგენელია, როგორ წავაგეთ ეს თამაში. მთელი პირველი ტაიმი უპირატესობა ჩვენს მხარეს იყო, ბურთსაც ვაკონტროლებდით, მომენტებსაც ვქმნიდით... მეორე ტაიმის დასაწყისშივე გოლიც გავიტანეთ... არ ვიცი, მეტი რა უნდა გაგვეკეთებინა თამაშის მოსაგებად, მაგრამ... სამწუხაროდ, ეს ვერ მოვახერხეთ. აუცილებლად გავერკვევით საქმეში, თუმც კიდევ ერთხელ ვიტყვი, რომ ამ მატჩის წაგების მიზეზი არ არსებობდა".*

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 1 | 1 | 0 | 0 | 3-0 | 3 |
| 2. რეინჯერსი | 1 | 1 | 0 | 0 | 2-1 | 3 |
| 3. შტუტგარტი | 1 | 0 | 0 | 1 | 1-2 | 0 |
| 4. ლიონი | 1 | 0 | 0 | 1 | 0-3 | 0 |

2 ოქტომბერი
**შტუტგარტი-ბარსელონა**
**ლიონი-რეინჯერსი**




ბარსელონა-ლიონი. კატალონიელებმა ძველებურად გაიბრწყინეს

### F ჯგუფი

**რომა–დინამო 2:0**

რომა: დონი, კასეტი, მექსე, ჟუანი (82. ფერარი), ტონეტო, ტადეი, დე როსი, პეროტა, აკუილანი (83. პისარო), მანსინი (61. ჟიული), ტოტი.

**დინამო:** შოვკოვსკი, მარკოვიჩი, ფიოდოროვი, გავრანჩიჩი, ელ ქადური, გუსევი (71. კორეია), მიხალიკი, იუსუფი, მაიკლი (56. რებროვი), ბანგურა (46. დიოგო რინკონი), შაცკიხი.

**გოლები:** 1:0 პეროტა (9), 2:0 ტოტი (70)

**მაყურებელი:** 46 000

**არბიტრი:** ალენ ჰამერი (ლუქსემბურგი)

"ოლიმპიკოს" კარგად ახსოვდა, კიევის "დინამოსთან" სალიგო მატჩში სამი წლის წინათ მომხდარი ამბები, როცა მავანი ფანის მიერ ტრიბუნიდან ნასროლმა მონეტამ შვედ არბიტრ **ანდერს ფრისკს** თავიდან სისხლი ადინა. კიეველთა მორიგი სტუმრობის წინ იმ ავბედით დღეს ყველა საინფორმაციო საშუალება იხსენებდა და თითქოს იყო იმის ფარული შიშიც, რომ რაღაც ამის მსგავსი კიდევ არ მომხდარიყო. მაშინ, "რომას" 0:3 ჩაუთვალეს და უქომაგოდ თამაშიც მიუსაჯეს...

ახლა კი, ერთგული ქომაგის მხარდაჭერით და უკვე ალალ ბრძოლაში (თუ ამას ბრძოლა შეიძლება ენოდოს) "რომამ" 2:0 მოიგო და სტადიონიც მშვიდად იყო, ოღონდ მშვიდად, სანამ **სიმონე პეროტასა** და **ფრანჩესკო ტოტის** გოლები ტიფოზებს ალტაცებაში მოიყვანდა. ამას გარდა, იყო სხვა სიტუაციებიც, როცა "ჯალოროსის" კიდევ სამ-ოთხჯერ მაინც შეეძლო **ალექსანდრ შოვკოვსკის** დამწუხრება. აბა, როგორ არ გავიხსენოთ ის მომენტი, როცა **ჟუანმა**, აბსოლუტურად ღია სიტუაციაში, სამიოდ მეტრიდან ბურთი ძელს მოარტყა, მერე კიეველთა კარი ძელმა ერთხელაც იხსნა...

მოკლედ, "რომა" ბრწყინვალე იყო მატჩში, რომელმაც ამ გუნდს მე-100 საევროტურნირო გამარჯვება მოუტანა. საყურადღებოა ისიც, რომ მიმდინარე სეზონის ოფიციალურ შეხვედრებში **ლუჩანო სპალეტის** შეგირდებს ჯერ გოლი არ გაუშვიათ. სპალეტიც ბედნიერი იყო: *"შესანიშნავად ვითამაშეთ და კარგი იქნებოდა, კიდევ გამოგვეყენებინა რამდენიმე საგოლე მომენტი. თუმცა რაც გავიტანეთ, ისიც საკმარისია. განსაკუთრებით, პირველ გოლს გამოვყოფდი. სადებიუტო გამარჯვება ყოველთვის მნიშვნელოვანია, გამომდინარე სტარტის სირთულიდან. ჩვენ უფრო წინ წავალთ".*

პეროტას გოლი ახსენა სპალეტიმ და აქვე განვავრცობთ, რომ ვიდრე **მაქს ტონეტო** შედეგიანად ჩააწოდებდა, მანამდე რომაელებმა 10 სწრაფი პასი გააკეთეს ისე, რომ დინამოელებს ბურთისთვის ფეხი არ დაუკარებიათ. რაც შეეხება ტოტის გოლს - კაპიტანმა ბურთი მოედნის სიღრმიდან მიიღო, უპრობლემოდ შეაღწია საჯარიმოში და ოდნავ მახვილი კუთხიდან დიაგონალური დარტყმით საქმეც მოათავა - 2:0.

ახლა "რომას" უმძიმესი ორკვირანახევრიანი გამოცდები აქვს ჩასაბარებელი. წარმოიდგინეთ, ამ პერიოდში სპალეტის სამწყსოს "იუვენტუსთან", "ინტერთან", "ფიორენტინასთან" და "მანჩესტერთან" უწევს თამაში, სადაც უნდა გამოჩნდეს კიდეც ამ გუნდის რეალური ძალა და ის, თუ რამდენად საფუძვლიანია სეზონის წინ გაცხადებული ამბიციები. განსაკუთრებული დატვირთვა ექნება "ოლდ ტრეფორდის" პაექრობას (2 ოქტომბერი), რომელშიც "ჯალოროსიმ" უნდა დაამტკიცოს, რომ ამ გაზაფხულზე ნაგებული 1:7 დავიწყებულია...

**სპორტინგი–მანჩესტერი 0:1**

სპორტინგი: სტოიკოვიჩი, აბელი, ტონელი, პოლგა, რონი (74. პერეირინია), იზმაილოვი (56. ვუკჩევიჩი), მიგელ ველოზო, ჟოაო მუტინიო, რომანიოლი (68. პუროვიჩი), იანიკ ჯალო, ლიედსონი.

მანჩესტერი: ვან დერ სარი, ბრაუნი, ფერდინანდი, ვიდიჩი, ევრა, ქერიქი, სქოულზი, ნანი, გიგზი (76. ანდერსონი), კრისტიანო რონალდო (87. ტევესი), რუნი (72. საა).

**გოლი:** 0:1 კრისტიანო რონალდო (62)

**მაყურებელი:** 50 000

**არბიტრი:** ჰერბერტ ფანდელი (გერმანია)

"მანჩესტერმა" გაიმარჯვა მატჩში, რომელშიც მის მეტოქეს გაცილებით მეტი საგოლე შანსი ჰქონდა და რომ არა **ედვინ ვან დერ სარის** ბრწყინვალე თამაში, მოგებული უთუოდ "სპორტინგი" დარჩებოდა. პირდაპირ სასწაული იყო ჰოლანდიელი კიპერის რეაქცია იმ ეპიზოდში, როცა **ლიდსონის** დარტყმული "ცხრიანიდან" ჩამოილო.

ბედის ირონია კი ის იყო, რომ "მანჩესტერმა" იმ **კრისტიანო რონალდოს** გოლით იმარჯვა, ვინაც "სპორტინგში" "აიდგა ფეხი", ხოლო **კარლუშ კეირუში**, ფერგის თანაშემწე, წლების წინათ სულაც ამ "სპორტინგის" მთავარი მწვრთნელი გახლდათ. როგორც პიპინია ერისთავი იტყოდა, ლისაბონელებს უბეში გველები გამოუზრდიათ. 62-ე წუთზე, **უეს ბრაუნის** ჩაწოდებას კრისტიანომ ნახტომში თავი შეაგება და მატჩის ერთადერთი გოლიც მიითვალა.

თამაშის შემდეგ "მანჩესტერის" სახელით კომენტარი სწორედ კეირუშმა გააკეთა: *"ვან დერ სარის ბრწყინვალე თამაში ჩვენს გამარჯვებაში ერთი-ერთი გადამწყვეტი ფაქტორი იყო. სწორედ მან ჩაშალა "სპორტინგის" გეგმები, რამაც, განსაკუთრებით პირველ ტაიმში, უამრავი თავსატეხი გაგვიჩინა. მაგრამ მადლობა ღმერთს, მეორე ნახევარში წელში გავსწორდით და დრო და დრო უპირატესობასაც ვფლობდით. დამსახურებულად გავიმარჯვეთ და მნიშვნელოვანია, რომ ეს გამარჯვება პირველივე მატჩში მოვიპოვეთ. ასე რომ, პირველი ფსიქოლოგიური ბარიერი გადალახულია".*

**პაულო ბენტუ**, "სპორტინგის" მთავარი მწვრთნელი, მატჩზე ამ აზრისაა: *"უდიდესი გუნდის წინააღმდეგ მეტად კარგი თამაში ვაჩვენეთ. სამწუხაროდ, მეორე ტაიმში რაღაც დაგვემართა, თორემ უკეთესი შედეგის მიღწევაც შეგვეძლო. რატომღაც, კრისტიანო რონალდოს დიდი სივრცე დავუთმეთ. სწორედ ეს იყო ჩვენი საბედისწერო შეცდომა".*

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რომა | 1 | 1 | 0 | 0 | 2-0 | 3 |
| 2. მანჩესტერი | 1 | 1 | 0 | 0 | 1-0 | 3 |
| 3. სპორტინგი | 1 | 0 | 0 | 1 | 0-1 | 0 |
| 4. დინამო | 1 | 0 | 0 | 1 | 0-2 | 0 |

2 ოქტომბერი
**მანჩესტერი-რომა**
**დინამო-სპორტინგი**

## G ჯგუფი

### ფენერბაჰჩე-ინტერი 1:0

**ფენერბაჰჩე:** ვოლკან დემირელი, ონდერ თურაჩი, ლუგანო, ედუ, რობერტო კარლოსი, დენიზ ბარიში, ალექსი, აურელიო, გიოქჩექ ვედერსონი, კეჟმანი (67. სემიჰ შენთურქი), დეივიდი.

**ინტერი:** ჟულიო სეზარი, ძანეტი, რივასი, სამუელი, მაქსველი, სტანკოვიჩი, დაკური (70. ხიმენესი), კამბიასო, სოლარი (57. ფიგუ), სუასო (72. კრესპო), იბრაჰიმოვიჩი.

**გოლი:** 1:0 დეივიდი (43)

**მაყურებელი:** 47 000

**არბიტრი:** ლუის მ. კანტალეხო (ესპანეთი)

"ინტერმა" უსირცხვილოდ წააგო სტამბოლში და ღმერთს მადლობა უნდა შესწიროს, რომ სწორედაც წააგო და მთლად არ განადგურდა. თუმცა ამ ორ შედეგს შორის პრინციპული სხვაობა არ არის. მარცხი მარცხია და სატურნირო ცხრილში ისეც და ასეც ნული გეწერება. "ინტერის" ბედია ისიც, რომ ჯგუფი ძლიერი არ არის და რომც არ უნდოდეს, მაინც მოხვდება ფლეიოფში. არ გვახსენდება მატჩი, "ნერაძურის" კართან "ფენერბაჰჩეზე" გაცილებით ძლიერ გუნდსაც კი ამდენი საგოლე მომენტი შეექმნა. რა ვუთხარით "ფენერის" ფორვარდებსა თუ ნახევარმცველებს (მომენტს ყველა ქმნიდა, ვისაც არ ეზარებოდა), თორემ იმ საღამოს ზღაპრული შოუს მომსწრენი გავხდებოდით. ხოლო იმ ეპიზოდებში, როცა ბურთი აუცილებლად უნდა გახვეულიყო ბადეში, სასწაულებს სჩადიოდა "ინტერის" ბრაზილიელი მეკარე **ჟულიო სეზარი**, რომელსაც, ბედის ირონიით, ყველაზე მეტად სწორედ თავისი თანამემამულეები იმეტებდნენ.

"ფენერბაჰჩეს" მწვრთნელმა კი, ლეგენდარულმა **ზიკომ**, საკადრისი პასუხი გასცა იმათ, რომლებიც თურქეთის ჩემპიონატში ულიმლამო სტარტის (მე-8 ადგილი 5 ტურის შემდეგ) გამო მის გადაყენებას ითხოვდნენ. ამას გარდა, ზიკომ ახსნა ისიც, თუ როგორ შეძლო მისმა გუნდმა მრისხანე "ინტერის" დამარცხება:

*"თამაში ჩვენი საუკეთესო თვისებების დემონსტრირებით მოვიგეთ. "ინტერს" სივრცეები შევუზღუდეთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, იბრაჰიმოვიჩი, სუასო და სტანკოვიჩი შანსს არ დაგვიტოვებდნენ. დიდი მატჩი ჩავატარეთ და შეიძლება, 1:0 საფინალო სასტვენამდე არ იძლეოდა დამშვიდების საშუალებას, მაგრამ რაც არ უნდა მომხდარიყო, მაინც ვიტყოდი, რომ ამ საღამოს გამარჯვება ჩვენი დავიმსახურეთ. ყურადღება უკანასკნელ წუთამდე არ მოგვიდუნებია. დიახ, მათ რამდენიმე წამყვანი მოთამაშე აკლდათ, მაგრამ "ინტერი" ის გუნდია, რომელსაც სამი თანაბარი შემადგენლობის გამოყვანა შეუძლია, ნებისმიერ შემთხვევაში აქვს კლასი და ნებისმიერი გუნდისთვის საშიში ძალა. ჩვენი გეგმა იყო წნეხი პირველივე წუთებიდან. აქ მთავარი უნდა ყოფილიყო აგრესია და იმის დემონსტრირება, რომ უძლიერესი ოპონენტის ოდნავადაც არ შევუშინებია. საკუთარი ძალების რწმენა და სწორი ფეხბურთი - აი, ჩვენი გამარჯვების საიდუმლო".*

**რობერტო მანჩინის** კომენტარი კი გაზაევისგან თითქმის არაფრით განსხვავდებოდა. თუ "ინტერის" დამრიგებელს დავუჯერებთ, "ფენერს"... კარგად არ უთამაშია: *"არ ვიტყოდი, რომ მეტოქემ კარგად ითამაშა. უბრალოდ, მათ ჩვენი პრობლემებით ისარგებლეს. ეს იყო და ეს. "ინტერის" თამაშზე ნეგატიური გავლენა იქონია იმ ფაქტმა, რომ დაცვა ამ შემადგენლობით პირველად გამოვიდა მოედანზე. გარდა ამისა, შეტევაში სიმწვავე გვაკლდა. მეორე ტაიმში წინ უკეთ კი გამოვიყურებოდით, მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა".*

რაც შეეხება მატჩის ერთადერთ გოლს, მისი ნახვა მართლაც ერთ რამედ ღირდა. **დეივიდმა** მარჯვნიდან **ალექსისგან** მიიღო პასი, 10 მეტრიდან ბურთს მიწაზე დაუშვებლად დასცხო და **ჟულიო სეზარისგან** მარჯვენა მაღალ კუთხეში დააჭედა.

### ეინდჰოვენი-ცსკა 2:1

**ეინდჰოვენი:** გომეში, სალსიდო, მანუელ და კოშტა, ადო, ალსიდესი, კულინა, სიმონსი, აფელეი (28. პერესი), მენდესი (71. კრომკამპი), კოვერმანსი (75. ფარფანი), ლაზოვიჩი.

**ცსკა:** მანდრიკინი, შემბერასი, იგნაშევიჩი, ა. ბერეზუცკი, ვ. ბერეზუცკი, ჟირკოვი, დუდუ, კრაშიჩი, რაჰიმიჩი (78. რატინიო), ჟო, ვაგნერ ლავი.

**გოლები:** 1:0 ლაზოვიჩი (59), 2:0 პერესი (81), 2:1 ვაგნერ ლავი (89)

**მაყურებელი:** 28 000

**არბიტრი:** პედრო პროენსა (პორტუგალია)

არმიელთა მწვრთნელმა **ვალერი გაზაევმა** ნამუსზე ხელი აიღო და, შედეგი უსამართლოაო, მატჩის შემდეგ სწორედ ასე ბრძანა. ვინც "ფილიპსზე" გამართული დაპირისპირება იხილა, დაგვეთანხმება, რომ შედეგი ნამდვილად უსამართლოა, ოღონდ იმ კუთხით, რომ "ეინდჰოვენი" უფრო მეტს იმსახურებდა. **რონალდ კუმანის** გუნდში მთავარ დამრტყმელ ძალად იქცა დანიელი **კენეტ პერესი**, რომელმაც პირველ ტაიმში ტრავმირებული **იბრაჰიმ აფელაი** იღბლიანად შეცვალა. პერესმა ჯერ **დარკო ლაზოვიჩი** გაიყვანა მეკარესთან პირისპირ, რაც პირველი გოლით დასრულდა, მერე კი თავად შეასრულა დარტყმა საჯარიმოს ხაზიდან და **ვენიამინ მანდრიკინს** ახლო კუთხეში გაუტანა. ცსკა-მ, რომელმაც ვერა და ვერააწყო თამაში, მატჩის მიწურულს **ვაგნერ ლავის** მეშვეობით "დაასველა" ანგარიში.

*"მეტად რთულ შეხვედრაში კარგ შედეგს მივაღწიეთ,* - აღნიშნა კუმანმა, - *ჩვენ გაცილებით მეტი შანსი გვქონდა, სტუმრებს კი ბოლოში ბედმა გაუღიმა და სხვაობის შემცირებაც ამიტომ შეძლეს. დამაგვირგვინებელ ფაზაში უფრო ზუსტნი რომ ვყოფილიყავით, არც ჩვენ ვინერვიულებდით და ქომაგებიც ადრე დაწყნარდებოდნენ".*

*დაბოლოს, ისევ გაზაევის კომენტარი. ეჭვის გვიჩნდება, რომ ვალერი გეორგევიჩმა სხვა თამაშს უყურა: "ეს არ იყო სამართლიანი შედეგი. ჩვენ კარგად ვითამაშეთ და მოსაგებად საკმარისი შანსებიც გვქონდა, მაგრამ ფორტუნამ ზურგი გვაქცია და მხოლოდ ერთი მათგანი გამოვიყენეთ".*

როგორც იტყვიან, კომენტარი ზედმეტია...

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ეინდჰოვენი | 1 | 1 | 0 | 0 | 2-1 | 3 |
| 2. ფენერბაჰჩე | 1 | 1 | 0 | 0 | 1-0 | 3 |
| 3. ინტერი | 1 | 0 | 0 | 1 | 0-1 | 0 |
| 4. ცსკა | 1 | 0 | 0 | 1 | 1-2 | 0 |

2 ოქტომბერი
**ცსკა-ფენერბაჰჩე**
**ინტერი-ეინდჰოვენი**

## H ჯგუფი

### არსენალი-სევილია 3:0

**არსენალი:** ალმუნია, სანია, ტურე, სენდეროსი, კლიში, გლები, ფაბრეგასი, ფლამინი, როსიცკი (50. დიაბი), ადებაიორი (83. ედუარდო და სილვა), ვან პერსი.

**სევილია:** პალოპი, დანიელ ალვეში, ფასიო, ესკუდე, დრაგუტინოვიჩი, ხესუს ნავასი, პოულსენი, მარტი (66. კეიტა), დიეგო კაპელი (67. რენატო), ლუიშ ფაბიანო (46. კერჟაკოვი), კანუტე.

**გოლები:** 1:0 ფაბრეგასი (27), 2:0 ვან პერსი (59), 3:0 ედუარდო და სილვა (92)

**მაყურებელი:** 59 000

**არბიტრი:** პეტერ ფროიდფელდტი (შვედეთი)

მართალია, "სევილიამ" ჩემპიონთა ლიგაში პირველი შეხვედრა ჩაატარა, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, ამ გუნდს ევროთასებზე ასპარეზობის სერიოზული გამოცდილება აქვს. თუნდაც ის ფაქტი რად ღირს, რომ **ხუანდე რამოსის** ბიჭებმა უეფას თასი ზედიზედ ორჯერ მოიპოვეს. აქედან გამომდინარე, სპეციალისტები "სევილიის" უფრო შთამბეჭდავ და დამაჯერებელ ასპარეზობას ელოდნენ. პროგნოზი არ გამართლდა. "არსენალმა" ესპანელები მიწასთან გაასწორა. ევროტურნირებზე "სევილიას" დიდი ანგარიშით 1982-83 წლების სეზონის შემდეგ არ ჰქონდა წაგებული. სტუმრები მოედანზე ძალიან აღელვებულები გავიდნენ. ყოველ წამს იგრძნობოდა, რომ ისინი მეტისმეტად ბევრს ნერვიულობდნენ. პრეზიდენტი **ხოსე მარია დელ ნიდო** მართალი აღმოჩნდა. ის ამბობდა, რომ "სევილია" ჩემპიონთა ლიგისთვის ახალი კოლექტივია. მართლაც, სტუმრებს ყველაზე პრესტიჟულ ევროტურნირში ჭიპმოჭრილ "არსენალთან" ბრძოლაში გამოცდილება არ ეყოთ. მართალია, ანდალუსიელები აქტიურად მოქმედებდნენ და თავს არ ზოგავდნენ, მაგრამ იმდენი შეცდომა დაუშვეს, რამდენიც "მეთოფეებისთვის" სამი ქულის მოსაპოვებლად სრულიად საკმარისი აღმოჩნდა. ანგარიში **სესკ ფაბრეგასის** შეტევის შემდეგ გაიხსნა. ახალგაზრდა კატალონიელმა არცთუ სახიფათო პოზიციიდან დაარტყა, მაგრამ ბურთი **ესკუდეს** მოხვდა და **ანდრეს პალოპმა** რიკოშეტის წინააღმდეგ ვერაფერი გააწყო. მეორე ბურთი **ვან პერსის** ანგარიშზე ჩაიწერა. აღსანიშნავია, რომ ეს იერიშიც ფაბრეგასმა წამოიწყო. მსაჯის მიერ დამატებულ მეორე წუთზე პალოპმა მესამე ბურთიც მიიღო. შეცვლაზე შესულმა **ედუარდომ** მცველების მიუტევებელი შეცდომით ისარგებლა.

**არსენ ვენგერმა** შეხვედრა ასე შეაფასა: *"ვიქნები ობიექტური და ვიტყვი, რომ დღევანდელი ანგარიში რეალობას ობიექტურად არ ასახავს. რა თქმა უნდა, გამარჯვებას ვიმსახურებდით, მაგრამ სამი გოლის გაშვება "სევილიასაც" არ დაუმსახურებია. ვფიქრობ, გულშემატკივრებმა მე-12 ფეხბურთელის ფუნქცია შეასრულეს. ყოველთვის ვამბობდი და ახლაც გავიმეორებ, ჩვენი გულშემატკივრები ერთ-ერთი საუკეთესოები არიან მთელ მსოფლიოში. ტიერი ანრის წასვლის შემდეგ სერიოზულ პრობლემებს გადავეყარეთ. მის გარეშე თამაშს ნელ-ნელა ვსწავლობთ. იმედია, ყველაფერი კარგად წარიმართება."*

პრესკონფერენციის ბოლოს ხუანდე რამოსმაც ისაუბრა: *"ვაღიარებ, "არსენალი" გაცილებით უფრო ძლიერად თამაშობდა, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ მაინცდამაინც უნდა წაგვეგო. ჩემი აზრით, იღბალმა გვიმტყუნა. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში სტაბილურად და კარგად ვასპარეზობთ, საკუთარ თავზე გამოვცადეთ, რომ ჩემპიონთა ლიგა სულ სხვა დონის ტურნირია. ვგონებ, გამოცდილებაც არ გვეყო, მაგრამ წაგების მთავარ მიზეზად უიღბლობას ვასახელებ. პირველი გოლი სულელური სიტუაციიდან გავუშვით. ეს ეპიზოდი რომ არა, უფრო თავისუფლად ვიასპარეზებდით. სამწუხაროდ, უიღბლობამ იმედგამაცრუებელ შედეგამდე მიგვიყვანა. ვალდებულები ვართ, სასოწარკვეთილებას არ მივეცემით და მომდევნო შეხვედრა მაღალ დონეზე ჩავატაროთ."*

### სლავია-სტიაუა 2:1

**სლავია:** ვანიაკი, დრიუდალი, სუხი, ბრაბეცი (43. იანდა), ლატკა (46. ჰუბაჩეკი), კრაიჩიკი, ბელაიდი (81. ვოლეშაკი), ტავარესი, პუდილი, შენკერიკი, ვლჩეკი.

**სტიაუა:** საპატა, ბადოი, გოიანი, რადა, მარინი, ნიკოლიცა, ლოვინი (62. სურდუ), პეტრე, კრისტოჩეა (53. კროიტორუ), დიკა, იაკობი (71. ბადეა).

**გოლები:** 1:0 შენკერიკი (13), 1:1 გოიანი (33), 2:1 ბელაიდი (63)

**მაყურებელი:** 20 000

**არბიტრი:** ოლაგარიუ ბენკერენსა (პორტუგალია)

თუ სასწაული არ მოხდა, "სლავია" და "სპარტა" მესამე ადგილისთვის იბრძოლებენ, რაც ერთ-ერთს უეფას თასზე გადანაცვლების საშუალებას მისცემს. ჯერჯერობით კი, ორი არაფავორიტიდან ერთმა კარგად გამოიყენა საკუთარი კედლების ფაქტორი და ტურნირი გამარჯვებით დაიწყო, გამარჯვებით - ისტორიაში თავის პირველ საჩემპიონთალიგო მატჩში.

*"ამ დღეს დიდხანს ველოდით და ახლა ძლიერ გახარებულები ვართ,* - თქვა მატჩის შემდეგ "სლავიის" მწვრთნელმა **კარელ იაროლიმმა**, - *თუმცა თვალშისაცემი იყო უამრავი ლაფსუსი, რაც მალე უნდა გამოვასწოროთ. ბიჭები ბევრს ნერვიულობდნენ, წინა ხაზზე გაუბედავად ვთამაშობდით. მეორე ტაიმში გაცილებით უკეთ გავისარჯეთ და შედეგიც შესაფერისი მივიღეთ".*

"სტიაუას" მწვრთნელმა **გეორგე ჰაჯიმ** თამაშს ასეთი შეფასება მისცა: *"ეს კარგი საჩემპიონთალიგო მატჩი იყო. ჩემს გუნდს ცუდად არ უთამაშია და, შესაძლოა, მეტიც დავიმსახურეთ, მაგრამ რაკი ანგარიში 2:1 მასპინძელთა სასარგებლოდ დაფიქსირდა, ესე იგი თამაშს რაღაც დავაკელით. ამას გარდა, "სლავიას" ბედმაც გაუღიმა. ვერ ვიტყვი, რომ მეტოქეს კლასით ჩამოვრჩებოდით, მაგრამ ფაქტია, რომ ორი საგოლე მომენტი შეგვიქმნეს და ორჯერვე გაგვიტანეს".*

***P.S.* გუშინ, მოგვიანებით ცნობილი გახდა, რომ "სტიაუას" მწვრთნელი გეორგე ჰაჯი თანამდებობიდან გადადგა. გუშინვე, პოსტი დატოვა კიევის "დინამოს" თავკაცმა ანატოლი დემიანენკომაც. კიეველთა მთავარ მწვრთნელად იოჟეფ საბო დაინიშნა.**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. არსენალი | 1 | 1 | 0 | 0 | 3-0 | 3 |
| 2. სლავია | 1 | 1 | 0 | 0 | 2-1 | 3 |
| 3. სპარტა | 1 | 0 | 0 | 1 | 1-2 | 0 |
| 4. სევილია | 1 | 0 | 0 | 1 | 0-3 | 0 |

2 ოქტომბერი
**სტიაუა-არსენალი**
**სევილია-სლავია**



ფენერბაჰჩე-ინტერი. დეივიდის ზღაპრული გოლი მილანელთა კარში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ დიეგოსთან

# მადლობა შუსტერს, მაგრამ ვერდერში კარგად ვარ!

## ბრემენელთა ბრაზილიელი გამთამაშებელი სანტიაგო ბერნაბეუზე საუკეთესო იყო...



ფერნანდო გახო დიეგოს პერსონალური მეურვე იყო, მაგრამ ვერაფერი მოუხერხა...

**"რეალისა" და "ვერდერის" მატჩის გმირად, ექსპერტებმა არა რომელიმე მადრიდელი, არამედ ბრემენელთა ბრაზილიელი ფლეიმეიქერი დიეგო დაასახელეს. მან სამშაბათს კიდევ ერთხელ გვიჩვენა, რატომაც მიიჩნევა ევროპის ერთ-ერთ საუეთესო ნახევარმცველად. თავად განსაჯეთ: დიეგოს "სანტიაგო ბერნაბეუს" პუბლიკამაც კი ტაში დაუკრა და ოვაციებით გააცილა. მაგრამ მისი კარგი თამაში "ვერდერს" არ ეყო - ბრემენელები მაინც დამარცხდნენ. მატჩის დასრულების შემდეგ, ბრაზილიელი რუუდ ვან ნისტელროისთან ერთად, ჟურნალისტების ყველაზე სასურველი რესპონდენტი გახლდათ. "შპორტ აინსისთვის" მიცემულ ინტერვიუში დიეგო მარცხის მიზეზებზე საუბრობს და განმარტავს, თუ რატომ არ ფიქრობს "რეალში" გადასვლაზე მიუხედავად იმისა, რომ ბერნდ შუსტერმა მისი გადაბირების სურვილი უკვე არაერთხელ გამოთქვა.**

**- დიეგო, მიუხედავად იმისა, რომ "ვერდერს" არაერთი წამყვანი ფეხბურთელი აკლია, გუნდმა მადრიდში მაინც ძალიან კარგად ითამაშა. მიუხედავად წაგებისა, გულშემატკივრების დიდი ნაწილი მაინც კმაყოფილია. თქვენ რას ფიქრობთ?**

- ტორსტენ ფრინგსი, პიერ ვომე, ტიმ ბოროვსკი - ამ ფეხბურთელების არყოფნა "ვერდერისთვის" უდიდესი დანაკლისია. ჩვენ არ გვაქვს გრძელი სათადარიგოთა სკამი და ამ სამი მოთამაშის შეცვლა შეუძლებელია. მაგრამ "სანტიაგო ბერნაბეუზე" დავამტკიცეთ, რომ სათადარიგო ფეხბურთელებსაც შეუძლიათ ბრძოლა ისეთ გიგანტთან, როგორიც "რეალია". აუცილებლად კარგი ფეხბურთი უნდა გვეთამაშა და მიხარია, რომ ეს შევძელით. პირადად ჩემი თამაშითაც ძალიან კმაყოფილი ვარ, მაგრამ მიზანი, რა თქმა უნდა, ყოველთვის მოგებაა. ჩვენ კი დავმარცხდით და საერთო ჯამში, კმაყოფილი ვერ ვიქნები.

**- მატჩის შემდეგ, აბსოლუტურად ყველა მიმომხილველმა დაწერა, შეხვედრის საუკეთესო ფეხბურთელი დიეგო იყოო. თქვენი თამაშით რუუდ ვან ნისტელროიც აღფრთოვანებული დარჩა. ალბათ ამაყობთ...**

- ყველაზე მეტად ვან ნისტელროის სიტყვებმა გამახარა, რადგან მატჩის ყველაზე მნიშვნელოვანი ფეხბურთელი სწორედ რუუდი იყო. მან ჯერ საგოლე კომბინაციაში მიიღო მონაწილეობა, მერე კი თვითონაც გაიტანა. ასე რომ, გმირიც ის იყო. ჰოდა, ორმაგად სასიხარულოა, რომ ასეთმა მოთამაშემაც მე გამომარჩია.

**- როგორ ახსნით იმას, რომ მადრიდელი ფეხბურთელები ძალიან დიდ სივრცეებს გიტოვებდნენ და თქვენც თავისუფლად ახერხებდით ტექნიკის დემონსტრირებას?**

- ჯერ ერთი, "სანტიაგო ბერნაბეუს" მოედანი ძალიან დიდია და ესეც არ იყოს, "რეალი" საშინაო მატჩებში ყოველთვის შემტევ ფეხბურთს თამაშობს. შესაბამისად, არცაა გასაკვირი, რომ კონტრშეტევებზე თავისუფლად მივდიოდით და ბურთის დასამუშავებლად მეც ბევრი დრო მრჩებოდა. განსაკუთრებით გახომ მომხიბლა - ეს ბიჭი თავის საქმეს თავს ჩინებულადართმევს, მაგრამ მოედანი იმდენად დიდია, რომ ყველა ფეხბურთელის ხეირიანად შებოჭვა ფაქტობრივად წარმოუდგენელია.

**- ნუთუ ეს მხოლოდ იმის ბრალია, რომ მოედანია მაქსიმალური ზომის?**

- არა, რა თქმა უნდა. მეც მაქსიმალურად ვცდილობდი, რომ ჩემი შესაძლებლობები გამომევლინა, ბევრს ვმოძრაობდი და მიხარია, რომ ეს ყველაფერი გამომივიდა. თუმცა მთავარი მაინც შედეგია, შედეგით კი, "რეალმა" გვაჯობა და ახლა მადრიდელებს 3 ქულა აქვთ, ჩვენ კი - 0.

**- რატომ ვერ მოახერხა "ვერდერმა" ანგარიშის შენარჩუნება? ექსპერტები ერთხმად იმეორებენ, ბრემენელებს მადრიდიდან ქულის წამოღება თავისუფლად შეეძლოთო...**

- გარკვეულ სიტუაციებში სიმშვიდე გვაკლდა და სწორედ ამან განაპირობა ის, რომ დავმარცხდით. საკმაოდ ბევრი საგოლე მომენტი შევქმენით და წესით, კიდევ მინიმუმ ერთი გოლი უნდა გაგვეტანა. იმ მომენტებში ჩვენს ფეხბურთელებს უფრო მშვიდად რომ ემოქმედათ, აუცილებლად გაიტანდნენ, მაგრამ ეს "სანტიაგო ბერნაბეუა" - "ვერდერის" ფეხბურთელისთვის ამ გრანდიოზულ არენაზე, ბოლომდე სიმშვიდის შენარჩუნება ფაქტობრივად შეუძლებელია.

**- ბუნდესლიგაში გუნდს ძალიან უჭირს თავისი თამაშის პოვნა. ექნება თუ არა პოზიტიური გავლენა "რეალთან" მატჩს გერმანიის პირველობის მომდევნო შეხვედრებზე?**

- მართალია, მადრიდში დავმარცხდით, მაგრამ ბევრი დადებითი ასპექტი გამოჩნდა. ძალიან მნიშვნელოვანი იყო ის, რომ დორტმუნდში განცდილი კრახის შემდეგ, გუნდს თავდაჯერება დაბრუნებოდა. ყურები არ ჩამოგვიყრია დავამტკიცეთ, რომ "რეალის" დარ გუნდებთან ტოლ-სწორად თამაში შეგვიძლია. ჩვენ ვაჩვენეთ რეაქცია "დორტმუნდთან" მატჩის შემდეგ და მთავარიც ეს იყო. ცხადია, ეს თამაში დადებით გავლენას იქონიებს. მომდევნო შეხვედრებში უფრო სოლიდურად ვიასპარეზებთ.

**- შაბათს "ვერდერი" "შტუტგარტს" მასპინძლობს და შვაბური კლუბის დამარცხება იოლი ნამდვილად არ არის. მით უმეტეს, რომ ჩემპიონებიც გამოსწორდნენ და სატურნირო ცხრილში, ნელ-ნელა ზემოთ მიიწევენ...**

- "შტუტგარტთანაც" ზუსტად ისეთი შემართებით უნდა ვითამაშოთ, როგორც "რეალთან". ეს მატჩი "ვერდერისთვის" ძალიან მნიშვნელოვანია. თანაც, სახლში ვთამაშობთ და ფაქტია, რომ მხოლოდ მოგება დაგვაკმაყოფილებს.

**- იყო თუ არა განსაკუთრებული გრძნობა ის, რომ სამშაბათს თქვენი მეგობრების, რობინიოსა და მარსელოს წინააღმდეგ ითამაშეთ?**

- რა დასამალია და საკმაოდ კომიკურად ვიგრძენი თავი, რადგან რობინიო და მარსელო ჩემი უახლოესი მეგობრები არიან და მათ წინააღმდეგ აქამდე არასდროს მითამაშია. მე და რობინიო ფაქტობრივად ერთად გავიზარდეთ და ადრე ვერაფრით წარმოვიდგენდი, რომ დადგებოდა დღე, როცა მოედანზე ერთ გუნდში არ ვიქნებოდით. მაგრამ პრობლემა არ ყოფილა, ჩვენ იმდენად კარგი მეგობრები ვართ, რომ სხვანაირად ვერც იქნებოდა.

**- ჩემპიონთა ლიგაში "პორტუში" ყოფნის დროსაც გითამაშიათ. გაიხსენეთ ის დროც და შეადარეთ "ვერდერის" მაისურით ჩატარებულ მატჩებს.**

- არაერთხელ მითქვამს, რომ "ვერდერში" თავს გაცილებით უკეთ ვგრძნობ. ისე კი, მნიშვნელობა არ აქვს, "პორტუს" მაისურა გეცმევა თუ "ვერდერისა" - "სანტიაგო ბერნაბეუზე", "რეალის" წინააღმდეგ თამაში ყოველთვის აპოგეაა.

**- მადრიდელთა მთავარმა მწვრთნელმა არ დამალა, რომ თქვენი გადაბირების სურვილი აქვს. შუსტერმა თქვა, დიეგო შესანიშნავი ფეხბურთელია და ადრე თუ გვიან, ჩემს გუნდში მისი ხილვაც მსურსო...**

- ჩემთვის ეს უდიდესი პატივია. შუსტერი გრანდიოზული პიროვნებაა და მიხარია, რომ შემაქო. მაგრამ მე სპეკულაციების აყოლა არ მჩვევია. სანამ რაიმე კონკრეტულთან არ გვექნება საქმე, კომენტარების ჩამორიგებას არ ვაპირებ. მხოლოდ "ვერდერზე" ვარ კონცენტრირებული და რამდენადაც ვიცი, ხელმძღვანელებს ჩემი გაშვება არ სურთ. "ვერდერში" თავს ძალიან კარგად ვგრძნობ. ბრემენი შესანიშნავი ქალაქია და თანაც, აქ ყველა უდიდეს პატივს მცემს.

**გოტფრიდ ლენცი**

გერმანიის ნაკრები

# კანი ლიოვს ვიზეს ურჩევს

## ოლი: ლემანი და ჰილდებრანდი თავიანთ კლუბებში სათადარიგოები არიან, რაც იმას ნიშნავს, რომ ბუნდესგუნდში არაფერი ესაქმებათ!



ტიმ ვიზე ოლივერ კანის ფავორიტია

**ოლივერ კანი** გერმანიის ნაკრებში შექმნილ სიტუაციაზე დარდობს. 38 წლის მეკარეს, რომელიც აქტიურ სპორტულ კარიერას მიმდინარე სეზონის ბოლოს ამთავრებს, ძალიან არ მოსწონს ის ფაქტი, რომ ბუნდესგუნდის პირველი და მეორე გოლკიპერები თავიან კლუბებში სათადარიგოთა სკამს ხეხავენ - **იენს ლემანი** "არსენალის" ძირითად შემადგენლობაში ველარ ხვდება, **ტიმო ჰილდებრანდი** კი "ვალენსიის" მეორე მეკარეა. წინ კი ევროპის ჩემპიონატია და თუ ლემანსა და ჰილდებრანდს სათამაშო პრაქტიკა არ ექნებათ, ბუნდესმწვრთნელ **იოახიმ ლიოვს** სხვა მეკარის ძებნა მოუწევს. ეს დისკუსია დიდი ხნის დაწყებულია და ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ლემანის შეცვლა **რობერტ ენკეს** (ჰანოვერი), **ტიმ ვიზეს** (ვერდერი), **მანუელ ნოიერს** (შალკე), **რენე ადლერსა** (ლევერკუზენი) და **რომან ვაიდენფელერს** (დორტმუნდი) შეუძლიათ. კანი კი ფიქრობს, რომ გერმანიის ნაკრების კარის დაცვას ყველაზე მეტად ვიზე იმსახურებს.

*"ტიმი დღესდღეობით საუკეთესო ვარიანტია, რადგან ის, ჩემი აზრით, აბსოლუტურად ყველა მოთხოვნას აკმაყოფილებს. ბრემენელი მუდმივად სასტარტო შემადგენლობაში თამაშობს, აქვს საერთაშორისო გამოცდილებაც და რაც მთავარია, თავის ამოცანას თავს შესანიშნავადართმევს. ვიზე საუკეთესოა იმ 5 მეკარეს შორის, რომლებსაც მიმომხილველები გერმანიის ნაკრების კარში მოიაზრებენ,"* - აცხადებს კანი.

ოლის აზრით, შალკელ ნოიერსა და ლევერკუზენელ ადლერს გამოცდილება აკლიათ. კანი მათ ნიჭიერ მეკარეებს უწოდებს, მაგრამ იქვე ამბობს, ჯერ კიდევ ბევრი რამ აქვთ დასამტკიცებელი, იმისათვის, რომ ბუნდესმეკარე გახდე, ერთი კი არა, მინიმუმ სამი სეზონი უნდა გქონდეს უმაღლეს დონეზე ჩატარებულიო. ადლერი და ნოიერი კი, ასპარეზზე მხოლოდ გასულ სეზონში გამოჩნდნენ.

ჩვენი გერმანელი კოლეგები ერთ-ერთ ვარიანტად "ბაიერნის" მეორე მეკარეს, კანის შემცვლელ **მიხაელ რენზინგსაც** მოიაზრებენ, მაგრამ ოლისთვის ეს უკანასკნელი ჯერჯერობით მიუღებელია. *"მიხაელი ძალიან ნიჭიერი მეკარეა, მაგრამ ბუნდესლიგაში ჯერ 20 თამაშიც კი არა აქვს ჩატარებული. ჯერ გერმანიის პირველობას გაუშინაურდეს და მერე ვნახოთ,"* - ამბობს კანი. რაც შეეხება ენკეს - კანის აზრით, "ჰანოვერის" კიპერის ერთადერთი ნაკლი ისაა, რომ ენკე მხოლოდ ბუნდესლიგაში თამაშობს. იგივე ეხება დორტმუნდელ ვაიდენფელერსაც.

ერთი სიტყვით, კანი რეკომენდაციას ვიზეს უწევს, მაგრამ ალსანიშნავია, რომ ამ უკანასკნელმა ცოტა ხნის წინათ ლიოვი ძალიან გააბრაზა. მას მერე, რაც შეიტყო, რომ უელსთან და რუმინეთთან მატჩებისთვის გამოძახებული არ იყო, ბრემენელმა ბუნდესმწვრთნელი მაგრად გააკრიტიკა, რის შემდეგაც თქვა, სანამ გერმანიის ნაკრებს ლიოვი წვრთნის, ჩემთვის ბუნდესგუნდის თემა დახურულიაო.

მიუხედავად ამისა, გერმანიის ნაკრების გენერალური მენეჯერი **ოლივერ ბირჰოფი** ვიზეს ბუნდესგუნდში მაინც მოიაზრებს. *"მე უკვე ვესაუბრე ტიმს, საკმაოდ თბილი საუბარი გამოგვივიდა. ვიზე ჩვენთვის ჩამოწერილი ნამდვილად არ არის. მართალია, მისი კრიტიკა არ მოგვეწონა და სიტყვები, რაც ლიოვის მისამართით თქვა, არასასიამოვნო იყო, მაგრამ მისთვის ნაკრების კარი მაინც ღიაა,"* - აცხადებს ბირჰოფი. ასე რომ, ამ სიტყვების შემდეგ, ვიზეს თავისი მოსაზრების გადახედვა მოუწევს...

**გოტფრიდ ლენცი**

სანქცია

# სკოლარი ოთხი მატჩით

## პორტუგალიის ფეხბურთის ფედერაციის ბოსი შეშფოთებულია და მწვრთნელის ბედს ალმასკომს ანდობს

უეფას სადისციპლინო კომიტეტმა **ლუიშ ფელიპე სკოლარის** ოთხმატჩიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯა. შეგახსენებთ, რომ საქმე ეხება პორტუგალია-სერბეთის შესარჩევი მატჩის დროს მომხდარ ინციდენტს, რომლის დროსაც მასპინძელთა ნაკრების მწვრთნელმა ბალკანელთა მცველ **ივიცა დრაგუტინოვიჩს** სახეში უთავაზა. მეორე დღეს, სკოლარიმ ბოდიში მოიხადა, თუმცა ვერ გეტყვით, გაითვალისწინეს თუ არა ეს უეფას ჩინოსნებმა.

პორტუგალიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი **ჟილბერტო მადაილი** კი შეშფოთებულია. ამ დღეებში ის ალმასკომის საგანგებო სხდომას მოიწვევს, რათა შექმნილ სიტუაციაზე დეტალური მსჯელობა გაიმართოს და რთული სიტუაციის გამოსავალიც მოიძებნოს. თუ რა გამოსავალზეა საუბარი, მადაილი ამას არ აკონკრეტებს. ის ფიქრობს, რომ იმ პირობებში, როცა ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე პორტუგალიის ნაკრების მოხვედრა კითხვის ნიშნის ქვეშ დგას, სკოლარის ოთხი მატჩით მოკვეთამ, შესაძლოა, კატასტროფული შედეგი მოიტანოს.

*"ვფიქრობ, ოთხმატჩიანი დისკვალიფიკაცია მძიმე სასჯელია. სკოლარი მას აუცილებლად გაასაჩივრებს, რადგან ეს მისი უფლებაა. მე შევხვდი მას და მთელი ორი საათი ვესაუბრე. მივედით იმ დასკვნამდე, რომ აუცილებელია ფედერაციის ალმასკომის სპეციალური სხდომის მოწვევა. ფედერაცია ჩემი საკუთრება არ არის და მე, ისევე როგორც სკოლარი, მზად ვარ, დავეთანხმო ნებისმიერ გადაწყვეტილებას, რასაც ალმასკომი მიიღებს".*

კომენტარი სკოლარიმაც გააკეთა: *"მიუხედავად იმისა, რომ შეცდომა ვალიარე და ბოდიშიც მოვიხადე, ვფიქრობ, სანქცია მეტისმეტად გაბერილია. საოცარია, რომ ფეხბურთელი, რომელიც ამ კონფლიქტის წამომწყები იყო, მხოლოდ ორი მატჩით დაისაჯა. ამიტომაც ვაპირებ სანქციის გასაჩივრებას".*



ლუიშ ფელიპე სკოლარი და ჟილბერტო მადაილი პრესკონფერენციაზე

# საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავისუფალი ჭიდაობა

მსოფლიო ჩემპიონატი

## ბრინჯაო და ლიცენზია

### გოგშელიძე ჯერ მარტინეტის უნდა ეჭიდაოს, მერე გაცალოვს

პირველი გვერდიდან

არც გუშინ იყო **ჰეიდარ ალიევის** სახელობის დარბაზი მაყურებლით სავსე, თუმცა შემთხვევით ამის რეალური მიზეზიც გავიგეთ - დარბაზს წინა მხირდან შემოვუარეთ და გავოცდით, როცა აღმოვაჩინეთ ასობით უბილეთო, რომლებიც ამაოდ ცდილობდნენ პოლიციის კორდონის გარღვევას. თურმე სომხეთის ნაკრები რომ არა, დარბაზი პირთამდე გაივსებოდა, ახლა კი ორგანიზატორები ბილეთების მხოლოდ ნაწილს ყიდიან, ექსცესების თავიდან აცილების მიზნით. ალბათ, სადღაც მართლებიც არიან..

66 კილოში ოთარ თუშიშვილმა დილით მასპინძელი **რამაზან აბდურახმანოვი** დაამარცხა – 1:2, 3:1, 1:0. სხვათა შორის, სასტუმროში დაბრუნებისას ჭიდაობის მოყვარული ტაქსის მძღოლი შეგხვდა და მან გვითხრა, რომ ხუთშაბათს მოასპარეზე აზერბაიჯანელებზე დიდ იმედებს არ ვამყარებთო. ასე რომ, თუ მაგათ შეხვდნენ თქვენი ბიჭები, გაუმართლდათო. სამწუხაროდ, მინდორაშვილის შემთხვევაში მისი პროგნოზი არ გამართლდა, თუშიშვილმა კი აზერბაიჯანელს დამაჯერებლად მოუგო, თუმცა კი სამი პერიოდის გამართვა მოუწია. მეორე მეტოქე ყაზახი **აბდულხაკიმ შაპიევი** იყო. კვლავ დაძაბული ორთაბრძოლა და კვლავ ქართველმა იმარჯვა – 1:0, 1:1.

ამის შემდეგ ოთარს შეხვდა ბულგარელი **ნიკოლაი პასლარი**. მსოფლიოს ჩემპიონობა მან 21 წლის ასაკში მოიპოვა, მართალია, ახლა ის ძველებურად ვერ ჭიდაობს, მაგრამ საერთო შეფასებით ძალიან უხერხული მეტოქეა, მასთან შეხვედრას უპირობო ფავორიტებიც გაურბიან. თუშიშვილმა პირველი პერიოდი 1:5 დათმო, თითქოს ბულგარელის დამარცხება შეუძლებელი მოჩანდა, მაგრამ ოთარმა ძალების მობილიზება შეძლო და წაგებული ბრძოლა შემოატრიალა – 3:2, 1:0. ძალიან შემართული იყო ჩვენი ფალავანი და ნახევარ საათში, როცა ნახევარფინალის საჭიდაოდ დაუძახეს ასევე მობილიზებული ჩანდა, თუმცა ეტყობა მას კუბელთა კომპლექსი გამოუმუშავდა (გახსოვთ ალბათ თუშიშვილის მარცხი ათენის ოლიმპიადაზე). **განდრი გარსონი** ყოჩაღი ბიჭია, თუმცა ოთარმა ძალიან ცოცხლად დაიწყო. პირველი პერიოდი თვალსასეირო აღმოჩნდა, საწყისი ორი ქულის აღების შემდეგ გარსონმა ფეხის ტრავმა მიიღო და თითქოს საეჭვო იყო, რომ ბრძოლას



ოთარ თუშიშვილი (ზემოდან) ბრინჯაოს მედლისთვის ბრძოლაში

ავტორის ფოტო

გააგრძელებდა, თუმცა კუბელმა დანებებაზე უარი თქვა. პირველი პერიოდი თუშიშვილმა 5:3 მოიგო და მერე რაღაც მოხდა - ჩვენს წინაშე გამოფიტული ქართველი ფალავანი იდგა, რომელსაც კუბელი რასაც მოინდომებდა იმ ილეთს უკეთებდა – 0:5, 2:8. დასანანია, ფინალი ასე ახლოს იყო და არც თურქი **რამაზან შაჰინია** დაუმარცხებელი მოჭიდავე. კიდევ კარგი, ოთარმა სალამომდე ძალების მოკრება შეძლო და ამ ტურნირზე ყველაზე იოლად სწორედ მესამე ადგილისთვის მატჩი მოიგო. ამით ბაქოში ქართულ ყულაბაში მეოთხე მედალი ჩავარდა. აი, თავად მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორმა როგორ შეაფასა კუბელთან ნახევარფინალში მომხდარი:

*- დაღლილობა ვიგრძენი. დღეს ძალიან სერიოზული ორთაბრძოლების გამართვა მომიწია, თითქმის ყველა სამპერიოდიანი იყო. ეტყობა, სწორედ ვერ მოვემზადე ტურნირისთვის და ფიზიკური მზადყოფნა ბოლომდე არ გამყვა.*

სხვათა შორის, უნდა აღინიშნოს, რომ ოთარი იშვიათი სტაბილურობით გამოირჩევა - სამი წელიწადია ის მსოფლიო ჩემპიონატებზე საპატიო კვარცხლბეკიდან არ ჩამოდის, 2005 წელს ბრინჯაო, შარშან – ვერცხლი, ბაქოში – ისევ ბრინჯაო.

გელა სალირაშვილის წონით კატეგორიაში წილისყრის შედეგები რომ გავიგეთ, დაახლოებით "გამოვთვალეთ", რა უნდა მომხდარიყო მეორე დღეს ჰეიდარ ალიევის სპორტკომპლექსში – გელას მესამე წრეში რუს **მახაჩ მურთაზალიევთან** უწევდა ბრძოლა, ანუ მას წაგების შემთხვევაში თითქმის გარანტირებეული ჰქონდა რეპეშაჟი, უბრალოდ იქ უნდა ეყოჩაღა ქართველს, რაც ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორმა სანახევროდ შეასრულა. დილით სალირაშვილმა პირველად ერაყელი **ვისამ ალმოალა** დაამარცხა დამაჯერებლად – 3:0, 6:0. შემდეგ კი კანადელი **მეტიუ ჯენტრი** – 6:0, 0:1, 1:0. მურთაზალიევთან შეხვედრის დროც მოვიდა. სამწუხაროდ, გელა ორ პერიოდში დამარცხდა – 1:2, 0:1.

რეპეშაჟის მეორე წრეში გელამ პოლონელი **ბრჟოჟოვსკი** დაამარცხა და ამით ოლიმპიადის ლიცენზია გაინაღდა, შემდეგ წრეში კი გელა მასპინძელ **ჩამსულვარა ჩამსულვარაევთან** დამარცხდა. ეს ერთი მოგებაც და სალირაშვილი ბრინჯაოსთვის იჭიდავებდა.

რევაზ მინდორაშვილის მარცხთან დაკავშირებით ერთსაც ვიტყვით, მსაჯობით უკმაყოფილო **ზაზა თურმანიძე** ხალიჩაზეც ავარდა, რის გამო გააფრთხილეს კიდეც. საერთოდ, ამ შეხვედრაში მართლაც საეჭვოდ განსაჯა არბიტრმა, ისევე როგორც ანტიკოს **მანუჩარ კვირკველიას** შემთხვევაში, თუმცა ორივე ჩვენებურმა, თავისი საქციელით, მსაჯებს ასე მოქცევის საბაბი მისცა - ერთ ეპიზოდში რეზოს ხელებით შეკრული ჰყავდა მეტოქე და რატომ გაუშვა, საკვირველია. მსოფლიოს ყოფილმა ჩემპიონმა მარცხი ძალიან ემოციურად მიიღო. რას იზამ, წაგებასა და მოგებას შორის მანძილი ხომ მხოლოდ საჭიდაო ლეიბის სიგრძეა და მეტი არა..

დღეს 96 და 120 კილოგრამ წონით კატეგორიაში მოასპარეზეები დაასრულებენ ვაჟთა ტურნირს. მთავარი ამბავი ისაა, რომ ჩვენი იმედი **გიორგი გოგშელიძე** და რუსი მსოფლიო ჩემპიონი **ჰაჯიმურატ გაცალოვი** ფინალამდე (თუკი ორივე გააღწევს) ერთმანეთს არ შეხვდებიან. გოგშელიძე ჯერ ეგვიპტელ ემარას შეხვდება, შემდეგ მისი სავარაუდო მეტოქე შვეიცარიელი **მარტინეტია**, ოღონდ ფილას პრეზიდენტი **რაფაელი** კი არა, **გრეგორ მარტინეტი**. მძიმე წონაში **დავით მოძმანაშვილს** უნგრელი **ოტო ობეი** ელის.

| 66 კგ |
|---|
| 1. რამაზან შაჰინი, თურქეთი |
| 2. განდრი გარსონი, კუბა |
| **3. ოთარ თუშიშვილი, საქართველო** |
| 3. ირბეკ ფარნიევი, რუსეთი |

| 74 კგ |
|---|
| 1. მახაჩ მურთაზალიევი, რუსეთი |
| 2. იბრაგიმ ალდატოვი, უკრაინა |
| 3. ივან ფუნდორა, კუბა |
| 3. ჩამსულვარა ჩამსულვარაევი, აზერ. |
| **8. გელა სალირაშვილი, საქართველო** |

| 84 კგ |
|---|
| 1. გიორგი კეტოევი, რუსეთი |
| 2. იუსუფ აბდუსალომოვი, ტაჯიკეთი |
| 3. ზაურბეკ სოხიევი, უზბეკეთი |
| 3. რეზა იაზდანი, ირანი |

ტურიზმი

## პირველი ტურისტული ცენტრში სვანეთში

**ჯერჯერობით, სვანეთში მინიმალურადაც არ არის გამოყენებული ის შესაძლებლობები, რაც ამ რეგიონს, ტურიზმის განვითარებისთვის გააჩნია. ძვრები უკეთესობისკენ თუმცა შესამჩნევია, სასურველ ზეგავლენას, მთლიანობაში, ეს მაინც ვერ ახდენს მოსახლეობის დასაქმებასა და მათი შემოსავლების ზრდაზე. გთავაზობთ ინტერვიუს სვანეთის ტურიზმის ცენტრის გამგეობის თავმჯდომარესთან ზაურ ჩართოლანთან.**

**- ბატონო ზაურ, როდის და ვისი ხელშეწყობით შეიქმნა ცენტრი?**

- ჯერ იმას ვიტყვი, რომ წლევანდელიდან სვანეთში ტურიზმის განვითარების პროგრამა ხორციელდება ფრიდრიხ ებერტის ფონდის მხარდაჭერით. შენობა-ოფისი, სადაც ჩვენ ახლა ვსაუბრობთ, შეძენილი და გარემონტებულია შვეიცარიის მთავრობის ფინანსური მხარდაჭერით. ცენტრს კოორდინაციას უწევს საქართველოს მთის მოყვარულთა კავშირი.

**- თუ შეიძლება ახლოს გავაცნოთ მკითხველს ფრიდრიხ ებერტის ფონდი და მისი საქმიანობა. ვინ იყო თვით ეს კაცი?**

- ფრიდრიხ ებერტი გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის დამაარსებელია. მისი ანდერძის შესაბამისად შეიქმნა ფონდი, რომელიც რამდენიმე მიმართულებით ეწევა ქველმოქმედებას. ჩვენთან პროგრამა სოციალური კუთხით ხორციელდება.



ზაურ ჩართოლანი

**- ცენტრის მშენებლობა დასრულებულია, შესანიშნავადაა აღჭურვილი. საქმესაც შედგომიხართ. რა ფუნქცია გაკისრიათ?**

- ცენტრის ამოცანაა სამთო ტურიზმის მეშვეობით სვანეთში სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება; საზოგადოებრივი სექტორის განვითარებაში ხელშეწყობა; ზრუნვა ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის გადარჩენა-შენარჩუნებაზე; ბუნების დაცვა; სპორტის განვითარების ხელშეწყობა.

**- რა კეთდება ტურისტთა მოსაზიდად?**

- ამოცანების რეალიზება პირდაპირ კავშირშია ტურისტთა ნაკადის ზრდასთან. ჯერჯერობით, სრული გაქანებით ვერ ვმუშაობთ. ეს ბუნებრივია ახალშექმნილი ორგანიზაციისთვის. პირველი ნაბიჯები დამაიმედებელია. ხუთმა უცხოურმა ფირმამ უკვე განათავსა ჩვენი საიტი თავის ვებგვერდზე. ჩავატარეთ პირველი სემინარები და ტრენინგები. ვალდებულება ავიღეთ: აღვწერთ და დავკვალავთ ტურისტულ მარშრუტებს, მოვახდენთ მათ მარკირებას, ჩავატარებთ ტრენინგს მაშველების, საჭაპანო ტრანსპორტის მფლობელებისა და მძღოლებისთვის, გამოვცემთ მიზნობრივ ლიტერატურას.

**- ცენტრი არსებობისთვის ვისგან იღებს მატერიალურ მხარდაჭერას?**

- ესაა საწევრო ანარიცხები, შემოწირულობები, დონორთა გარანტიები, სხვა კანონიერი შემოსავლები.

**- ჩვენი საუბრის დაწყების წინ გაცნობეს, რომ საერთაშორისო ტენდერში გაიმარჯვეთ. რა გრანტია და რისთვის დაიმსახურეთ?**

- საქართველოს მთავრობამ ტურიზმის ხელშეწყობისთვის 5 მილიონი ლარი გამოყო. სესხი კრედიტ ბანკს გადაეცა. თავის მხრივ კი ევრაზიის ფონდმა ამ საკრედიტო ხაზის პროპაგანდისა და ბანკთან საზოგადოების ურთიერთობის ხელშეწყობისთვის გაილო გრანტი. აი, ამ



გრანტის მოპოვების კონკურსში გავიმარჯვეთ.

**- რა გევალებათ?**

- ორ-ორ ტრენინგს ჩავატარებთ მესტიის, ლენტეხის და ონის რაიონებში.

**- ერთიც უნდა გკითხოთ, თანამედროვე ტურისტული ინდუსტრია ძალზე პრეტენზიულია, შველის საქმეს ეპიზოდური სემინარები და ტრენინგები?**

- დღეს კეთდება ის, რისი შესაძლებლობაცაა. მთავარი შედეგია. მოსახლეობის ნაწილმა უკვე იცის, რომ მხოლოდ ქართული სტუმართმოყვარეობა არ კმარა ტურისტული ბიზნესის წამოსაწყებად. ცოდნის შეძენა ხანგრძლივი პროცესია. ადგილობრივი ტრენერ-კონსულტანტების ჯგუფის შექმნაზეც ვმუშაობთ.

**- თავად ვნახეთ, უცხოელებიც გაკითხავენ...**

- აინტერესებთ სამთო მარშრუტები, ნაკლებად - გიდები, ითხოვენ ინფორმაციას საოჯახო სასტუმროების შესახებ.

**- გიდები, ნაკლებად აინტერესებთო - თქვით, მიზეზი?**

- ფინანსებს ზოგავენ.

**- თქვენს გარდა, სხვაც მუშაობს ტურიზმის პროფილით სვანეთში?**

- არა, ჩვენ ვართ ჯერჯერობით პირველები.

**- სტუმრები საიდან ჩამოდიან?**

- მეტწილად ევროპიდან, ყოფილი სსრკ ქვეყნებიდან, განსაკუთრებით ბალტიისპირეთიდან და უკრაინიდან. გაიზარდა ნაკადი ისრაელიდან.

**- წარმატებას გისურვებთ.**

- ულრმესი მადლობა.

ესაუბრა **თენგიზ გაჩეჩილაძე**
მესტია-თბილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჩოგბურთი



სოფიო შაფათავა

# სოფიო ოთხეულში

თელავში გუშინ მეოთხედფინალების დღე იყო. ტურნირს შემორჩენილმა ერთადერთმა მასპინძელმა, **სოფიო შაფათავამ** (487) მძიმე ბრძოლაში დაამარცხა მე-6 ნომრად განთესილი რუმინელი **მიჰაელა ბუზარნესკუ** (368) - 6:1, 3:6, 6:3. ბუზარნესკუმ პირველ წრეში **ოქსანა კალაშნიკოვას** მოუგო.

დღეს შაფათავა ნახევარფინალში შეხვდება კიდევ ერთ განთესილს, იტალიელ **კორინა დენტონის** (6, 379), რომელმაც ტურნირის მე-2 ნომერი, სერბი **ვოისლავა ლუკიჩი** დაამარცხა - 6:3, 6:3. შეჯიბრებას გამოეთიშა პირველი ნომერიც - რუმინელმა **ლიანა-გაბრიელა უნგურმა** (217) უკრაინელ **ვერონიკა კაპშაისთან** (507) პირველივე სეტში ტრავმა მიიღო (კაპშაი 5:3 იგებდა) და ბრძოლა ვერ გააგრძელა. კაპშაის მეტოქე იქნება ბერძენი **ანა გერასიმუ**, ვისაც დარჩენილი ოთხეულიდან საუკეთესო რეიტინგიც აქვს და განთესვის ნომერიც (3, 281). გერასიმუმ რუს **ნატალია ორლოვას** (395) მოუგო - 7:5, 6:3.

წყვილთა თანრიგის ფინალში ითამაშებენ: **2. ვასილისა დავიდოვა/მარინა შამაიკო** (რუსეთი) **- 4. რია დორნემანი** (გერმანია) **/ქსენია პალკინა** (ყირგიზეთი). ტურნირის საპრიზო ფონდი 25 000 დოლარია, საფარი - თიხნარი.

## სუმო

# ნაგება აღარ შეიძლება!

სექტემბრის ბაშოს მე-11 დღეს **კოკაი** მე-11 მაეგაშირა **ტამაგასუკასთან** დამარცხდა და ზღვარზე აღმოჩნდა. ქართველს 5 მოგება და 7 ნაგება აქვს, რაც იმას ნიშნავს, რომ აუცილებლად უნდა მოიგოს დარჩენილი სამი ბრძოლა, თუ დაქვეითება არ სურს. მე-12 მაეგაშირობიდან დაქვეითება კი შესაძლოა, უმაღლესი დივიზიონიდან ძურიოში გავარდნასაც ნიშნავდეს. გააჩნია - რამდენად უარყოფითი ბალანსი ექნება კოკაის და როგორი შედეგით დაასრულებენ ბაშოს რანგით მასზე ქვემოთ მდგომი მაეგაშირები. დღეს კოკაის მეტოქეა მე-7 მაეგაშირა **ტოკიცუუმი**, რომელსაც უკვე გარანტირებული აქვს უარყოფითი ბალანსი - 4/8.

ერთპიროვნული ლიდერი, მე-14 მაეგაშირა **გოიედო** გუშინ დამარცხდა კომუსუბი **ამასთან** და მას ისევ დაეწია იოკოძუნა **ჰაკუჰო**. ორივეს 10-10 მოგება აქვს. 9 მოგებით ლიდერებს კვალში უდგანან **ამა**, **კასუგაო** (მ 10), **კიოკუტენჰო** (მ 12) და **კაკიძოე** (მ 16).

## ხელბურთი

ლეგიონერი

# დათუკიშვილი, ბომბარდირი ფსკერიდან



სერგო დათუკიშვილი

შარშან, როცა **სერგო დათუკიშვილი** შვედურ "ისტადში" თამაშობდა, საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **მერაბ მეტრეველმა** მითხრა - სერგო იმ დონის ხელბურთელია, რომ შვედეთზე გაცილებით უკეთეს ლიგაშიც თავისუფლად ითამაშებდაო.

ჩვენი ნაკრების ლიდერი წლეულს გადაბარგდა გერმანულ ბუნდესლიგაში და მართლაც ტოლს არაფერში უდებს პლანეტის ნარჩევ ხელბურთელებს. ცნობისათვის, გერმანული და ესპანური ლიგები მსოფლიოში საუკეთესოდ ითვლება და თითქმის ყველა ვარსკვლავი ბუნდესლიგაში ან პრიმერა დივიზიონში თამაშობს. მიუხედავად ესოდენ ძლიერი კომპანიისა, ქართველი ხელბურთელი შესანიშნავად ირჯება. ექვსი ტურის შემდეგ იგი ბუნდესლიგის ბომბარდირთა სამეულშია.

ბოლო ტურში, სერგოს კლუბი "ტუსენ ლიუბეკი" ერთ-ერთ ფავორიტ "გუმერსბახთან" დამარცხდა - 23:29. ამ შეხვედრაში, დათუკიშვილმა 5 გოლი შეაგდო.

ამჟამად, ბომბარდირთა დავას, 41 გოლით ლიდერობს "გუმერსბახის" ისლანდიელი ხელბურთელი **გუდიონ სიგურდარსონი**, "ფუხსეს" ავსტრიელმა ლეგიონერმა **კონრად ვილჩინსკიმ** 40-ჯერ შეარხია მეტოქეთა კარის ბადე, ხოლო დათუკიშვილის ანგარიშზეა 39 გოლი. აქვე, ისიც აღსანიშნავია, რომ სერგოს ისლანდიელსა და ავსტრიელზე ერთით ნაკლები მატჩი აქვს ჩატარებული.

მოკლედ, დათუკიშვილის შესახებ ერთადერთი არასასიამოვნო ამბავი ის არის, რომ 18-გუნდიან ბუნდესლიგაში, მისი გუნდი ხუთი თამაშიდან ოთხი ნაგებითა და ერთი ფრით, სატურნირო ცხრილის ბოლო საფეხურზეა. თუმცა წინ მთელი სეზონია და ვიმედოვნებთ, სერგოს მსგავსად, მისი გუნდიც გააუმჯობესებს თამაშს.

**კობა ხატისაშვილი**

## ცხენოსნობა

# ზეიმი სამტრედიაში

ცხენოსნობის ეროვნულ სახეობებში საქართველოს პირველობა არაერთხელ ჩატარებულა სამტრედიაში, რაც მუდამ ინტერესს იწვევს და დიდ ზეიმად აღიქმება. მაყურებლებს შორის ყოველთვის შეხვდებით მეზობელი რაიონებიდან ჩასულებსაც. არც თუ შორეულ წარსულში, თითქოს მინელდა კიდეც ყურადღება ამ ეროვნული მემკვიდრეობისადმი, მაგრამ მას შემდეგ, რაც ჩამოყალიბდა ცხენოსნობის ეროვნული სახეობების ფედერაცია (პრეზიდენტი **ალექსანდრე ვადაჭკორია**), სასიკეთოდ შეიცვალა ვითარება. ეს ყველაზე მკაფიოდ გამოჩნდება დღეს და ამ შაბათ-კვირას, როცა სამტრედიის სოფელ ილორის იპოდრომზე მაყურებელი კვლავ იხილავს ცხენოსნობის უძველეს ეროვნულ სანახაობას. დღეს, 21 სექტემბერს, პირველები შეჯიბრებაში ჩაებმებიან ცხენბურთსა და ისინდში მოასპარეზენი. მონაწილეობენ აბაშის, სამტრედიის, ოზურგეთისა და ფოთის წარმომადგენლები.

*"წლევანდელი ასპარეზობა იმითაც გამოირჩევა, რომ პირველად თამაშდება ფულადი პრიზები, რაც სპონსორმა, თბილისის იპოდრომის ჟოკეი-კლუბმა დააწესა. საერთოდ, ეს კლუბი აქტიურად თანამშრომლობს ჩვენძ ფედერაციასთან და მისი ხელმძღვანელობა პრიორიტეტად მიიჩნევს საქართველოში ცხენოსნობის, როგორც ეროვნული, ისე კლასიკური სახეობების განვითარებას"* - გვითხრა ალექსანდრე ვავაჭკორიამ.

**თორნიკე გაჩეჩილაძე**
სამტრედიიდან

## ველოსპორტი

# თურქეთი მოინადირა




გიორგი ნადირაძე

თურქეთში დასრულდა საგზატკეცილო ველოსპორტის მრავალდღიანი ორი დიდი საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც თბილისის მერიის ჯანდაცვისა და კულტურის სამსახურის დაფინანსებით, საქართველოს ნაკრებიც ასპარეზობდა. თურქეთში გაემგზავრა **ავთანდილ ხახიაურისა** და **ბორის კილასონიას** ოთხი შეგირდი - **გიორგი ნადირაძე, კახაბერ ლოსაურაშვილი, არჩილ მახარაძე** და **ნოდარ ყვავაძე**.

პირველი შეჯიბრება, "ვიქტორიას ტური", ანკარაში გაიმართა. ველომრბოლებმა სტარტი აიღეს შავი ზღვის პირას მდებარე პატარა ქალაქ ინაპოლოში, ხოლო ფინიში ქალაქ დუპლოპინაში იყო. ხუთეტაპიან და 750-კილომეტრიან დისტანციას, საქართველოს ნაკრები სათანადო პირობების არქონის გამო, მოუმზადებელი შეხვდა. სამმა ველომრბოლმა ჩასათვლელი ქულები ვერ მიიღო. ყველაზე უკეთ გამოვიდა გიორგი ნადირაძე, რომელმაც 13-ე ადგილით 43 ქულა ჩაიწერა რეიტინგში.

ამის შემდეგ, მოვლენებმა გადაინაცვლა ქალაქ კონიაში, სადაც ტარდებოდა "მევლანას ტური" საგზატკეცილო რბოლების საერთაშორისო ფედერაციის ეგიდით, უფროსებსა და 23-წლამდელთა შორის.

საქართველოს ველოსპორტის ფედერაციის პრეზიდენტ **ბესიკ ნადირაძის** თხოვნით, თურქეთის ველოსპორტის ფედერაციამ, ჩვენს გუნდს მისცა საშუალება, რომ კონიაში საწვრთნელი ვარჯიშები ჩაეტარებინა. ამას გარდა, მასპინძლები 6000 დოლარითაც დაგვეხმარნენ. ასეთ პირობებს მონატრებულ ქართველებზე, თურქულმა ვარჯიშებმა აშკარად დადებითად იმოქმედა...

"მევლანას ტურის" სტარტიც და ფინიშიც კონიაში იყო. ველომრბოლებს გასავლელი ჰქონდათ 490-კილომეტრიანი მონაკვეთი ექვსი ქალაქის გავლით. საქართველოს ნაკრების გარდა, შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ მასპინძელი, ბულგარელი, რუმინელი, გერმანელი, ისრაელელი, ბელგიელი, აზერბაიჯანელი და ესპანელი მრბოლები.

მიუხედავად მეტოქეთა სიძლიერისა, საქართველოს ნაკრების კაპიტანმა გიორგი ნადირაძემ დიდებულად იასპარეზა. მან 23-წლამდელთა შორის პირველობა არავის დაუთმო. არადა, იგი ტურნირის ყველაზე უმცროსი მონაწილე გახლდათ.

ამას გარდა, ნადირაძემ მოიპოვა საუკეთესო სამთო მრბოლისთვის განკუთვნილი მწვანე მაისურა, საერთო ჩათვლაში (ელიტაში) კი მესამე იყო. რაც შეეხება ყველაზე რთულ - ზღვის დონიდან 1600 მეტრზე გამართულ რბოლას, იქ ნადირაძე ვერცხლის მედალს დაეუფლა.

ჩვენი გვარიანად მოძველებული, ყოვლად უვარგისი ინვენტარისა და ბაზების გათვალისწინებით, ასეთი შედეგი წარმატებაა. ნადირაძის მოერ მოგროვილმა 90 სარეიტინგო ქულამ საქართველოს ნაკრები მეხუთე ადგილზე გაიყვანა.

**კობა ხატისაშვილი**

## წიგნის თარო


დავით კინწურაშვილი

საქართველო

GEORGIA

ოლიმპიური საქართველო

(ციფრები, ფაქტები)

თბილისი 2007

# ერთ კრებულში...

კრებულის ავტორია ვეტერანი სპორტული მოღვაწე, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის აღმასრულებელი დირექტორი დავით კინწურაშვილი. სტატისტიკა ყველაფერში და ყოველთვის საინტერესოა, მით უფრო სპორტში, რომელიც ერთადერთი სფეროა, რომელიც თავის ორბიტაში რომ იქცევს პლანეტის ადამიანებს მათი ეროვნების, სქესის, ასაკის, სარწმუნოების და ა.შ. მიუხედავად.

კრებულში გაეცნობით 1952 წლიდან მოყოლებული საქართველოს ყველა ოლიმპიელს, ჩემპიონებს და პრიზიორებს, მეოთხე-მერვე ადგილოსნებს, ანალიზს სახეობების და თამაშების მიხედვით, 30 ოლიმპიური ჩემპიონის ბიოგრაფიას, თამაშების ჩატარების დროსა და ადგილს. ცხადია, კრებულში შეტანილია ზამთრის ოლიმპიადებში საქართველოს წარგზავნილთა მონაწილეობის მონაცემებიც.

კრებული "ოლიმპიური საქართველო" (ციფრები, ფაქტები) კარგი საჩუქარია, როგორც ქართული სპორტის ისტორიის მკვლევართათვის, ისე გულშემატკივრებისთვის და სპორტული პროფილის სასწავლებლების მოსწავლეებისა და სტუდენტებისთვის.

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაბადებიდან 85 წელს ულოცავს სპორტის ღვაწლმოსილ მუშაკს, მძლეოსნობაში თაობათა, მათ შორის ოლიმპიური თამაშების მონაწილის ელმირა ურუსოვას აღმზრდელს ვასილი შმაკოვს.



# მილოცვა

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი და მძლეოსნობის ეროვნული ფედერაცია დაბადებიდან საიუბილეო 85 წელს ულოცავენ ვეტერან მძლეოსანს, საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს, საქართველოს სპორტის დამსახურებულ მუშაკს ვასილი შმაკოვს.

**ვასილი შმაკოვი** საქართველოს არაერთგზის ჩემპიონი და რეკორდსმენი იყო შუბის ტყორცნაში. დაამთავრა ფიზკულტურის ინსტიტუტი. მის აღზრდილთა შორის არიან შუბის ტყორცნაში პირველი სპორტის ოსტატი საქართველოდან თ. მეჭურჭლიშვილი, ი. გიგაური, ლ. შაკოვი, ნ. ზვიადაური, დ. საბაური. დიდხანს იმუშავა პოლიტექნიკური ინსტიტუტის ფიზაღზრდის კათედრაზე. მოამზადა ოლიმპიელი ელვირა ურუსოვა. დასახელდა XX საუკუნის 10 საუკეთესო მწვრთნელს შორის საქართველოში.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ინტერვიუ დავით უსტიაშვილთან

# ათმეთაური ათეულსა და გვარდიაზე

## ვის დაიმატებენ აზოტში?



დავით უსტიაშვილი და კენ შილდსი

ქართულმა კლუბმა ევროტურნირებზე ბოლოს 2003 წლის 14 იანვარს ითამაშა - თბილისის "დინამომ" ფიბას თასის მეოთხედფინალში უკრაინულ "აზოვმაშს" უმასპინძლა და მცირე სხვაობით დამარცხდა.

ამა წლის 30 ოქტომბერს ევროთასებზე ქართული კლუბების არყოფნით არსებულ "სიცარიელეს" რუსთავის "აზოტი" ამოავსებს. ქვემოქართლელები სპორტის სასახლეში ჰოლანდიურ "ამსტერდამ ასტრონავტს" დაუპირისპირდებიან. 6 ნოემბერს განმეორებითი შეხვედრა ჰოლანდიის დედაქალაქში გაიმართება. ამ წყვილში გამარჯვებული ბელგიურ "მონსს" შეხვდება, ხოლო მეორე საკვალიფიკაციო ეტაპის შემდეგ ჯგუფური ტურნირი შედგება, სადაც 16 კლუბი ოთხ ჯგუფად გაიყოფა. თუმცა მანამდე ძალიან შორია, სადღეისოდ როგორ ემზადება "აზოტი" ევროთასისთვის და რა შემადგენლობით იასპარეზებს, ამის თაობაზე მთავარი მწვრთნელი დავით უსტიაშვილი გვესაუბრება, რომელიც ამავე დროს ეროვნულ ნაკრებში კენ შილდსის ასისტენტი გახლავთ...

**- ფიბაში საევროთასო განაცხადი უკვე გააგზავნეთ?**

- ჯერ არა. შემადგენლობების გაგზავნის ბოლო ვადა 21 სექტემბერია. ამ კვირაში ფიბას იმ კალათბურთელების სიას მივაწვდით, რომლებიც ევროთასზე ითამაშებენ. მაგრამ მინდა აღვნიშნო, რომ ეს განაცხადი საბოლოო არ იქნება - რამდენიმე მოთამაშის დამატება შემდეგშიც შეგვეძლება.

**- დღეს თუ გაქვთ იმ 10 კაცის სია, ვისაც განაცხადში შეიყვანთ?**

- ლაშა გამყრელიძე, გიორგი ცეკვავა, ბესიკ ლეჟავა, მიხეილ ჭოჭუა, რამაზ გოგობერიშვილი, ანატოლი ბოისა, ზვიად ბაბიაშვილი, რეზო დიდია. ჟულიეტ ტუჯანი... მეათე პოზიციას ან იური დანელიანი შეავსებს, ან გეგი ლიპარტელიანი.

**- განაცხადში კიდევ ვინ იქნება?**

- ამჟამად ვერაფერს ვიტყვი. უახლოეს მომავალში გაირკვევა, კიდევ ვის დავიმატებთ.

**- ახალწვეულები, ლეჟავა და ბაბიაშვილი გუნდს როგორ შეეწყვნენ?**

- მათ არანაირი პრობლემა არ შეხვედრიათ. ზვიადი "აზოტში" ადრეც თამაშობდა და კალათბურთელებს კარგად უგებს. ფარქვეშ იგი დიდად დაგვეხმარება. ბესიკ ლეჟავა 15 წლის იყო, როცა მასთან "აკადემიაში" ვმუშაობდი. მას მერე ჭაბუკთა ნაკრებშიც ვწვრთნიდი და ახალგაზრდულშიც. ერთმანეთს კარგად ვიცნობთ, პერსპექტიული ბიჭია.

**- ერთი კვირის უკან ლაშა გამყრელიძის ინტერვიუ დავბეჭდეთ - "ვითაში" ვითამაშებო...**

- ლაშამ საბოლოოდ გადაწყვიტა ჩვენი დახმარება. იგი სეზონის ბოლომდე "აზოტში" იქნება. ლაშას დაბრუნებით უკანა ხაზში პრობლემები აღარ უნდა იყოს.

**- ევროთასისთვის გუნდის მზადებაზეც ვთქვათ.**

- ახლა რუსთავში ვემზადებით. დღეში ერთჯერადი, მაგრამ ხანგრძლივი ვარჯიშები გვაქვს. "ამსტერდამთან" მატჩის მოახლოებასთან ერთად, ორჯერად წვრთნაზე გადავალთ. ვფიქრობ, ოქტომბრის ბოლოსთვის ოპტიმალურ ფორმაში ვიქნებით.

**- კლუბის ხელმძღვანელობა ევროთასზე რა მიზანს გისახავთ?**

- ჩვენი მიზანი ღირსეული თამაში იქნება. ვეცდებით, მეტოქეს არაფერი დავუთმოთ. მძიმე ბრძოლები გველის...

**- ჰოლანდიური მეტოქის შესახებ რა ინფორმაციას ფლობთ?**

- გვაქვს სხვადასხვა სახის ინფორმაცია. ვიცით, რომ "ამსტერდამში" ამერიკელი ლეგიონერებიც თამაშობენ და ძლიერი გუნდია. მაგრამ მეტოქის შესწავლა უფრო კონკრეტულად მას მერე შეგვეძლება, რაც მის საევროთასო განაცხადს გავეცნობით. 21 სექტემბრამდე ხომ თითქმის აღარაფერი დარჩა.

**- იმედია, "აზოტის" სია ძლიერი მოთამაშეებით შეივსება, რაზეც უახლოეს მომავალში ვისაუბრებთ. ახლა ნაკრების შესახებ მინდა გკითხოთ. საკვალიფიკაციო ტურნირში ეროვნული გუნდის გამოსვლას როგორ აფასებთ?**

- შედეგის მიხედვით, ნაკრების გამოსვლა უარყოფითად უნდა შეფასდეს. მართალია, ისლანდიაში საქმე ბოლო წამებამდე არ უნდა მისულიყო, მაგრამ მაინც ძალიან გულდასაწყვეტია, როცა ერთი საბედისწერო ტყორცნის გამო A დივიზიონში ვერ გადადიხარ. ბოლო წამებზე ისლანდიელი სიგურდარსონისგან ისეთი ბურთი მივიღეთ, ათასში ერთხელ რომ ვარდება. არადა, ის მატჩი რომ მოგვეგო, ფლეი ოფში ჩვენზე სუსტ შვეიცარიას შევხვდებოდით და ახლა A დივიზიონში ვიქნებოდით. მაგრამ რადგან ისლანდიაში დავმარცხდით, ე.ი. გვქონდა შეცდომები. ალბათ, კუნძულელებთან მატჩზე კიდევ უფრო მეტი უნდა გვემუშავა, რადგან მათ ხელწამოსაკრავი გუნდი არ ჰყავთ. პორტუგალიელებმაც გაგვაფრთხილეს, რომ ისლანდიელებს სერიოზულად უნდა მივდგომოდით, რადგან მათ შარშან ჩრდილოელებთან წაგებული ჰქონდათ. არადა, პორტუგალია ევროპის ჩემპიონატზე თორმეტეულში შევიდა.

**- ისეთი შთაბეჭდილება დარჩა, რომ საქართველოს ნაკრებს ცოტა შეთამაშებაც აკლდა.**

- ოფიციალურ მატჩებამდე ერთი თვით ადრე შევიკრიბეთ და საკონტროლო შეხვედრებიც საკმარისად ჩავატარეთ. გუნდის შეკვრაზე ბევრს ვმუშაობდით, თუმცა იყო შეფერხებებით. მაგალითად, ვლადიმერ ბოისა გასაგები მიზეზების გამო გვიან შემოგვიერთდა. იგი ხომ ხუთეულის წევრი იყო... ნიკა ცქიტიშვილის თამაში საერთოდ ვერ მოხერხდა. არადა, მწვრთნელმა წინასწარ უნდა იცოდეს, გუნდში რომელ კალათბურთელს რა ფუნქცია დააკისროს და როცა შემადგენლობა თავიდანვე არასრულია, სამუშაო რთულდება. ამასთან, გიორგი ცინცაძე, ვიქტორ სანიკიძე და ლაშა გამყრელიძე ახალგაზრდები არიან და საბოლოოდ ჩამოსაყალიბებლად დრო კიდევ უნდათ. ისინი სწრაფი ტემპით პროგრესირებენ და, ვფიქრობ, გაისად ნაკრებში კიდევ უფრო დიდი როლი ექნებათ. მათთან ერთად ჭაბუკთა და ახალგაზრდულ ნაკრებში მანუჩარ მარკოიშვილიც თამაშობდა... იმის თქმა მინდა, რომ ეს ოთხეული ერთმანეთს კარგად იცნობს, მოედანზე ურთიერთგაგების პრობლემა არ აქვთ და როცა ნაკრების 4 წევრი ერთმანეთთან კარგადაა შეწყობილი, შეთამაშების მხრივაც ნაკლები პრობლემა უნდა იყოს.

**- ისე, ფინეთს სამაგალითოდ შეკრული გუნდი ჰყავს...**

- მათ ხომ სრულად შეკრების პრობლემა არასოდეს აქვთ - ადგილობრივი ჩემპიონატის კალათბურთელებს რანცო და მოტოლა ემატებიან და ოფიციალურ შეხვედრებამდე ორი თვით ადრე იწყებენ მზადებას.

**- ბოლოს მინდა გიორგი ცინცაძეზე გკითხოთ, რომელმაც ავსტრიასთან მატჩში 8 სამქულიანი ტყორცნა ააცილა და არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია. მასთან "აკადემიაშიც" მუშაობდით და ასაკობრივ ნაკრებებშიც.**

- ჩემი აზრით, ავსტრიასთან გიორგის ცუდად არ უთამაშია. ზოგჯერ შეიძლება სროლა არ წაგივიდეს და ერთიც ვერ ჩააგდო, მაგრამ სამაგიეროდ ცინცაძემ დაცვაში იმუშავა ბევრი და ბურთსაც კარგად ათამაშებდა; ამიტომაც ერგო დიდი სათამაშო დრო. რვიდან ორი სამიანი მაინც რომ ჩაეგდო, მაშინ ხალხი საპირისპიროს იტყოდა - ცინცაძემ კარგად ითამაშაო.

ისლანდიაში შეტევაში უკეთ გამოიყურებოდა და ბევრი საჭირო ჩაჭრაც ჩაიწერა. აშკარაა, რომ უკეთეს კონდიციებშია და მომატებული აქვს. არც ის უდა დაგვავიწყდეს, რომ გამთამაშებლისთვის 21 წელი საკმაოდ ახალგაზრდული ასაკია.

ვაჟა სიმონიშვილი



# ესტუში დრო არ მყოფნის!

## ვიქტორ სანიკიძე ახალ კლუბს ეძებს

საქართველოს ნაკრების წევრთა უმეტესობამ კლუბებს უკვე მიაშურა და საკონტროლო მატჩებსაც ატარებს. ესპანური "ესტუდიანტესის" ოფიციალურ ვებ-გვერდზე მატჩების ოქმებში ვიქტორ სანიკიძის გამოჩენას დიდი ხანია ველით, მაგრამ ვერც ერთ ამხანაგურ თამაშში ქართული გვარი ვერ ამოვიკითხეთ. ამიტომ გადავწყვიტეთ ესპანეთში ვიქტორთან დაკავშირება და სიახლეების შეტყობა.

ვიქტორი კი თბილისში აღმოჩნდა - ესპანეთში შეიძლება სულაც აღარ წავიდეო. მეტს აღარ გავაგრძელებთ, თავად სანიკიძეს მოვუსმინოთ.

**- ვიქტორ, ესპანეთში ვაპირებდი დარეკვას, იქ მეგონე.**

- ჯერაც საქართველოში ვარ, ინდივიდუალურად ვვარჯიშობ. უცხოეთში მას მერე წავალ, რაც ჩემი მენეჯერი დამირეკავს.

**- ტრავმის გამო ხომ არ შეყოვნდი?**

- არა. ისლანდიაში მიღებული კოჭის ტრავმა უკვე მოვიშუშე, თერაპიის კურსი სამი დღის წინ დავასრულე და ახლა სრული დატვირთვით ვვარჯიშობ. მინდა კლუბში მომზადებული ჩავიდე, ისედაც დავაგვიანე...

**- "ესტუდიანტესში" წასასვლელად მენეჯერის ზარი რა საჭიროა, შარშანაც ხომ ამ ესპანურ კლუბში თამაშობდი და შენი გვარი წლევანდელ განაცხადშიც ამოვიკითხე.**

- საქმე ისაა, რომ გუნდის გამოცვლას ვაპირებ. "ესტუში" აღარ ვითამაშებ.

**- რატომ გადაწყვიტე ასე?**

- ჩემს აგენტთან თათბირის შემდეგ, ისეთ გუნდში გადასვლა ვარჩიე, სადაც შედარებით მეტი სათამაშო დრო მექნება. არ მინდა ისეთ სიტუაციაში აღმოვჩნდე, როგორშიც შარშან ვიყავი – დაახლოებით 8-10 წუთი მიწევდა თამაში. ახალგაზრდა კალათბურთელისთვის მთავარი სათამაშო წუთებია.

**- კარიერის გაგრძელებას სად აპირებ?**

- დღე-დღეზე გავარკვევ. ახლა მართლა არ ვიცი, მომავალ სეზონს სად დავიწყებ. მენეჯერი ისეთ კლუბს ეძებს სადაც თამაშის საშუალება მომეცემა.

**- ისევ ესპანეთში დაბრუნდები?**

- ალბათ, არა.

**- მინდა ჩვენი ნაკრების გამოსვლაზეც გკითხო. დღეს, ცივი გონებით როგორ შეიძლება შეფასდეს საქართველოს ეროვნული გუნდის წლევანდელი გამოსვლა?**

- კატასტროფულად! სხვა რა შეიძლება ითქვას ჩვენს გამოსვლაზე?

**- ისლანდიაში ბოლო სამქულიანი რომ არ ჩავარდნილიყო...**

- რეიკიავიკში რომც მოგვეგო, ამით რა? – ჩვენი თამაში ხომ არ შეიცვლებოდა? ცუდად ვითამაშეთ. არადა, შიდა საუბრებში ხშირად ვახსენებთ ზედა ეშელონს და ევროპის ჩემპიონატსაც... იქ კი სულ სხვანაირი თამაშია საჭირო.

**- როგორ ფიქრობ, წელს შარშანდელზე სუსტად იყავით მომზადებულები?**

- მწვრთნელზე გადაბრალება ადვილია, მაგრამ ჩემი აზრით წელს თავიდანვე არეულები ვიყავით. გუნდის თავკაციც ბოლო მომენტში შეგვეცვალა, ნიკა ცქიტიშვილმა საერთოდ ვერ ითამაშა, ვოვა ბოისა ორი მატჩის შემდეგ შემოგვიერთდა, მეც კრიტიკულ მომენტში გამიმიზეზდა ამერიკაში მიღებული კოჭის ტრავმა... მოკლედ, ყველამ რაღაც დავაკელით, რაც საბოლოო შედეგზე უარყოფითად აისახა და სამწუხაროდ, ვერც წელს მოვახერხეთ ზედა ლიგაში ასვლა.

**- გაისად რა იქნება?**

- რადგან ფინეთი მოგვშორდა ჩვენს ბედს ძაღლი არ დაჰყეფს – ფინელები და ბრიტანელები ხომ A ლიგაში ალზევდნენ, ქვემოთ კი შვედები და დანიელები დაეშვნენ. ორივე მათგანი დამარცხებული გვყავს. დანიას ამ ზაფხულს ბულგარეთში იოლად ვაჯობეთ. ჩვენც ერთი წელი მოგვემატება და შედარებით გამოცდილები ვიქნებით. ყველაფერი უნდა დავივიწყოთ და მხოლოდ გუნდის ერთ მუშტად შეკვრაზე ვიფიქროთ.

ვაჟა სიმონიშვილი

# გამოცანა გერგებათ...

## 20 სექტემბერი. კარდიფი. B

**უელსი-იაპონია 72:18**

უელ: (15-9) მორგანი, დაფ. ჯეიმზი, რობინსონი (შენკლინი 73), ჰუკი, შ. ვილიამსი, ს. ჯოუნზი (სვინი 57), ფილიპსი (კუპერი 57); (1-8) დან. ჯოუნზი, რის-თომასი (ბენეტი 59), ჰორსმენი (ჯენკინსი 65), ვ. ჯეიმზი, ა.-ვ. ჯოუნზი (ევანსი 52), ჩარვისი, მ. ვილიამსი, პოპემი (ოუენი 58) / *11ლ (ა.-ვ. ჯოუნზი, ჰუკი, რის-თომასი, მორგანი, ფილიპსი, შ. ვილიამსი 2, დაფ. ჯოუნზი, კუპერი, მ. ვილიამსი 2), 7გ (ს.ჯოუნზი 5, სვინი 2) ს (ს.ჯოუნზი)*

იაპ: (15-9) ლომანუ, ენდო, იმამურა (ტაირა 51), ონიში (კუსუმი 52), ონოზავა, რობინსი, იოშიდა (კიმი 66); (1-8) ნიშიურა (იამამურა 53), მაცუბარა (ინოკუჩი 74), სომა, ონო, თომპსონი (კისო 66), მაკირი (ასანო 52), ორეილი, მიუჩი -*2ლ (ენდო, ონოზავა); გ (რობინსი), 2ს (ონიში)*

| B ჯგუფი | თ | მ | ფ | ნ | ბ | პ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ავსტრალია | 2 | 2 | 0 | 0 | 123-23 | 2 | 10 |
| უელსი | 3 | 2 | 0 | 1 | 134-67 | 2 | 10 |
| ფიჯი | 2 | 2 | 0 | 0 | 64-47 | 2 | 10 |
| იაპონია | 3 | 0 | 0 | 3 | 52-198 | 1 | 1 |
| კანადა | 2 | 0 | 0 | 2 | 33-71 | - | 0 |

23 სექტ. 16:30 ავსტრალია-ფიჯი

## 21 სექტემბერი. 23:00. D

**საფრანგეთი-ირლანდია TV**

სენ დენი. სტად დე ფრანსი

საფ: 15. კლემან პუატრენო 14. ვენსან კლერი 13. დავიდ მარტი 12. დამიენ ტრაი 11. სედრიკ ემონსი 10. ფრედერიკ მიშალაკი 9. ჟან-ბატისტ ელისალდი; 1. ოლივიე მილუ 2. რაფაელ იბანესი (კაპ) 3. პიერ დევილიე 4. სებასტიან შაბალი 5. ჟერომ თიონი 6. სერჟ ბეტსენი 7. ტიერი დუზოტუარი 8. ჟულიენ ბონერი / 16. დიმიტრი შარჟევსკი 17. ჟან-ბატისტ პუ 18. ლიონელ ნალე 19. იანიკ ნიონგა; 20. ლიონელ ბოსი; 21. იანიკ ჟოზიონი 22. ორელიან რუჟრი

ირლ: 15. გირვან დემპსი 14. შეინ ჰორგანი 13. ბრაიან ოდრისკოლი (კაპ) 12. გორდონ დარსი 11. ენდრიუ თრიმბლი 10. რონან ოგარა 9. იუან რედანი; 1. მარკუს ჰორანი 2. ჯერი ფლენერი 3. ჯონ ჰეიესი 4. დონჩა ოკალაჰანი 5. პოლ ოკონელი 6. საიმონ ისტერბი 7. დევიდ ვოლისი 8. დენის ლიმი / 16. ფრენკი შეიენი 17. საიმონ ბესტი 18. მალკოლმ ოკელი 19. ნილ ბესტი; 20. აიზეკ ბოსი 21. პედი ვოლისი 22. გევინ დაფი

მსაჯი: ქრის ვაითი (ინგ)

| D ჯგუფი | თ | მ | ფ | ნ | ბ | პ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| არგენტინა | 2 | 2 | 0 | 0 | 50-15 | 1 | 9 |
| ირლანდია | 2 | 2 | 0 | 0 | 46-27 | 1 | 9 |
| საფრანგეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 99-27 | 2 | 6 |
| საქართველო | 2 | 0 | 0 | 2 | 13-47 | 1 | 1 |
| ნამიბია | 2 | 0 | 0 | 2 | 27-119 | - | 0 |

22 სექტ, 23:00 არგენტინა-ნამიბია





საქართველოს ნაკრების ვარჯიშზე. მარცხნივ - მერაბ კვირიკაშვილი, მარჯვნივ - დავით ხინჩაგიშვილი. უნდა მოძებნოთ ვიქტორ დიდებულიძე და ამოიცნოთ, ვინ დგას ხინჩაგიშვილის გვერდით

დღეს ჩვენს ჯგუფში ბევრი რამ უნდა გაირკვეს. საფრანგეთი ეთამაშება ირლანდიას და თუ დამარცხდა, თავისუფალია! ჯგუფშია ჩარჩენილი! მაგრამ თუ მასპინძლებმა მოიგეს, ჯგუფში ვითარება უკიდურესად დაიძაბება და ორი მეოთხედფინალისტის ვინაობა გაირკვევა 30 სექტემბერს - საფრანგეთ-საქართველოსა და ირლანდია-არგენტინის მატჩების შემდეგ.

თუ ჯგუფური ტურნირის ბოლო დღეს უკვე ირლანდიამ დაამარცხა არგენტინა, მაშინ ამ ორ გუნდსა და ფრანგებს ერთმანეთში თითო მოგება ექნებათ და გადამწყვეტი გახდება, ვინ რამდენი პრემიალური ქულა მიიღო მთელ ჯგუფურ ტურნირში. ასე რომ, დღეს დიდი მნიშვნელობა ექნება არა მხოლოდ მოგებულის ვინაობას, არამედ იმას - როგორ განაწილდება ქულები. ხოლო ქულების დათვლის დღეს მოქმედი სისტემით ამის ექვსი ვარიანტია: 4-0, 4-1, 4-2, 5-0, 5-1 და 5-2. თუმცა მხოლოდ მასპინძლების მოგების შემთხვევაში აქვს ამის თვლას აზრი - როგორც უკვე გითხარით, დღეს წაგებული საფრანგეთი თავისუფალია...

მაგრამ, ძნელი წარმოსადგენია, როგორ უნდა მოიგოს ირლანდიამ. ძალიან ძლიერმა, თუმცა ამ მსოფლიო თასზე ძალიან არეულ-დარეულმა და კრიზისში იყოფმა გუნდმა. ნამიბიასთან ძალიან უფერული თამაშისა და საქართველოსთან სასწაულად გადარჩენის შემდეგ უკვე დაიყარა უამრავი ჭორი, რომ ირლანდიელთა ბანაკში შინააშლილობაა, ძაღლი პატრონს ვერ ცნობს და ყველას ერთი სული აქვს, როდის დაბრუნდება შინ. მწვრთნელი **ოსალივანი,** კაპიტანი **ოდრისკოლი** და მთელი უფროსობა ერთთავად ამ ხმების უარყოფას ცდილობდა. სულ ბოლოს ასეთმა ამბავმა გამოჟონა: **ჯორდან მერფი** ბოლო წლების განმავლობაში მეტწილად გუნდის ძირითადი 15 ნომერი იყო, პირველ ორ მატჩში სულ ერთი წუთი ითამაშა, ფრანგებთან თამაშის წინ კი 22 კაცშიც ვერ მოხვდა! ჰოდა, ამდგარა და გაქცეულა კიდეც ბანაკიდან. რა თქმა უნდა, ეს ჭორიც უარყვეს, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ირლანდიას ბოლო 35 წლის განმავლობაში სულ ერთხელ მოუგია პარიზში!

ირლანდიელთა შემადგენლობაზე რამდენიმე დღის წინ გიამბეთ და მას შემდეგ არაფერი შეცვლილა - საქართველოსთან მატჩის შემდეგ 3 კაცი გამოიცვალა - კვაჭი, გარემარბი და 9 ნომერი. ფრანგებს 4 კაცი ჰყავდათ დაშავებული და მათგან მხოლოდ კაპიტანმა, **რაფაელ იბანესმა** მოასწრო გამოჯანსაღება, ხოლო 22 კაცს მიღმა დარჩნენ **ფაბიენ პელუ, დავიდ სკრელა** და **იმანოლ არინორდოკი.**

**ბერნარ ლაპორტმა** ნამიბიასთან 87:10 მომგები უკანა ხაზი უცვლელი დატოვა, ხოლო შერკინებაში პირიქით - არგენტინასთან წაგებულ შემადგენლობას ენდო. აქ სულ ერთი "ნებაყოფლობითი" ცვლილებაა (მესამე ხაზში **რემი მარტენს** ცვლის **ტიერი დუზოტუარი**) დანარჩენი ორი კი იძულებითი. **არინორდოკის** ნაცვლად შერკინებას **ჟულიენ ბონერი** შეკრავს, ხოლო მეორე ხაზში **პელუს** მაგივრად იდგება **სებასტიან შაბალი** - ფრანგების ყველაზე პოპულარული მოთამაშე. ეს პოპულარობა არაადამიანური ღონის გარდა შაბალის გარეგნობას უკავშირდება - პირწავარდნილ კატორღელს ჰგავს.

საქართველოს ნაკრებს თავისი მთავარი ამოცანა 26 სექტემბერს, ნამიბიასთან ექნება გადასაჭრელი, მაგრამ მაინც ვიკითხოთ - საფრანგეთ-ირლანდიის რომელი შედეგი უნდა გვაწყობდეს?

რა თქმა უნდა, ფრანგების წაგება! წარმოიდგინეთ ასეთი ვარიანტი: 21 სექტემბერს ფრანგები აგებენ ირლანდიასთან და ჯგუფში რჩებიან. და მერე... მთელი 9 დღე, 30 სექტემბრამდე უნდა იყონ გამოკეტილები საკუთარ ბაზაზე, იმისათვის, რომ ქართველებს ეთამაშონ არაფრისმომცემი, უაზრო მატჩი. თამაში, რომელში გამარჯვებაც არაფერს შემატებს გუნდს და დაკარგვით...

არა, მე არ ვამტკიცებ, რომ ფრანგებთან მოგების შანსი გვექნება, მაგრამ 9-დღიან სატანჯველგამოვლილი გუნდის მოტივირება საქართველოსთან მატჩისთვის ძალიან ძნელი იქნება, თუ შეუძლებელი არა. უეჭველია, რომ ჩვენთვის ეს იდეალური ვარიანტია ფრანგებთან საბრძოლველად. და რა იცი, მერე რა ხდება...

მაგრამ მეორე მხრივ... დღეს საფრანგეთის მოგების შემთხვევაში ჩვენ... მეოთხედფინალში გასვლის თეორიული შანსი გაგვიჩნდება! თეორიული, რომელიც თქვენც შეგიძლიათ გამოთვალოთ.

თუმცა ახლა აღარ გვინდა ამაზე საუბარი. საფრანგეთი მოიგებს თუ ირლანდია, არსებითი მნიშვნელობა ჩვენთვის არა აქვს. ნამდვილი და უეჭველი ისაა, რომ ჩვენი გუნდი, ნებისმიერ შემთხვევაში, 30 სექტემბრის მატჩზე მაქსიმალურად მოტივირებული გავა. მეტოქემ კი თავისი იკითხოს...

ხვალ კი ჩვინივე ჯგუფში არგენტინა ეთამაშება ნამიბიას და ცხადია, 5 ქულის აღებას გეგმავს. **მარსელო ლოფრედას** ამ მატჩის წინ პრობლემები შეექმნა - საფრანგეთთან და საქართველოსთან ნაომარ გუნდში ძალიან ბევრი დაშავებული დაგროვდა. მათ შორის იყო კაპიტანი და 9 ნომერი **აუგუსტინ პიშო** და სამივე ის მორაგბე, ვისაც 10 ნომრად თამაში შეეძლო - **ხუან მარტინ-ერნანდესი, ფელიპე კონტეპომი** და **ფედერიკო ტოდესკინი.** პრობლემა გუშინ საღამოს გადაიჭრა - ერნანდესის გარდა ყველამ მოასწრო გამოჯანმრთელება.

და საქართველოს ნაკრებზე. **ილია ზედგინიძის** ნაცვლად მწვრთნელებმა დაიმატეს 36 წლის ვეტერანი **ზურაბ მჭედლიშვილი,** რომელიც უკვე ჩაერთო წვრთნაში. აქვე ორი ფოტო ნაკრების გუშინწინდელი ვარჯიშიდან და ერთი გამოცანაც: ერთ ფოტოზე **მერაბ კვირიკაშვილია,** მეორეზე, მარჯვნივ, **დავით ხინჩაგიშვილი.** გამოცანა გვეკითხება - **ვინ აწვება შერკინების დაზგას ხინჩაგიშვილის გვერდით?** ჩვენ ვერაფრით ამოვიცანით. ერთმა ჩვენმა მეგობარმა, სახელად შაჯახანმა, ამ ორ კაცს შორის **ვიქტორ დიდებულიძეც** კი შენიშნა, მაგრამ მარცხნივ მდგომი ვერც მან ამოიცნო.

მხოლოდ გამორიცხვის მეთოდით დავადგინეთ, რომ ეს შეიძლება იყოს...

დაბოლოს, სარაგბო მოედნების საკითხი დღევანდელ საქართველოში. უკვე გაცნობეთ, რომ საქართველოს პრეზიდენტმა პირადად დაავალა სპორტის მინისტრს, უახლოეს ხანში 10 თანამედროვე რაგბის მოედნის მოწყობა საქართველოს ყველა პროვინციაში. გუშინ ამ საკითხს მსოფლიო თასის ოფიციალური ვებგვერდიც გამოეხმაურა. ოფიციაური ცნობის შემდეგ მოყვანილია კაპიტან **ზედგინიძის** კომენტარი:

*- უმეტესობა საფრანგეთში ვთამაშობთ და, მადლობა ღმერთს, აქ გვაქვს ოსტატობის დახვეწის საშულება, მაგრამ საქართველოში თითქმის არ არსებობს ნორმალურად ვარჯიშისა და განვითარების საშუალება. თავად განსაჯეთ, ნაკრების 30 მოთამაშე ჩვენ მხოლოდ 500 მორაგბიდან უნდა ამოვარჩიოთ. უახლოესი 5 წლის განმავლობაში ძალიან დიდი სამუშაოს გაწევა მოგვიწევს ამ პრობლემის მოსაგვარებლად. არადა, ძალიან ბევრი საუკეთესო 11-12-13 წლის ბავშვი გვყავს, ისინი მონაცემებით არაფრით ჩამოუვარდებიან ფრანგ თუ ინგლისელ თანატოლებს და თუ სწორად განვითარდნენ, ჩვენი ნაკრები არცერთ გრანდს ტოლს არ დაუდებს. ჩვენი მიზანია რაგბი საქართველოში პირველ სპორტად ვაქციოთ!*

სულ ბოლოს კი ცნობა, რომელიც გუშინ საღამოს გაავრცელა სააგენტო "ახალი ამბები-საქართველომ". თურმე, საქმე დაძრულა კიდეც და ფრანგული ფირმა "პოლიტანი" უკვე აწარმოებს მოლაპარაკებას რაგბის კავშირთან. "შევარდენის" სარაგბო სტადიონზე ახალ საფარს დეკემბრის ბოლომდე დააგებენ.

მინისტრ **გიორგი გაბაშვილის** თქმით, მთელ ქვეყანაში 14 სარაგბო და საფეხბურთო სტადიონი უნდა აშენდეს. უკვე შემუშავებული კონცეფცია, რომლის მიხედვითაც განზრახულია რამდენიმე ათეული მილიონი ლარის გამოყოფა ამ ორი სახეობის განვითარებისთვის.

კომპანია "პოლიტანი" ხელოვნური ბალახის საფარს, აგრეთვე ჩოგბურთის კორტებსა და სხვა სახის სპორტულ მოედნებს ამზადებს. აქვს უეფასა და ფიფას ოფიციალური სერტიფიკატი. საქართველო იქნება 81-ე ქვეყანა, სადაც "პოლიტანი" შევიდა.

**ნიკოლოზ აბაშიძე**

| ბომბარდირები | თ | ქ | ლ | გ | ს | ა |
|---|---|---|---|---|---|---|
| პერსი მონტგომერი (ს.აფრ) | 2 | 47 | 2 | 8 | 7 | - |
| ნიკ ევანსი (ზელ) | 2 | 33 | 1 | 14 | - | - |
| სტირლინგ მორტლოკი (ავს) | 2 | 32 | 1 | 9 | 3 | - |
| ჟან-ბატისტ ელისალდი (საფ) | 2 | 27 | 1 | 11 | - | - |
| ნიკი ლითლი (ფიჯი) | 2 | 24 | - | 6 | 4 | - |
| პიერ ჰოლა (ტონგა) | 2 | 24 | - | 3 | 6 | |
| ქრის პატერსონი (შოტლ) | 2 | 23 | 1 | 9 | - | - |
| ფელიპე კონტეპომი (არგ) | 2 | 23 | 1 | 9 | - | - |
| გევინ ვილიამსი (სამოა) | 2 | 22 | 1 | 1 | 5 | - |

**მელელოვეები**

**4** - ბრაიან ჰაბანა (ს.აფრ), რორი ლემონი (შოტ), ქრის ლეითემი (ავს)

**3** - ჯეიპი პიტერსენი (ს.აფრ), დაგ ჰაულიტი, ჯერი კოლინზი (ზელ), შეინ ვილიამსი (უელ), ვენსან კლერი (საფ), ალისტერ ჰოგი (შოტ), როკი ელსომი (ავს)

**2** - კელე ლეავერე, კამელი რატუვოუ, აკაპუსი ქერა (ფიჯ), რიჩი მაკქოუ, სიტივენი სივივატუ, აარონ მეიჯერი, ჯო როკოთოკო, კონრად სმითი (ზელ), ბერიკ ბარნსი, დრიუ მიჩელი (ავს), ლიონელ ნალე, სებასტიან შაბალი (საფ), ლუკას ბორხესი (ავს), ლუკ თომპსონი (იაპ), პერსი მონტგომერი (ს.აფრ)

*გათვალისწინებული არ არის გუშინდელი თამაში*



გაქცეული კატორღელი - სებასტიან შაბალი

## თერილი



გია ლაბაძე. დაიბადა 21.09.1973, თბილისი. რაგბი. ფლანკერი. საქართველოს ნაკრებში ჩაატარა 46 მატჩი (10 ლელო, იყო ნაკრების კაპიტანიც). 2001 წლის ევროპის ერთა თასის მფლობელი (4 მატჩი, 1 ლელო), 2003 წლის მსოფლიოს თასის გათამაშების მონაწილე (2 მატჩი). თამაშობს 2007 წლის მსოფლიო თასზეც (ითამაშა არგენტინასთან). ორჯერ იასპარეზა შვიდკაცას მსოფლიო თასის ფინალურ ეტაპზე (2001, 2005). ამჟამად ფრანგულ კლუბ "ტულონის" კაპიტანია.

ინტერვიუ ლებრონ ჯეიმსთან

# არგენტინა უშანსოდ იქნება

**ბოლო წლებში იმიჯშელახულმა "ოცნების გუნდმა" ერთ ამოსუნთქვაზე ჩაატარა ამერიკის ოლიმპიური საკვალიფიკაციო ტურნირი და მოლოდინისამებრ, პეკინში თამაშის უფლება მოიპოვა. იანკების მთავარ მწვრთნელ მაიკ კრჟიჟევსკის უძლიერესი შემადგენლობა ჰყავდა, სადაც ძირითადად ახალგაზრდებმა მოიყარეს თავი და ამ გუნდმა ოპონენტებისგან ქვა ქვაზე არ დატოვა. ერთიცაა, ამერიკელების ძირითად მეტოქეებს, ანუ იგივე კანადას, ბრაზილიასა და რაც მთავარია, არგენტინას, ტურნირზე შესუსტებული გუნდები ჰყავდათ ჩაყვანილი და ამან, კობი ბრაიანტსა და მის თანაგუნდელებს დასახული მიზნის რეალიზება გაუადვილა. არგენტინამ ლამის მთელი ბირთვი მოისაკლისა და მიუხედავად ამისა, ამერიკასთან პირველ შეხვედრაში მაინც 20 ქულაზე ნაკლებით დამარცხდა, თუმცა ფინალში არგენტინა უკვე უშანსოდ იყო. ამერიკელთა ერთ-ერთი ლიდერი, "კლივლენდ კავალიერსის" ვარსკვლავი ლებრონ ჯეიმსი ინტერვიუში სწორედ დამდეგ ოლიმპიადასა და განვლილ შესარჩევ ციკლზე საუბრობს.**



ლებრონ ჯეიმსი

**- რამდენიმე დღის წინ, ლუის სკოლამ დამდეგ ოლიმპიადაზე ისაუბრა. მისი აზრით, უძლიერესი შემადგენლობით არგენტინას ყველა მეტოქის, მათ შორის ამერიკის დამარცხებაც შეეძლება. ეთანხმებით ამ აზრს?**

- არგენტინას თავისი საუკეთესო შემადგენლობით მაქსიმუმ იმისი შანსი თუ ექნება, რომ ჩვენთან სამარცხვინოდ არ წააგოს. დამიჯერეთ, რეალისტი ვარ და ამას მხოლოდ ამ მიზეზით ვამბობ. არგენტინას ჰყავს რამდენიმე ძლიერი, კარგი მოთამაშე, მაგრამ ჩვენი ნაკრები გაცილებით უკეთაა დაკომპლექტებული და ინდივიდუალისტების მხრივაც წინ ვართ. ასე რომ, ყველა სავარაუდო მეტოქისადმი პატივისცემის მიუხედავად, ამერიკასთან მოგების შანსი არავის ექნება.

**- დაგვეთანხმეთ, რომ საკვალიფიკაციო ტურნირზე წარმატებას მეტოქეთა შესუსტებული შემადგენლობებით გამოსვლამაც შეუწყო ხელი.**

- ვერ დაგეთანხმებით. ჯერ ერთი, სხვებს რომ თავიანთი ვარსკვლავები არ ჰყავდათ, ეს ჩვენი პრობლემა არ არის. დავუშვათ, არგენტინას ჰყოლოდა ჯინობილი და ობერტო, მერე რა, ამითი რა შეიცვლებოდა? მგონი, არც არაფერი. მაქსიმუმ, ჩვენი უპირატესობა 20 ქულაზე დაბლა დასულიყო, მაგრამ ყველამ მშვენივრად იცის, რომ ამერიკა საკვალიფიკაციო ტურნირს მაინც დიდი უპირატესობით მოიგებდა. რეალობა ისაა, რომ ამ ეტაპზე, ამერიკას მსოფლიოში უძლიერესი ნაკრები ჰყავს. ვის წინააღმდეგაც არ უნდა ვითამაშოთ, მაინც მოვიგებთ და თანაც, ამას ლამაზი, მომავლის კალათბურთის დემონსტრირებით გავაკეთებთ.

**- მთელი ტურნირის განმავლობაში კობი ბრაიანტი გამთამაშებლის ფუნქციებს ითავსებდა, თქვენ და კარმელო კი ქულების დიდ ნაწილს აგროვებდით. პეკინშიც ასე იქნება?**

- კობისთან ერთად თამაში ჩემთვის უდიდესი სიამოვნება და პატივი იყო. ბრაიანტი ბოლო 10 წლის უდიდესი კალათბურთელია, რომელსაც ყველაფრის გაკეთება შეუძლია. მან იცის, რომ ძალების რაციონალური გადანაწილებით, ნებისმიერ ტურნირს მოვიგებთ. სხვათა შორის, კობიმ რომ ფლეიმეიქერად ითამაშა, სულაც არ ყოფილა მწვრთნელის მითითება. უბრალოდ, თამაშის მსვლელობიდან გამომდინარე, ისე გვიხდებოდა გადაწყობა, რომ ან მე, ან კობის და ან კარმელოს ინიციატივა საკუთარ თავზე ნაკლებად უნდა აგველო და წინა პლანზე გუნდური ინტერესები წამოგვეწია. ამ ჯერზე, მსხვერპლი ბრაიანტმა გაიღო, პეკინში კი შეიძლება მოსალოდნელზე ნაკლები ქულა მე, კარმელომ ან დუაიტ ჰოვარდმა დავაგროვოთ. დამიჯერეთ, ეს არ არის მდიდარი ეგოისტების გუნდი, როგორც ზოგიერთებს ჰგონიათ. ამერიკის ნაკრებში თამაში ყველასთვის უდიდესი პატივია და ჩვენი დროშის, ხალხის, ქვეყნის ინტერესებისთვის ნებისმიერ მსხვერპლს გავიღებთ. ასე რომ, კობის განსაკუთრებული არაფერი გაუკეთებია. გამთამაშებლად მაიკლ რედმაც ითამაშა და უნდა დამეთანხმოთ, რომ "მილუოკიში" იგი ამას თითქმის არ აკეთებს. არადა, რედს პასის უდიდესი კულტურა აქვს და საკმაოდ კარგადაც ხედავს მოედანს. ხოლო ის, რომ მაიკლი მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო სნაიპერია, საკვალიფიკაციო ტურნირის დაწყებამდეც ყველამ მშვენივრად იცოდა.

**- ევროპის ჩემპიონატს თუ უყურეთ?**

- არა, არ მაინტერესებდა. ვიცი, როგორც გადანაწილდა პირველი სამი ადგილი, მაგრამ კონკრეტულად რომელიმე შეხვედრისთვის თვალი არ მიმიდევნებია.

**- ათენში შემადგენლობა დღევანდელზე არანაკლები გყავდათ, მაგრამ დაგვეთანხმეთ, რომ ის ტურნირი "ოცნების გუნდისთვის" ყველაზე სუსტი და წარუმატებელი გამოდგა.**

- ნამდვილად ასე იყო, თუმცა ერთიცაა - მაშინ რომ ჩვენი სუსტი მხარეები არ დაგვენახა, დღეს ასეთი არაჩვეულებრივი გუნდი არ გვეყოლებოდა. მაშინ ტიმ დანკანი, ლამარ ოდომი, ალენ აივერსონი და სტეფონ მარბერი გვყავდა და წავაგეთ პუერტო რიკოსთან... სამარცხვინოდ ვითამაშეთ, თუმცა იმ ტურნირზეც რამდენიმე დასამახსოვრებელი შეხვედრა ჩავატარეთ. მეოთხედფინალში ესპანეთს ძალიან მძიმე მატჩი მოვუგეთ, მერე კი ნახევარფინალში არგენტინასთან არ გაგვიმართლა. სწორი დასკვნები გავაკეთეთ და დღეს ყველაფრით კმაყოფილები ვართ.

**- ვინ იქნება ჩინეთში თქვენი მთავარი კონკურენტი?**

- კონკურენტი არ გვეყოლება, თუმცა კარგი გუნდი უნდა ჰყავდეს ესპანეთს, არგენტინას, საბერძნეთს. სიმართლე გითხრათ, არც კი მაინტერესებს, ვის რა შემადგენლობა ეყოლება პეკინში. მთავარია, რომ ამერიკამ ის განწყობა შეინარჩუნოს, რაც გუნდში ბოლო ერთი წლის განმავლობაშია. ამ შემადგენლობით, როცა პეკინში დუეინ უეიდიც დაგვემატება, ჩვენ წინააღმდეგ არავის არ ექნება მოგების შანსი.

**ზურაბ თალაკვაძე**


ანდრეი კირილენკო

იუტა ჯაზი

# კირილენკომ გაცვლა მოითხოვა

ევროპის ჩემპიონმა **ანდრეი კირილენკომ** "იუტა ჯაზს" მასმედიის საშუალებით შეუთვალა - გუნდში თავს ზედმეტად ვგრძნობ და ორივე მხარის ინტერესებიდან გამომდინარე, იქნებ გამცვალოთო.

"ჯაზის" ფორვარდმა საჯაროდ გამოხატა უკმაყოფილება სათამაშო დროისა და მისი ფუნქციების ლიმიტირების გამო და შემდეგი რამ განაცხადა: *"სოლტ ლეიკ სიტი ძალიან მომწონს და აქ თავს ყოველთვის მშვენივრად ვგრძნობ, მაგრამ მთავარი მწვრთნელი ჯერი სლოუნი აღარ მენდობა და ჩემმა სათამაშო დრომაც მნიშვნელოვნად იკლო. გუნდის საქმეები მშვენივრად მიდის, ბოლო ფლეი ოფში დასავლეთის ფინალშიც კი გავედით, მაგრამ მსურს, რომ ამაში ჩემი მეტი წვლილი იყოს. შარშან, როდესაც გაგვიჭირდა და "გოლდენ სტეიტთან" რამდენიმე შეხვედრაში პრობლემები შეგვექმნა, სლოუნმა სათამაშო დრო გამიზარდა და მგონი, ცუდად არ მითამაშია, მაგრამ "სან ანტონიოსთან" სერიაში ყველაფერი ისევ შეიცვალა. ქულებს კი ვაგროვებდი, მაგრამ გუნდი ჩემზე არ თამაშობდა. უფრო მე ვცდილობდი თანაგუნდელების ბურთით მომარაგებას. წარმოიდგინეთ, გამთამაშებელი დერონ უილიამსი (რომელიც ჩემი მეგობარია) მეტოქის ნახევარზე გადმოსვლისთანავე ბურთს "მტენის" და ცდილობს, სასროლ პოზიციაზე გავიდეს, მე კი გამთამაშებელი უნდა ვიყო. არაფერს ვამბობ კარლოს ბუზერსა და მეჰმეთ ოქურზე. მათ სრული კარტბლანში აქვთ მიცემული. "ჯაზი" არაჩვეულებრივი ორგანიზაციაა, მაგრამ მსურს ან მეტი სათამაშო დრო და ნდობა მივიღო, ან კარგი იქნება, თუ "ჯაზი" გამცვლის."*

ამასთან დაკავშირებით კომენტარი გააკეთა "ჯაზის" მთავარმა მწვრთნელმა:

*"არ მესმის, რატომ სურს კირილენკოს სხვაგან გადასვლა, რადგან "ჯაზში" იგი გუნდის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფიგურად ითვლება. ამასთან ერთად, თუ ვინმეს ჩვენთან თამაში არ სურს, კეთილი, შეუძლია სხვაგან გადავიდეს, თუმცა კარგი იქნება, თუ კირილენკო გააანალიზებს ყველაფერს და "ჯაზში" დარჩენაც ამჯობინებს"*, - ამბობს **ჯერი სლოუნი**.

## TV სპორტი

**21 სექტემბერი. პარასკევი**

**HTB-ალუსი (ფეხბურთი)**

12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:15 უიქენდის მატჩების ანონსი.
12:25 ტოქ-შოუ - 90 წუთი.
13:55 საფეხბურთო კლუბი.
14:25 ჩემპიონთა ლიგა. ტურის მიმოხილვა.
16:25 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:40 ტოქ-შოუ - 2:1.
17:25 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. რეინჯერსი-შტუტგარტი.
19:15 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
19:30 ჩვენი ფეხბურთი.
20:30 საფეხბურთო კლუბი.
21:25 FUTBOL MUNDIAL. საერთაშორისო ტელეჟურნალი.
21:55 ინგლისის ჩემპიონატი. ტურის წინ.
22:25 გერმანიის ჩემპიონატი. ბოხუმი-აინტრახტი (LIVE).
00:25 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
00:40 საფეხბურთო კლუბი.
01:30 ინგლისის ჩემპიონატი. ტურის წინ.

**SPORT 1 (უკრაინა)**

07:10 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. ეინდჰოვენი-ცსკა.
09:00 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
09:15 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
09:46 ფეხბურთი. სუდამერიკანას თასი. პაჩუკა-ამერიკა.
11:33 სპორტული ისტორია.
11:51 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. მარსელი-ბეშიქთაში.
13:41 სპორტდოსიე. ფეხბურთი.
14:11 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. ეინდჰოვენი-ცსკა.
16:01 ჰოკეი.
16:29 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ტურის მიმოხილვა.
17:29 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
18:00 მხატვრული ტანვარჯიში. მსოფლიო ჩემპიონატი (LIVE).
21:02 სპორტული ისტორია.
21:15 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
21:30 ფეხბურთი. MLS. აშშ-ის ჩემპიონატი. დალასი-ჩიკაგო.
23:30 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
23:43 სპორტკლუბი.
23:56 კრივი. რინგ-საიდი.
00:55 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
01:10 ფეხბურთი. სუდამერიკანას თასი. პაჩუკა-ამერიკა.
02:56 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. ეინდჰოვენი-ცსკა.
04:43 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. რეინჯერსი-შტუტგარტი.
06:33 სპორტდოსიე. ფეხბურთი.

**EUROSPORT**

08:00 მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. იაპონიის გრან პრი. პრაქტიკა.
10:45 ავტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი ტურიზმის კლასში.
11:15 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. 1/4 ფინალი. პეკინი. ჩინეთი.
12:15 ფეხბურთი. უეფას თასი. I რაუნდი. I მატჩი. ნიურნბერგი-რაპიდი.
13:00 ფეხბურთი. უეფას თასი. I რაუნდი. I მატჩი. ლევერკუზენი-ლეირია.
14:00 ძალოსნობა. მსოფლიო ჩემპიონატი. მამაკაცები. 77 კგ. ტაილანდი (LIVE).
16:00 ფეხბურთი. უეფას თასი. I რაუნდი. I მატჩები.
17:00 მულტისპორტი.
17:15 ფეხბურთი. უეფას თასი. I რაუნდი. I მატჩები.
18:15 ველოსპორტი. ვუელტა. XIX ეტაპი (LIVE).
19:30 ძალოსნობა. მსოფლიო ჩემპიონატი. მამაკაცები. 77 კგ. ტაილანდი.
20:00 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
20:30 ნიჩბოსნობა. ბაიდარები და კანოე. მსოფლიო ჩემპიონატი. სლალომი. ბრაზილია (LIVE).
23:15 მსოფლიოს უძლიერესი მამაკაცი. ლიტვის გრან-პრი.
00:15 რესტლინგი.
01:00 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
01:30 ექსტრემალური სპორტი.
02:00 ფეხბურთი. უეფას თასი. I რაუნდი. I მატჩები.
03:00 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.

**EUROSPORT-2**

09:30 ახალი ამბები.
12:00 მოტოკროსი. მსოფლიო ჩემპიონატი. I რბოლა. ჰოლანდია.
12:45 მოტოკროსი. მსოფლიო ჩემპიონატი. II რბოლა. ჰოლანდია.
13:30 მულტისპორტი.
14:00 ახალი ამბები.
15:00 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. 1/4 ფინალი. პეკინი. ჩინეთი (LIVE).
17:00 მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. იაპონიის გრან პრი. პრაქტიკა.
18:15 ფეხბურთი. უეფას თასი. I რაუნდი. I მატჩი. ლევერკუზენი-ლეირია.
19:15 ფეხბურთი. უეფას თასი. I რაუნდი. I მატჩი. ნიურნბერგი-რაპიდი.
20:00 ახალი ამბები.
20:30 ექსტრემალური სპორტი.
21:00 მულტისპორტი.
21:30 ახალი ამბები.
22:00 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
22:30 ფეხბურთი. უეფას თასი. I რაუნდი. I მატჩი. ლევერკუზენი-ლეირია.
23:15 ფეხბურთი. უეფას თასი. I რაუნდი. I მატჩი. ნიურნბერგი-რაპიდი.
00:00 ფეხბურთი. უეფას თასი. I რაუნდი. I მატჩი. ანდერლეხტი-რაპიდი.
01:00 სერფინგი. ბრიტანეთი.
01:15 ახალი ამბები.
01:30 მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. იაპონიის გრან პრი. პრაქტიკა.
02:15 ახალი ამბები.
02:30 პრო-რესტლინგი.
04:00 ახალი ამბები.
04:45 სერფინგი. ბრიტანეთი.

## ცხელი ხაზი

| | |
|---|---|
| **ფეხბურთი** | |
| **მსოფლიო ჩემპიონატი** | |
| **ქალები** | |
| კანადა-ავსტრალია | 2:2 |
| ნორვეგია-განა | 7:2 |
| ბრაზილია-დანია | 1:0 |
| ჩინეთი-ახ. ზელანდია | 2:0 |
| **ინგლისი** | |
| **კონფერენსი** | |
| პისტონი-ოქსფორდი | 1:0 |
| **შვედეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| ლანდსკრონა-სირიუსი | 2:1 |
| **ფინეთი** | |
| იარო-მიუპა | 0:3 |
| ინტერი-მარიეჰამნი | 0:2 |
| ვიიკინგიტი-ლაჰტი | 0:4 |
| **ფრენბურთი** | |
| **ევროპის ჩემპიონატი** | |
| **ქალები** | |
| აზერბაიჯანი-ბელარუსი | 3:0 |
| სერბეთი-სლოვაკეთი | 2:3 |
| ბულგარეთი-ესპანეთი | 3:2 |
| რუსეთი-ხორვატია | 3:0 |
| ბელგია-პოლანდია | 1:3 |
| იტალია-გერმანია | 3:0 |
| **ჰოკეი** | |
| **რუსეთი** | |
| ავანგარდი-ვიტიაზი | 7:5 |
| სევერსტალი-ლადა | 6:2 |
| აკ ბარსი-ხიმიკი | 5:2 |
| დინამო-მეტალურგი (მ) | 1:1 |
| ლოკომოტივი-ს. იულაევი | 7:1 |
| ნეფტეხიმიკი-სკა | 1:2 |
| სპარტაკი-ამური | 5:1 |
| მვდ-ტრაქტორი | 1:2 |
| **ფინეთი** | |
| კერპეტი-კაიპა | 4:3 |
| ლუკო-ჰპკ | 3:2 |
| პელიკანსი-იოკერიტი | 2:2 |
| ტპს-ტაპარა | 4:2 |
| იუვიასკიულა-ესეტი | 5:1 |
| **ჩეხეთი** | |
| პლზენი-კლადნო | 4:4 |
| **ჩოგბურთი** | |
| **WTA. კოლკატა** | |
| პუტჩეკი-არვიდსონი | 6:3, 6:1 |
| პენეტა-ამანმურადოვა | 6:1, 6:3 |
| კინგი-კუდრიავცევა | 1:6, 2:6 |
| ჰანტუხოვა-როდიონოვა | 6:2, 6:1 |
| კეოტავონგი-რაო | 6:3, 6:2 |
| **WTA. პეკინი** | |
| დავენპორტი-დანიილიდუ | 7:5, 6:3 |
| მორიგამი-ნაკამურა | 7:5, 6:3 |
| დემენტიევა-პაჩეკი | 6:2, 6:0 |
| იანკოვიჩი-რუანო პასკუალი | 6:0, 6:0 |
| **WTA. პორტოროჟი** | |
| ტუ-ვრლიჩი | 7:6, 6:0 |
| ლუა-ვიერინი | 6:3, 6:4 |
| სრებოტნიკი-შონესი | 6:2, 6:0 |
| ვესნინა-დულკო | 6:7, 1:6 |

ჭადრაკი

## ორხელისუფლებიანობა

ისრაელის წარმომადგენელი **ბორის გელფანდი**, რომელსაც მსოფლიო ჩემპიონატის წინ არავინ განიხილავდა ტურნირის ფავორიტად, ექვსი ტურის შემდეგ ინდოელ **ვიშვანათან ანანდთან** ერთად პირველ-მეორე ადგილებს იყოფს.

გელფანდმა ზედიზედ ორი პარტია მოიგო - **არონიანის** შემდეგ, მან რუსი **მოროზევიჩის** დამარცხებაც მოახერხა.

VI ტური. **კრამნიკი** (რუსეთი)-**არონიანი** (სომხეთი) - 0.5:0.5; **ანანდი** (ინდოეთი)-**ლეკო** (უნგრეთი) - 0.5:0.5; **სვიდლერი** (რუსეთი)-**გრიშჩუკი** (რუსეთი) - 0.5:0.5; **გელფანდი** (ისრაელი)-**მოროზევიჩი** (რუსეთი) - 1:0.

**სატურნირო მდგომარეობა**: 1-2. ანანდი, გელფანდი - 4 ქულა; 3-4. გრიშჩუკი, კრამნიკი - 3.5; 5-6. ლეკო, არონიანი - 2.5; 7-8. მოროზევიჩი, სვიდლერი - 2.

ფორმულა 1

## დენისი სასწრაფო შემოწმების მომხრეა

როგორც უკვე ვიტყობინებოდით, ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაცია "მაკლარენის" იმ ბოლიდის შემოწმებას აპირებს, რომლითაც ამ გუნდმა 2008 წლის ჩემპიონატში უნდა იასპარეზოს.

"მაკლარენის" შეფი **რონ დენისი** FIA-ს სთხოვს, რომ შემოწმება რაც შეიძლება სწრაფად ჩატარდეს. *"ჩვენი სურვილია, ბოლიდის ინსპექცია უახლოეს ხანებში მოხდეს. სწორედ ამ შემოწმების შემდეგ დამტკიცდება, რომ "მაკლარენს" არ გამოუყენებია "ფერარის" ინტელექტუალური საკუთრება"*, - აცხადებს დენისი.

ველოსპორტი

## დოპინგთან ბრძოლა მკაცრდება

ველომრბოლთა საერთაშორისო კავშირი (UCI) მოახლოებულ მსოფლიო ჩემპიონატზე დოპინგთან ბრძოლას გაამკაცრებს. 26 სექტემბრიდან 1 ოქტომბრამდე, შტუტგარტში 400-მდე დოპინგტესტს აიღებენ, გარდა ამისა, ჩემპიონატის წინ, დოპინგზე 120 ველომრბოლს შეამოწმებენ.

ყოველ დისციპლინაში ასპარეზობის დასრულების შემდეგ, ტესტის ჩასატარებლად პირველ ოთხ ადგილზე გასულ სპორტსმენს მიიწვევენ. მათ დაემატება კიდევ ოთხი ველომრბოლი, რომლებსაც შემთხვევითი არჩევის წესით გაარკვევენ.

გარდა ამისა, UCI გამონაკლისის სახით, 100 დოპინგტესტს დილით, ასპარეზობის წინ ჩაატარებს. დადებითი შედეგის შემთხვევაში, მრბოლელები სტარტზე არ დაიშვებიან.

## იაკშე პირველი მსხვერპლია

ავსტრიის ველოსაბჭომ გერმანელი **იორგ იაკშე** ერთწლიანი დისკვალიფიკაციით დასაჯა.

იაკშე პირველი ველომრბოლია, ვინც სისხლის დოპინგის მიღება და სკანდალურად ცნობილ ესპანელ ექიმ **ფუენტესთან** თანამშრომლობის ფაქტი აღიარა. დისკვალიფიკაციის ვადა 2008 წლის 2 ივლისს იწურება.

ივნისის ბოლოს, ტურ დე ფრანსის წინ "შპიგელისთვის" მიცემულ ინტერვიუში სპორტსმენმა განაცხადა, რომ დიდი ხანი - 1997 წლიდან მოყოლებული იყენებდა აკრძალულ პრეპარატებს, ხოლო 2005 წლიდან **აუფემიანო ფუენტესთან** თანამშრომლობდა. ამის გამო, მაისში გერმანელი გუნდ "ტინკოფიდან" დაითხოვეს.

30 წლის იაკშე ავსტრიის ქალაქ კიტცბუელში ცხოვრობს და ავსტრიული ლიცენზიით ასპარეზობს.

ჩოგბურთი

## ნასტასე რესტორნების მეპატრონე გახდა

ლეგენდარული რუმინელი ჩოგბურთელი **ილიე ნასტასე** მოლდოვაში "მაკდონალდსის" რესტორნების მფლობელი გახდა.

*"ეს შენაძენი უფრო სენტიმენტალური ინვესტიციაა, ვინაიდან მოლდოვაში დედაჩემია დაბადებული"*, - განაცხადა ნასტასემ კონტრაქტის გაფორმების შემდეგ.

ნასტასე გასული საუკუნის 70-იან წლებში მსოფლიო ჩოგბურთის ერთ-ერთი უპირველესი ვარსკვლავი იყო. ამჟამად ის, რუმინეთის უმდიდრეს ადამიანთა სიაში შედის.

## დავიდენკოს თამაში ეჭვქვეშაა

მომავალ უიქ ენდზე დევისის თასის ნახევარფინალები გაიმართება. რუსეთის ნაკრები, რომელიც საკუთარ მოედანზე გერმანიას მასპინძლობს, შესაძლოა, თავისი ლიდერის, **ნიკოლაი დავიდენკოს** გარეშე დარჩეს. მსოფლიო კლასიფიკაციის მეოთხე ნომერს მაჯის ძველი ტრავმა აწუხებს.

იმის გათვალისწინებით, რომ მასპინძლებს ალპინიზმით გატაცებული **მარატ საფინიც** არ ეყოლებათ, **შამილ ტარპიშჩევის** გუნდი არცთუ ისე სახარბიელო მდგომარეობაში იმყოფება.

დავიდენკო საბოლოო სამედიცინო შემოწმებას გაივლის და მხოლოდ ამის შემდეგ გაირკვევა, შეძლებს თუ არა ის პარასკევს ერთეულთა თანრიგის მატჩის გამართვას.

კალათბურთი

## ლატვიელებმა გაიხადეს

მომავალ კვირას, ქალთა შორის ევროპის ჩემპიონატი დაიწყება. პირველობის წინ, ერთ-ერთმა მონაწილემ, ლატვიის ნაკრებმა საქველმოქმედო აქცია მოაწყო. ამ გუნდის 12-მა წევრმა კალენდრისთვის შიშველი ფოტოები გადაიღო. ამით ისინი ქვეყნის ვეტერან ქალ კალათბურთელებს დაეხმარნენ.

თავდაპირველად, კალენდარი ათასიანი ტირაჟით დაიბეჭდა. თითო ეგზემპლარის ფასი 50 დოლარია და რეალიზაციისგან მიღებული თანხა ლეგენდარული ლატვიელი კალათბურთელის, **იულიანა სიმიონოვას** სარეაბილიტაციო კურსს მოხმარდება. ცოტა ხნის წინ, ორგზის ოლიმპიურმა და სამგზის მსოფლიო ჩემპიონმა ურთულესი ოპერაცია გადაიტანა.

## ჩინეთში NBA-ის ფილიალი გაიხსნება

ეროვნული საკალათბურთო ასოციაცია ჩინეთში საკუთარი ფილიალის გახსნას აპირებს. ოფიციალური ინფორმაციით, ამ ქვეყნის 15-დან 24 წლამდე მოსახლეობის 83 პროცენტი NBA-ის თაყვანისმცემელია და საერთოდაც, 300 მილიონი ჩინელი თამაშობს კალათბურთს. ფილიალის გახსნით, NBA სწორედ მოსახლეობის ამ ნაწილის ინტერესების დაკმაყოფილებას აპირებს.

ჩინური ფილიალის მიზანი NBA-ის ეგიდით სხვადასხვა ღონისძიების ჩატარება და მარკეტინგული საქმიანობა იქნება.

ახალი კომპანიის აქციათა 90 პროცენტი ასოციაციის საკუთრება იქნება, 5 პროცენტი ჩინელ ინვესტორებს ერგებათ, დანარჩენი ხუთი კი, კომპანია "უოლტ დისნეის" გადაეცემა, რომელსაც ლიგის თამაშების ჩვენების ექსკლუზიური უფლება გააჩნია.

"NBA-ჩინეთის" პრეზიდენტი **ტიმ ჩენი** იქნება, რომელიც ადრე "მოტოროლასა" და "მაიკროსოფტის" ჩინურ განყოფილებებში მუშაობდა.





გაი (მარცხნივ) და პაუელი (მარჯვნივ) ალბათ პეკინამდე არ შეხვდებიან ერთმანეთს

სპრინტი

## დუელი კვლავ არ იქნება

მსოფლიოს რეკორდსმენი ას მეტრზე სპრინტში, იამაიკელი **ასაფა პაუელი** ამ სეზონში თავის ბოლო გამოსვლას იაპონიის ქალაქ იოკოჰამას ტურნირზე გეგმავს. ოღონდ, იქ 100 მეტრზე კი არა, მისთვის არატრადიციულ, 200 მეტრზე სპრინტში იასპარეზებს.

ამგვარად, თანამედროვეობის ორი საუკეთესო სპრინტერი, პაუელი და მსოფლიოს ჩემპიონი, **ტაისონ გაი** კვლავ ასცდებიან ერთმანეთს ამერიკელი სპრინტერი იაკოჰამაში ას მეტრზე სპრინტში იასპარეზებს. და, როგორც ირკვევა, ყოველივე ტურნირის ორგანიზატორთა დამსახურებაა.

*"ჩვენ პაუელი 200 მეტრზე სპრინტში სასპარეზოდ მივიწვიეთ, გაის კი 100 მეტრზე სპრინტში ასპარეზობა შევთავაზეთ. ისინი ჩვენი ტურნირის განსაკუთრებული მონაწილენი არიან. რაც შეეხება იმას, თუ რატომ არ მოვინდომეთ მათი დაპირისპირება, ალბათ უმჯობესი იქნება, თუ ამ ინტრიგას პეკინის ოლიმპიადამდე შემოვინახავთ, ეს სპორტს მეტად წაადგება"*, - ამბობს იოკოჰამას ტურნირის საორგანიზაციო კომიტეტის პრესმდივანი **ჯუნ იამადა**.

შესაძლოა, ტურნირის ორგანიზატორებს ძალიანაც უნდოდათ პაუელისა და გაის დაპირისპირება, მაგრამ გასათვალისწინებელი იყო ის ფაქტი, რომ მთელი სეზონი ამ ორმა სპრინტერმა ისე გაატარა, რომ ერთ სარბენ ბილიკზე ერთადერთხელ, ოსაკას მსოფლიო ჩემპიონატზე იასპარეზა.

შეგახსენებთ, რომ ოსაკაში ოქროს სამი მედალი (100 და 200 მეტრზე სპრინტში, ასევე 4x100 მეტრზე ესტაფეტაში) მოიპოვა გაიმ, ვინც ას მეტრზე სპრინტის ფინალში იოლად აჯობა პაუელს. ეს უკანასკნელი ბრინჯაოს დასჯერდა, თავისი წარუმატებლობა კი მოგვიანებით ზედმეტი ნერვიულობით ახსნა. სამაგიეროდ, ერთი კვირის შემდეგ, იტალიის ქალაქ რიეტიში ასპარეზობისას, მსოფლიოს ახალი რეკორდი (9.74 წამი) ამყარა.

სხვათა შორის, გაისა და პაუელის დუელი ოქროს ლიგის ბოლოსწინა, ბრიუსელის შეხვედრაზეც იყო მოსალოდნელი, მაგრამ მაშინ ამერიკელმა დაღლილობა მოიმიზეზა და ბელგიურ ტურნირზე ასპარეზობისგან თავი შეიკავა. სამაგიეროდ, მან აზიური ტურნე დაგეგმა, რომელსაც შანხაიში (28 სექტემბერი) დაიწყებს, იოკოჰამაში (30 სექტემბერი) გააგრძელებს და სამხრეთი კორეის ქალაქ ტაეგუს ტურნირით (3 ოქტომბერი) დაასრულებს.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

ველოსპორტი

ვუელტა

## სანჩესის კარიერის ბოლო გაელვება

ესპანელმა ველომრბოლმა **ლუის პერეს როდრიგესმა** გამარჯვებით აღნიშნა თავისი 13-წლიანი პროფესიული კარიერის დასრულება - ვუელტაზე, რომლის შემდეგაც ის სპორტიდან მიდის, მან ერთ-ერთი გადამწყვეტი და რთული, მე-18 ეტაპი მოიგო.

როდრიგესმა პელოტონი დიდ ჯგუფთან ერთად, ჯერ კიდევ სტარტიდან 17 კილომეტრის შემდეგ ჩამოიტოვა. ფინიშამდე ათი კილომეტრით ადრე კი მნიშვნელოვნად გაზარდა ტემპი. რამდენადაც ის ლიდერთა პოზიციებს საფრთხეს არ უქმნიდა, შეტევა უპასუხოდ დარჩა. ჰოდა, გამოცდილმა ველომრბოლმა ბოლომდე შეინარჩუნა მოპოვებული უპირატესობა და უახლოეს მდევრებს ფინიშთან 41 წამით მიასწრო.

პირველი კატეგორიის სამთო მონაკვეთ მიხარესის გავლისას, გადამწყვეტი შეტევა დაიწყო ესპანელმა **კარლოს სასტრემ**, მაგრამ მას უმალ გამოეხმაურა რბოლის ლიდერი, რუსი **დენის მენშოვი** რომელმაც მეტოქეს საერთო კლასიფიკაციაში ჩამორჩენის შემცირების საშუალება არ მისცა.

დღეს და ხვალ, შესაბამისად, სამთო ეტაპსა და დროზე ინდივიდუალურ რბოლაში გადაწყდება, თუ ვინ გახდება 62-ე ვუელტის ჩემპიონი. გუშინდელი ეტაპის შემდეგ კი, ლიდერთა სამეულს გამოაკლდა რუსი **ვლადიმირ ეფიმკინი**, ვინც სანჩესის ტემპს ვერ გაუძლო და ესპანური ტურის მოგების ყველანაირი შანსი ქარს გაატანა.



ლუის პერეს როდრიგესი გამარჯვებას ზეიმობს

მე-18 ეტაპი. ტალავერა დე ლა რეინადან ავილამდე (175 კმ)

1. ლუის პერეს როდრიგესი (ესპანეთი, ანდალუსია-კაიასური) 3:43.45 (41.16 კმ/სთ); 2. კეიდელ ევანსი (ავსტრალია, პრედიქტორ-ლოტო) 0.41; 3. ფრანკო პელიცოტი (იტალია, ლიკიგაზი) 0.41; 4. სამუელ სანჩესი (ესპანეთი, ეუსკალტელ-ეუსკადი) 0.41; 5. დენის მენშოვი (რუსეთი, რაბობანკი) 0.41; 6. ეზეკილ მოსკერა (ესპანეთი, კარპინ-გალისია) 0.41; 7. სტეფან გუბერი (საფრანგეთი, AG2r პრევოიანსი) 0.41; 8. კარლოს სასტრე (ესპანეთი, CSC) 0.41; 9. მაქსიმ მონფორი (ბელგია, კოფიდისი) 0.41; 10. ვლადიმირ კარპეცი (რუსეთი, კაისე დ'ეპარნი) 0.41; 11. იგორ ანტონი (ესპანეთი, ეუსკალტელ-ეუსკადი) 0.47...

კლასიფიკაცია 18 ეტაპის შემდეგ

1. დენის მენშოვი (რუსეთი, რაბობანკი) 74:22.13; 2. კეიდელ ევანსი (ავსტრალია, პრედიქტორ-ლოტო) 2.27; 3. კარლოს სასტრე (ესპანეთი, CSC) 3.02; 4. სამუელ სანჩესი (ესპანეთი, ეუსკალტელ-ეუსკადი) 4.01; 5. ვლადიმირ ეფიმკინი (რუსეთი, კაისე დ'ეპარნი) 4.27; 6. ეზეკილ მოსკერა (ესპანეთი, კარპინ-გალისია) 4.35; 7. ვლადიმირ კარპეცი (რუსეთი, კაისე დ'ეპარნი) 6.17; 8. მანუელ ბელტრანი (ესპანეთი, ლიკიგაზი) 7.41; 9. იგორ ანტონი (ესპანეთი, ეუსკალტელ-ეუსკადი) 7.47; 10. კარლოს ბარედო (ესპანეთი, ქვიკსტეპ-ინერგეტიკი) 8.48...

სპორტული გაზეთი

განახლებულია ბადრი პატარკაციშვილის ხელშეწყობით

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაბაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
დავით თავართქილაძე
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა ბიბილაშვილი
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ ბრძელიძე, მამუკა ძანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაყელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტურა
ლელა ხომასურიძე
ლევან ბიბილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე), გივი ვეშაპიძე, ქეთევან დიდბერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ: 46 34 48)
ბაქარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელწოდებით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი

გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ ბასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

პარტნიორი:
საქართველოს ოლიმპიური ფონდი

მისამართი
ახმეტელის 10ა,
0159 თბილისი
(დილომი, ახ. კინოსტუდია, პირველი სართული);
ტელეფონი: 46 30 98, 46 30 56, 46 32 62, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი). 53-39-11
ფაქსი: +995. 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge;
ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა